პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დღიური

- სროლა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე.
- „როტე ფანე“ კვლავ აკრძალეს.
- მთავრობის დეკრეტით რივსალტში დაშალეს მუნიციპალური საბჭო.
- ხმების მიხედვით ამანულა რომში მიემგზავრება.
- სუნ-იატ-სენის ნეშტის გადატანა ნანკინში.
- გაიხსნა ლიტვა-გერმანია. საბჭ. კავშირის სარკინიგზო კონფერენცია.
- მიწისძვრის შედეგები თურქეთში.—მოკლულია 64, დაჭრილია 721 კაცი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 28 მაისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 119 (2465)

საქ. კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციებს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ა/წ. 25 ივნისს მოიწვიოს

კომპარტიის (ბ) სრულიად საქართველოს მე-VI ყრილობა

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საანგარიშო მოხსენება.
2. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.
5. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში და მუშაობა სოფლად.
6. არჩევნები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

---

28 მაისს, საღამოს 6 საათზე

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული) მოწვეულია

საკ. კომპარტიის (ბ) ა/კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მე-5 პლენუმი

დღის წესრიგი:

1. პარტიის წმენდის შესახებ.
2. საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.
3. ა-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კალენდარული გეგმის შესახებ.

საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო საკონტრ. კომის. თავმჯდ. ნაზარეტიანი

მცირე ანტანტის კონფერენციის შედეგები

ბელგრადში 16 მაისს გაიხსნა და 23-ს დაიხურა მცირე ანტანტის კონფერენცია. მცირე ანტანტა, ე. ი. სამხრეთ-სლავიის, ჩეხო-სლოვაკიის და რუმინეთის კავშირი, შეიქმნა 1920-21 წლებში. ის მიზნად ისახავს ტრიანონსა და ხელში დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებების დაცვას; ამ ხელშეკრულებებით ხსენებული ქვეყნები წარმოიშვნენ ან გაფართოვდნენ უმთავრესად ყოფ. ავსტრია-უნგრეთის და ნაწილობრივ სხვა დამარცხებულ სახელმწიფოების ხარჯზე.

მაგრამ მცირე ანტანტის არსებობის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეს დაჯგუფება საფრანგეთის იმპერიალიზმის იარაღს წარმოადგენს; პარიზია მისი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. საფრანგეთისათვის ის არის დამხმარე ძალა ვერსალის სისტემის განსამტკიცებლად და გერმანიის დასაუძლურებლად; მცირე ანტანტის საშუალებით საფრანგეთს სურს ბალკანეთი მთლიანად თავის გავლენას დაუმორჩილოს და ამავე დროს იგი გამოიყენოს საბჭოთა კავშირთან ბრძოლისათვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პოლონეთი მჭიდროდაა დაკავშირებული მცირე ანტანტასთან, თუმცა ოფიციალურად მასში არ შედის. მას სამხედრო ხელშეკრულება აქვს დადებული რუმინეთთან, ხოლო ჩეხო-სლოვაკიასთან პოლიტიკური შეთანხმება. ვარშავა აგრეთვე დაახლოვებულია უნგრეთთან, რომელიც მცირე ანტანტის (რუმინეთის) შეურიგებელი მოწინააღმდეგეა. პოლონეთი ცდილობს უნგრეთის და რუმინეთის შერიგებას და ამ გზით მცირე ანტანტის გაფართოვებას. ამ შემთხვევაში ის ასრულებს საფრანგეთის იმპერიალიზმის დავალებას, ერთი მხრით, მეორე მხრით ილტვის ხელმძღვანელი როლი მოიპოვოს მცირე ანტანტაში და გაამაგროს ანტისაბჭოთა ფრონტი.

მაგრამ არიან ფაქტორები, რომელნიც მცირე ანტანტის სისტემას უსიცოცხლოდ ხდიან; ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი და პოლონეთი ვერ ახერხებენ მის ისე გამოყენებას, როგორც ეს მათ სურთ. პირველ რიგში აქ უნდა ვახსენოთ იტალიის იმპერიალიზმის პოლიტიკა. იტალია ვერ ურიგდება საფრანგეთის ბატონობას ბალკანეთში და თვითონ ცდილობს იქ პოზიციების დაპყრობას. ამ მიმართულებით მას თვალსაჩინო მიღწევებიც აქვს. იგი მძლავრად შეიჭრა ალბანეთში და ამ გზით სამხრეთ-სლავიას ავიწროვებს. ამავე დროს მან დადო სამხედრო და ეკონომიური ხელშეკრულება რუმინეთთან, რომელიც თუ ერთი მხრით პარიზისა და ვარშავისაკენ იყურება, მეორე მხრით რომისაკენ აცეცებს თვალებს. ბალკანეთში იტალიის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს უნგრეთი, რომლის შეიარაღებას იგი ხელს უწყობს და რომელსაც იყენებს მცირე ანტანტის საწინააღმდეგოდ. საგულისხმოა, რომ ამას წინად ბუდაპეშტს ეწვია იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი გრანდი, რომელმაც, მისივე გადმოცემით, უნგრეთთან სრულ შეთანხმებას მიაღწია ყველა საკითხში. იტალია ლამობს მცირე ანტანტის დაშლას და მის მაგივრად თავის ხელმძღვანელობით იქეთი დაჯგუფების ჩამოყალიბებას, რომელიც ბალკანეთში მის გავლენას გააძლიერებს და საფრანგეთს დაუპირისპირდება. შემდეგ: დიდი ყურადღების ღირსია გერმანიის ნეოიმპერიალიზმის ექსპანსია: ის თავის ეკონომიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ გავლენას ანმტკიცებს ბალკანეთის ქვეყნებში, სადაც გერმანიის ექსპორტი ბოლო დროს ძალიან გაიზარდა. თვით მცირე ანტანტას შიგნით წინააღმდეგობანი ღრმავდიან; ისინი ერთი მეორისაგან მაღალი ტარიფებით არიან შემოზღუდულნი და მათ შორის ნორმალურ ეკონომიურ თანამშრომლობას არა აქვს ადგილი.

აქედან—საფრანგეთი მიისწრაფვის მცირე ანტანტა უფრო დაიმორჩილოს. ამ მიზნით იგი, სხვათა შორის, სესხებს აძლევს მის წევრებს. აგრეთვე მისი ამოცანაა—მცირე ანტანტის პოლიტიკურ სისტემის ეკონომიური საფუძვლების გამაგრება. სწორედ ეს დანიშნულება ჰქონდა ეხლახან შემდგარ კონფერენციას; მის დღის წესრიგში იდგა: „ეკონომიური მცირე ანტანტის“ ორგანიზაცია. მაგრამ ამის განხორციელება არსებულ წინააღმდეგობათა გამო არ მოხერხდა.

კონფერენცია აგრეთვე შეეხო ჩვენთან დამოკიდებულების საკითხს. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში, დროგამოშვებით ამბობს, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის ცნობაო. ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია ჩეხო-სლოვაკიის ეკონომიური ინტერესების თვალსაზრისით; ამას მოითხოვენ ამ ქვეყნის ფართო მასებიც. მაგრამ ბენეში ცალიერი განცხადების იქით არ მიდის; ის ლონდონის და პარიზის ფეხის ხმას მისდევს და აბა როგორ გაბედავს ამ მხრივ რეალური ნაბიჯების გადადგმას. ამის მაგივრად ბენეში აყენებს წინადადებას, რომ მცირე ანტანტამ საერთო პოზიცია გამოიმუშაოს საბჭოთა კავშირის მიმართ. უდავოა, რომ, ეს „საერთო პოზიცია“ არსებითად ჩამოყალიბდებოდა მთლიან ანტისაბჭოთა ფრონტად. ეს ცდა დამარცხდა და კონფერენციამ დაადგინა, რომ ანტანტის თვითეულმა წევრმა შეინარჩუნოს თავისუფლება ჩვენთან დამოკიდებულების საკითხში. უეჭველია, აქ თავი იჩინა სხვა საკითხებში შეუთანხმებლობამ; ამასთან, მასების შიშით კონფერენციამ ვერ გაბედა ანტისაბჭოთა ხაზის აშკარად მიღება. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა: ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს მცირე ანტანტის ქვეყნების „თავისუფლება“ ამ საკითხში: თვითეული მათგანი თავის „ხაზეინი“-ს ნებას ემორჩილება და მცირე ანტანტა რჩება ისეთ კომბინაციად, რომელსაც იმპერიალისტები ანტისაბჭოთა მიზნებისათვისაც იყენებენ.

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში მოდუნებულად მიმდინარეობს

პარტიები ერიდებიან ერთმანეთთან კონფლიქტს

„დეილი ჰერალდ“-ი ამანულა-ხანის დამარცხების შესახებ

„ხაბიბულა ტახტზე ასვლას უნდა უმადლოდეს ინგლისის ყოფ. ელჩს კაბულში გემფრისს“

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში

ლონდონი, 26 მაისი; საარჩევნო კამპანია აუღელვებლად მიმდინარეობს, ყოველი პარტია ერიდება სხვა პარტიებთან კონფლიქტებს საგარეო და საერთო საიმპერიო პოლიტიკის საკითხებში. კონსერვატორების, ლიბერალების და მუშათა პარტიის სიტყვები ისე მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ გეგონებათ მათ საერთო პლატფორმა აქვთო. კომუნისტი კანდიდატები ენერგიულ კამპანიას ეწევიან უმთავრესად კლასობრივი ხასიათის საკითხების გარშემო, მაგრამ კაპიტალისტური ოპოზიცია ყოველმხრივ ცდილობს შეანელოს კომუნისტების მიერ დაწყებული საარჩევნო ბრძოლის საკითხი. ერთ-ერთი ისეთი საკითხი, რომლის გამოც სამივე ბურჟუაზიული პარტია ფიქრობს, რომ მათ შორის აზრთა განსხვავებაა, არის საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. მუშათა პარტია და ლიბერალური პარტია დაახლოვებით ერთსა და იმავე თვალსაზრისს იცავენ. ისინი საჭიროდ სცნობენ საბჭოთა მთავრობის ცნობას იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი ინგლისს მისცემს გარანტიას კომუნ.-რი პროპაგანდის წინააღმდეგ. ჯონსონ ხიქსის განცხადება, რომ „რუსეთის ცნობა შესაძლოა, თუ იგი თავს დაიჭერს, როგორც წესი და რიგია“, არსებითად წარმოადგენს ლიბერალ. და მუშათა პარტიების პოლიტიკასთან თანხმობას. ეს განცხადება გვიჩვენებს, რომ კონსერვატორებს ესმით, რომ არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს ეხლანდელი მდგომარეობა (ადს).

საარჩევნო დაპირებები

ლონდონი, 26 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თავის ამომრჩევლებისადმი მიმართვაში ლოიდ ჯორჯი აცხადებს, რომ იმის დამოუკიდებლად, თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, მომავალ მთავრობას პარლამენტში, მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობა ეყოლება. მომავალმა მთავრობამ, ლოიდ-ჯორჯის სიტყვით, უნდა შეზღუდოს და შეამციროს შეიარაღება საპოლიციო თავდაცვის დონემდე, თუ იგი ხელობით ეყურებს ერთა ლიგას, კელოგის პაქტს და ვაშინგტონის შეთანხმებას. ამიტომ დაუყოვნებლივ მოწვეულ უნდა იქნას საერთაშორისო კონფერენცია იმ ღონისძიებათა განსახილველად, რომელთა საშუალებითაც გადაჭრით უნდა შემცირდეს შეიარაღება“.

კამბორნში სიტყვა წარმოსთქვა ლორდ კუშენდენმა, რომელმაც განაცხადა:

„თუ კონსერვატორები კიდევ რამდენიმე წელს დარჩებიან ხელისუფლების სათავეში, ჩვენ ამერიკასთან დავდებთ სავსებით დამაკმაყოფილებელ ხელშეკრულებას, რომელიც მთლად მოსპობს კრეისერების პრობლემას“.

მანჩესტერში მაკდონალდმა განაცხადა, რომ განიარაღების პრობლემა ვერ გადაწყდება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება საბჭოთა კავშირის დეპლომატიური ცნობაო. (ადს).

ამანულა დამარცხდა

ლონდონი, 26 მაისი. რეიტერის სააგენტო ინდოეთიდან იუწყება:

„ამანულა, რომელსაც ინგლის-ინდოეთის მთავრობამ ავღანისტან-ინდოეთის საზღვრიდან ბომბეიში წასვლის ნება მისცა, ბომბეიდან რომში მიემგზავრება. ამანულას გამგზავრება ავღანისტანიდან გამოწვეულია იმით, რომ კელატ-გილზაიში მისი უკანასკნელი ჯარი დაამარცხა ხაბიბულას ჯარმა. ამ დამარცხების შემდეგ ამანულა ყანდაგარში დაბრუნდა ხოლო იქიდან ჩამანში ჩავიდა. (ადს).

ხაბიბულა გემფრისს უნდა უმადლოდეს

ლონდონი, 27 მაისი. „დეილი ჰერალდ“-ი, ამანულას ავღანისტანიდან წასვლის გამო, ეხება ავღანისტანში შექმნილ მდგომარეობას და ახასიათებს ხაბიბულას პოლიტიკას. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საშინაო პოლიტიკაში ხაბიბულა ახორციელებს უკიდურეს რეაქციის კურსს, აუქმებს ყველა რეფორმებს და სხვ., ხოლო საგარეო პოლიტიკაში ცდილობს განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ინგლისის მთავრობასთან.

„საერთო აზრით,—სწერს „დეილი ჰერალდ“-ი ხაბიბულა ხელისუფლების დაპყრობაში უნდა უმადლოდეს ინგლისის ყოფილ ელჩს ქაბულში გემფრისს“ (ადს).

სროლა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

ვარშავა, 26 მაისი. პოლონეთის გაზეთების გადმოცემით, პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე ერთმანეთს სროლა აუტეხეს პოლონეთის მოსაზღვრე რაზმის ნაწილებმა და ლიტვის მსროლელთა ორგანიზაციის წევრთა ჯგუფმა, რომელიც ვითომ პოლონეთის ტერიტორიაზე გადავიდა. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ჩეხო-სლოვაკია

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

პრაღა, 26 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის პრესა ეხება ბუქარესტის გაზეთ „ნაშა რეჩ“-ის წერილს, რომელშიაც აღნიშნულია რომ ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ რუმინეთს შესაძლებლად მიაჩნია გადაისინჯოს საბჭოთა კავშირთან მცირე ანტანტის სახელმწიფოთა დამოკიდებულების საკითხი.

გაზეთ „ნაროდნი ლისტი“-ს გადმოცემით, ერთ-ერთი ელჩი სამხრეთ-სლავიაში, მეფის დავალებით, ამუშავებს საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. როგორც ბუქარესტის გაზეთი „ნაშა რეჩ“-ი იუწყება, ბენეშს სურს დადებითად დაამთავროს ის მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, რომელიც უკვე ორნახევარი წელიწადი გრძელდება და გაგზავნოს მოსკოვში სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

„როტე ფანე“ კვლავ აკრძალეს

ბერლინი, 26 მაისი. ბერლინის პოლიცეი-პრეზიდენტმა, სოციალ-დემოკრატმა ცერგიბელმა ხელახლა აკრძალა 4 კვირით კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“, რომელიც წინად აკრძალული იყო სამი კვირით და მხოლოდ რამდენიმე დღის წინად გამოვიდა. აკრძალვას ყველაზე უფრო დაჟინებით მოითხოვდა ქრისტიანული პროფკავშირების ორგანო, რომელიც სწერდა, რომ „როტე ფანე“-მ პირველი აკრძალვის შემდეგ სრულებით არ შეიცვალა ტონიო.

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფორვერტს“-ი ცდილობს გაამართლოს ახალი აკრძალვა და აღნიშნავს, რომ „როტე ფანე“ თავხედურად მოუწოდებს აჯანყებისაკენ. (ადს).

სუნ-იატ-სენის ნეშტის გადატანა ნანკინში

ბრწყინვალე დამარხვა ანდერძის ასრულების მაგივრად

პეკინი, 26 მაისი. ამერიკის ორგანო „პეკინ ლიდერ“-ი ჰგმობს „იმ ხარჯებსა და დიდ მზადებას, რომლითაც ნაციონალური მთავრობა სუნ-იატ-სენის ნეშტის გადატანას აპირებს ნანკინში“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გარეგანი ბრწყინვალება გვაგონებს ჩინეთის იმპერატორების დროს, როცა ხარჯების დაზოგვა არ იცოდნენო, გაზეთი სწერს:

„რას იტყოდა თავმდაბალი სუნ-იატ-სენი ამ ცერემონიის შესახებ, რომელიც აუარებელ თანხებს ჩანთქავს მაშინ, როცა ჩინელები ათასობით იხოცებიან შიმშილისაგან. როგორ შეაფასებდა იგი იმას, რომ ეს ბრწყინვალე ცერემონია მისი იდეალების სადიდებლად იმართება, ხოლო საქმით მის უმნიშვნელოვანეს იდეალებს უარყოფენო“.

გამოსათხოვარი მიტინგი

პეკინი, 26 მაისი. ცენტრალურ პარკში მოხდა სტუდენტებისა და მუშათა ორგანიზაციების მასიური მიტინგი, რომლის დროსაც პეკინის ორგანიზაციები გამოეთხოვნენ სუნ-იატ-სენის ნეშტს. ორატორები სასტიკად გმობდნენ ნაციონალურ მთავრობას, უწოდებდნენ მას უკანონო და რეაქციონურ მთავრობას და პროტესტს აცხადებდნენ პარტიიდან გომინდანის მემარცხენე ფრთის ლიდერების გამორიცხვის გამო. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

სტოკჰოლმი, 26 მაისი. შვეციის პროფკავშირთა მთლიანობის კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი რეფორმისტების გამთიშველი ცირკულიარის წინააღმდეგ (ცირკულიარი წინადადებას აძლევს შვეციის პროფკავშირების ყველა ორგანიზაციას და ცალკე წევრებს — უარი განაცხადონ მთლიანობის კომიტეტთან შეერთებაზე).

მანიფესტს ხელს აწერს კომიტეტის ყველა წევრი, მათ შორის, კომუნისტებს გარდა, სამი სოციალ-დემოკრატი, ერთი სინდიკალისტი და ორი უპარტიო. მანიფესტი მოუწოდებს შვეციის მუშებს — შექმნან ადგილებზე მთლიანობის კომიტეტები, დაიწყონ ენერგიული ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის რეფორმისტული გამთიშველი ცირკულიარის წინააღმდეგ. (ადს).

ლიტვა-გერმანია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

ლენინგრადი, 27 მაისი. გაიხსნა ლიტვა-გერმანია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია, კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს გერმანიის წარმომადგენელი ჰოლცი. კონფერენცია განიხილავს საკითხს ტვირთების პირდაპირი გადაგზავნის შესახებ გერმანიიდან შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და სხვა საკითხებს. (ადს).

მუნიციპალური საბჭოს დათხოვნა

პარიზი, 26 მაისი. მთავრობის დეკრეტით რივსალტში დათხოვნილ იქნა მუნიციპალური საბჭო. დეკრეტი გამოიცა ჯერ კიდევ იმ გამოძიების დამთავრებამდე, რომელიც დანიშნული იყო არჩევნების სისწორის გამოსარკვევად. გამოძიების დანიშვნა თავის დროზე მოითხოვა ანტი-კომუნისტურმა ბლოკმა, რომელმაც არჩევნებში დამარცხება განიცადა. რივსალტის მერად არჩეული კომუნისტი რეჟონი კვლავ დაპატიმრებულია. მას ბრალდება არჩევნების ფალსიფიკაცია. (ადს)

რკინის გზის ხიდის აფეთქება

ვენა, 26 მაისი. ზაგრებიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ-სლავიაში უცნობმა პირებმა დინამიტის აფეთქებით ძალიან დაზიანეს რკინის გზის ხიდი ზაგრებსა და შიშაკს შუა, რის გამოც შეუძლებელი ხდება რკინის გზით მისვლა ბრეზოვიცის კოშკში (ზაგრების მახლობლად), სადაც უნდა ეცხოვრა სამხრეთ-სლავიის მეფეს ზაგრებში მოგზაურობის დროს. ეს მეორე ასეთი შემთხვევაა ზაგრების რაიონში უკანასკნელი თვის განმავლობაში. პოლიცია ფიქრობს, რომ, თავდასხმის მიზანია — არ დაუშვან მეფის ჩასვლა ზაგრებში. (ადს).

46 გლეხის პროცესი

ვარშავა, 26 მაისი. ლვოვის სასამართლოში დამთავრდა სოფ. ბატიავინის 46 გლეხის საქმის განხილვა. მათ ბრალდებათ „ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა“. ბრალდებული მონაწილეობას იღებდნენ ხე-ტყის გადამზიდველ გლეხთა დემონსტრაციაში, რომელიც ხე-ტყის სახერხი ქარხნის მფლობელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. გლეხებმა უარი განაცხადეს ხე-ტყის გადაზიდვაზე და ხელფასის მომატება მოითხოვეს. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, მოკლულ იქნა 6 გლეხი, ბევრიც დაიჭრა. სასამართლომ 7 თვიდან ერთ წლამდე დაპატიმრება გადაუწყვიტა 41 ბრალდებულს. 5 ბრალდებული გაამართლეს. (ადს).

მუშების შუამდგომლობა „პრავდა“-ს დაჯილდოვების შესახებ

ხარკოვი, 27 მაისი. ლუგანსკის ორთქლმავალთა მშენებელი ქარხნის მუშებმა შემდეგი დეპეშით მიმართეს საბჭოების საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმს:

„ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ლუგანსკის ორთქლმავალთა მშენებელი ქარხნის მუშებმა საკავშირო ცაკის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რომ ჩვენი ლენინური „პრავდა“ დაჯილდოვებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის. ამ შუამდგომლობას შეუერთდნენ ლუგანსკის რაიონის 100.000 მელითონე და მემადნოე, აგრეთვე ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის და ოდესის მუშები. ჩვენ, ლუგანსკის ორთქლმავალზე მომუშავეები ვთხოვთ საბჭოების სრ. საკავშირო ყრილობას — დაამტკიცოს უკრაინის პროლეტარიატის შუამდგომლობა და შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვოს ჩვენი მებრძოლი „პრავდა“.

მუშათა ჯგუფური კრებების დავალებით შვიდი ათასი მომუშავის სახელით ქარხკომი“. (ადს).

ინჟინერ-ტეხნიკოსები გმობენ კონტრ-რევოლიუციონერ მავნებლებს

კიევი, 27 მაისი. ინჟინერ-ტეხნიკოსთა კიევის საოლქო ბიურომ შემდეგი დეპეშით მიმართა საბჭოების საკავშირო ყრილობას:

„კიევის ოლქის 4.000 ინჟინერ-ტეხნიკოსის და აგრონომის სახელით გამოვთქვამთ უღრმეს აღშფოთებას ტრანსპორტზე, და პლატინის მრეწველობაში აღმოჩენილ კონტრ-რევოლიუციონერ დამზიანებლების წინააღმდეგ. კიევის ოლქის ინჟინერ-ტეხნიკოსები მთლიანად იწონებენ მკაცრ სასჯელს, რაც სავსებით დაიმსახურეს დამაზიანებლებმა, რომლებმაც კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის გამოიყენეს საბჭოთა ხელისუფლების ნდობა. კიევის ოლქის ინჟინერ-ტეხნიკოსები აღუთქვამენ საბჭოების საკავშირო ყრილობას, რომ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ სოციალისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებას. ინჟინერ-ტეხნიკოსთა ორგანიზაციებმა ყურადღებით უნდა შეამოწმონ თავიანთი რიგები და გასწმინდონ ეს რიგები უვარგის ელემენტებისაგან“. (ადს).

ერნესტო პრინცი დონბასის შესახებ

ხარკოვი, 27 მაისი. იტალიის დიდი ფირმის, (რომელსაც დონეცის ანტრაციტები გააქვს), ერნესტო პრინცმა უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენი საქმიანი ურთიერთობა დონუგოლთან ნაყოფიერად ვითარდება. საკმაოა ავღნიშნო, რომ 1925 წლიდან დონეცის ანტრაციტის იმპორტი იტალიაში თითქმის რვაჯერ გავაფართოვეთ. საბჭოთა ანტრაციტმა არა თუ გაუძლო ინგლისის ანტრაციტის კონკურენციას, არამედ სდევნის კიდეც მას სხვადასხვა პროვინციიდან. იტალიის ზოგიერთი პროვინციები 1928 წელს მთელ თავიანთ მოთხოვნილებას სათბობზე აკმაყოფილებდნენ დონეცის ანტრაციტით. მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზარდა იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომლებიც მხოლოდ საბჭოთა ანტრაციტს მოითხოვენ“. (ადს).

ხუთწლიანი გეგმა საბჭოების მეხუთე ყრილობაზე

საბჭოთა მიწა-წყლის პატრონი სამი დღის განმავლობაში გულმოდგინედ ლესავდა, საბოლოოდ პირს უკეთებდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს იარაღს—ხუთწლიან გეგმას.

საქმის გულდასმით აწონ-დაწონვა, მოფიქრებული ვარაუდი, მტკიცე გეზის აღება განვითარების ისეთ ტემპზე და ისეთ მიმართულებაზე, რომლებიც ნამდვილად უზრუნველჰყოფენ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდას, ახასიათებენ ხუთწლიანი გეგმის განხილვის მთელ მიმდინარეობას—როგორც სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელთა მრავალსაათიან მოხსენებებს, ისე დელეგატთა ფიცხსა და მხურვალე გამოსვლებს.

ორ-ათას-ხუთასი მოწინავე მებრძოლი, ბუმბერაზული შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკული მონაწილე, ერთხმად აცხადებს, რომ დასახული ამოცანები სავსებით რეალურია, რომ ჩვენი თვალუწვდენი კავშირ. ყველა რაიონის მშრომელები მზად არიან მედგრად, დაუღალავად იბრძოლონ დასამტკიცებლად წარმოდგენილი გეგმების განსახორციელებლად. ხალისი, რწმენა, თავის ამოცანათა მკაფიო შეგნება, პროლეტარული სიმტკიცე სიძნელეთა დაძლევის საქმეში,—ყოველივე ეს თან სდევდა სახალხო მეურნეობის დიდი გეგმის გავლას საბოლოო ეტაპზე, რომლის შემდეგაც იგი გადაიქცევა კატეგორიულ დირექტივად საბჭოთა სისტემის ყველა ორგანოს მუშაობაში.

გამბედაობა გეგმის შედგენაში, გეზი ზრდის სწრაფ ტემპზე, საგეგმო მეურნეობისა და პროლეტარიატის დიქტატურის აშკარა უპირატესობის გამო, გაუგებარი დარჩება ჩვენი კლასობრივი მტრებისათვის. დეგრადაციის გზაზე შემდგარი კაპიტალისტური სისტემის იდეოლოგებმა ჩვენი გეგმიანობის პირველი ნაბიჯები, „გოელროს“ გეგმა, მხოლოდ ბოდვად, ფანტაზიად და პოლიტიკურ მალაყად მიიჩნიეს, ელექტროფიკაციის გეგმა, რომელიც ვლადიმერ ილიჩის თაოსნობით შეიქმნა, მთლიანად ისხამს ხორცს გათვალისწინებული დროის განმავლობაში. რა არაჩვეულებრივი გამჭრიახობა იყო საჭირო, რომ ადამიანს დაეხასიათებინა იგი, როგორც ელექტროფიკაციის გეგმა, როგორც ელექტროფიკაცია!

არ შეიძლება ითქვას, რომ მას აქეთ რამდენიმე თვალსაჩინო რეკონსტრუქცია მომხდარიყოს იმ ჩვენი მოწინააღმდეგეების ტვინისა, რომლებიც დაუღალავად ჩხავიან საბჭოთა ეკონომიურ უმწეობის შესახებ. ჩვენი სამეურნეო გამგებლობის მეთორმეტე წელს, მას შემდეგ, რაც დავამთავრეთ აღდგენის პერიოდი და შევუდექით ფართო რეკონსტრუქციას, ბურჟუაზიულ ეკონომიურ პრესაში კვლავ ვკითხულობთ მოძველებულ, თავმოსაწყენ და მოსაბეზრებელ ლათაიებს. ინგლისური ეკონომიური ორგანო „სტატისტ“-ი, ინგლისის ბურჟუაზიის დარბაისლური, სერიოზული ეკონომიური ჟურნალი, რომელსაც ვერ შევადარებთ ვულგარულ გაზეთებს, „ანალიზს“ უკეთებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიან გეგმას და გულმოდგინედ ლეჭავს 1920 წელს დამზადებულ ძველ, დობლიან, გულის ამრევ კვას. ჟურნალი სწერს:

„თუ ეს ასტრონომიული ციფრები გულწრფელად არის ნათქვამი, მაშინ იძულებული ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების ჯანმრთელობა საეჭვოდ მივიჩნიოთო“. (18 აპრილის ნომერი). ასეთი გასაოცარი სიბეცის მაჩვენებელი სიტყვები ზედმეტად ადასტურებენ, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის გაუგებარია პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო სისტემის ბუმბერაზული უპირატესობანი.

ხუთწლიანი გეგმის ზოგადი სახე ხელმისაწვდომი ხდება მშრომელთა ფართო მასებისათვის. პროდუქციისა და კაპიტალური დაბანდებათა რაოდენობის ყველა აღნუსხული ტემპი, ძირითადი ფონდები და სხვა, რომელთა ეფექტიური დემონსტრაცია ყრილობის წინაშე ელექტრონის რუქის/საშუალებით მოხდა, მკვეთრად უნდა აღიბეჭდოს უფართოესი მასების შეგნებაში. ხუთწლიანი გეგმის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სინამდვილის გარდაქმნისათვის და სოციალიზმისაკენ შეუფერხებელი მსვლელობისათვის აშკარად ხელშესახები უნდა იყოს მილიონიანი მასებისათვის. ამასთანავე ერთად ჩვენ მოვალენი ვართ მშრომელთა ყურადღება მივაქციოთ იმ ენერგიის გამოჩენას, რომელსაც მოითხოვს ხუთწლიანი გეგმა.

ჩვენი ხუთწლიანი გეგმა სრულებითაც არ წარმოადგენს სურათს, მხატვრულ ნახაზებს წინასწარგაჭვრეტის სფეროში, რომელთა დახატვის შემდეგ შეიძლება გულდამშვიდებით იცადო, ვიდრე ყველაფერი თავისთავად განხორციელდებოდეს. ეს ისეთი გეგმაა, რომელიც უდიდესი ძალ-ღონის გამოჩენას მოითხოვს და რომელიც მხოლოდ იმ პირობით განხორციელდება, თუ მშრომელთა მილიონები დაირაზმებიან შრომის ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციად, თუ სოციალისტური მშენებლობა, თუ ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა საუკეთესოდ და სწრაფად განხორციელება აღფრთოვანების ცეცხლს აუნთებს ჩვენი მშენებლობის ყველა ფრონტის მუშაკებს და აქტიურად ჩააბამს ამ მშენებლობაში მუშათა კლასს, ღარიბი და საშუალო გლეხობის შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის ახალ რეზერვებს.

ზრდის აუცილებელ მაჩვენებელთა ანალიზმა, რომელთაგანაც დამოკიდებულია გეგმის რეალიზაცია, უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიჭიროს. ამას უნდა მიექცეს მშრომელთა მთავარი ყურადღება.

ჩვენ შევუდექით საწარმოო ძალთა გაშლა-განვითარების უდიდესი ტემპის განხორციელებას, ამ საქმეში მხოლოდ საკუთარ ძალღონეს ვემყარებით, არ ვვარაუდობთ უცხოეთის კაპიტალის თვალსაჩინო დენას და წინ მოვიწევთ გარედან დახმარების მოულოდნელად, გარედან მომდინარე წინააღმდეგობის მიუხედავად.

— ჩვენი ძირითადი ფონდების ზრდის ტემპი უნდა განვახორციელოთ არაკაპიტალისტური რაციონალიზაციისა და კაპიტალისტური დაგროვების მეთოდებით, რომელიც დამყარებულია ხელფასის შემცირებასა და სამუშაო დღის გახანგრძლივებაზე. სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიან გეგმას ახასიათებს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ზრდა, რეალური ხელფასის გადიდება 100 პროცენტით და მუშების სრული გადასვლა 8 საათის სამუშაო დღიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ჩვენი პარტიის შიგნით ეს გაბედული ტემპი ეჭვიანად ჰგვრის ოპორტუნისტებს, რომელნიც მზად არიან „აღებული ტემპი დამღუპველად“ გამოაცხადონ. მემარჯვენე გადახრა ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალურ ვარიანტს სთვლის „გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად“, მეოცნებე მანილოვებად, მაგრამ იგი მას არ აღიარებს სოციალისტური მშენებლობის სავალდებულო გეგმად. ულმობელი მხილება მემარჯვენე ოპორტუნისტების წუწუნისა და მათი ქანაობისა ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზისაკენ განუყოფელ და მთავარ ნაწილს უნდა შეადგენდეს მშრომელთა იმ შეგნებაში, რომელიც შეეხება ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა სიძნელეებს.

არა უკან დახევა, არამედ დაძლევა!—აი, რანაირია უფართოესი მასების დამოკიდებულება იმ აუცილებელი სიძნელეებისადმი, რომლებიც თან სდევენ ხუთწლიან გეგმას და რომლებიც ჰქმნიან კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენი წინსვლის ეხლანდელ ეტაპზე. ძირითადი ფონდებისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის გაბედული ტემპის საპასუხოდ მუშათა კლასი გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას 110 პროცენტით, შეამცირებს თვითღირებულებას 35 პროცენტით, გააიაფებს სამშენებლო ინდექსს 50 პროცენტით. რწმენის უქონლობა მუშათა კლასის ძალებისადმი და შემოქმედებითი მისწრაფებისადმი ნებას არ აძლევს მემარჯვენე უკლონისტებს, რომ საფუძვლად მიიღონ ეს ვარაუდი და მასზე ააგონ მთელი ჩვენი განვითარების რეალური ტემპი. მათი გონების გარეშე რჩება მძლავრი რეზერვები, რომლებიც ჩამარხულია მთელი ჩვენი სამეურნეო გამგებლობის სისტემაში, სოციალიზმის მშენებელი ფართო მასების დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიაში.

ხუთწლიანმა გეგმამ თვალსაჩინოდ აამოძრავა მასები. მისმა უდიდესმა გამარევოლუციონერებელმა გავლენამ უკვე თავი იჩინა და კვლავაც უფრო და უფრო მეტად იჩენს თავს. სოციალიზმის მშენებლობის მახლობელ ეტაპზე იგი რეალური კანდელია და თავის ამოცანათა გარშემო თავს მოუყრის დასახულ გეგმათა განხორციელებისათვის დაწყებული რევოლიუციონური ბრძოლის მონაწილეთა უფრო ფართო რაზმებს. ეს იქნება ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლა კაპიტალიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელოვანი ბრძოლა არა მარტო თავისი საქმისათვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარული საქმისათვისაც.

ამ ბოლო დროს ჩვენ მოვალენი ვართ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და სახსრები. ამიტომ ხუთწლიანი გეგმის საკითხებთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა აპარატის წმენდის, პარტიის წმენდის და ჩვენი მუშაობის თვისობრივი მაჩვენებელთა ზრდის საკითხები. არავითარი ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა აპარატის ეხლანდელი მდგომარეობა ჯერ-ჯერობით არ შეეფერება მშენებლობის ამოცანებს. იგი გულდასმით უნდა შემოწმდეს, გაიწმინდოს უვარგისი ელემენტებისაგან, აღიჭურვოს უკეთესი, მუშაობის უფრო გაუმჯობესებული მეთოდებით, გამუშურდეს უფრო მეტის გაბედულობით, ვიდრე დღემდის ხდებოდა, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო მძაფრად შევებრძოლოთ აპარატის ბიუროკრატიულ სიმახინჯეებს. ადვილი გასაგებია, თუ რა როლი უნდა ითამაშოს თვით პარტიის რიგების წმენდამ და რამდენად მოიგებს პარტია, როცა თავის წრიდან გამოჰყრის მიტმასნებულ, მძღალ და გახრწნილ ელემენტებს. წმენდა განამტკიცებს პარტიის იდეოლოგიურ მთლიანობას და მონოლიტობას. იგი გააძლიერებს საუკეთესო მუშების, გლეხების და ღარიბთა დენას პარტიაში, წმენდის შემდეგ პარტია შეუდგება სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ამოცანებს უფრო განმტკიცებული და გადიდებული ძალებით.

ხუთწლიანი გეგმის ყოველგვარი ვარაუდის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს მასების აქტიობა და დარაზმულობა. ეს არის ეხლა იწყებს ნაყოფის გამოღებას სწრაფად და მძლავრად განვითარებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სასტიკად ებრძვის მუშაობის გაცდენას, უნაყოფო ხარჯებს, ნედლეულისა და საწვავი მასალის არარაციონალურად გამოყენებას, შრომის დისციპლინის მოდუნებას წარმოებაში და სხვ. ფართო მასების ჩაბმა ხუთწლიანი გეგმისათვის ბრძოლაში, მათი მონაწილეობა მეურნეობის მართვა-გამგეობაში და ბუმბერაზული მშენებლობის ყველა მონაწილის შეჯიბრება მუშაობის საუკეთესო ღირსების მისაღწევად—შესძენენ ჩვენს მეურნეობას განვითარების გაუგონარ სისწრაფეს, რომლის შესახებაც ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა.

„ხუთწლიანი გეგმა დამტკიცებულია“,—ამბობს მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის მშრომელთა ყრილობა. წინ, პარტიის ხელმძღვანელობით, წინ, ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად!

„პრავდა“, 26 მაისი.

ღამის ცნობები

არა მსვლელობა, არამედ ძალების დათვალიერება

პარიზი, 26 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრს ტარდიეს თათბირი ჰქონდა პოლიციის პრეფექტთან კიაპთან. თათბირზე გადასწყდა, რომ პოლიცია მიიღებს ზომებს შემზღუდავი წესების დასაცავად პარიზის მუშების ტრადიციული მსვლელობის დროს კომუნართა კედლისაკენ (მსვლელობა დანიშნულია 26 მაისისთვის). აკრძალულია დროშების გაშლა, სიმღერა პერ ლაშეზის სასაფლაოს ტერიტორიის გარეთ და ლოზუნგების გამოტანა. კომპარტია მოწოდებაში აღნიშნავს, რომ დემონსტრაცია წარმოადგენს არა მარტო ტრადიციულ მსვლელობას იმ ადგილებში, სადაც მხეცურად დახვრიტეს კომუნის გმირები, არამედ მუშათა ძალების შემოწმებასაც რეაქციისა და თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

თევზის ჭერის უფლება

ტოკიო, 26 მაისი. პრესის ცნობით, თევზის მრეწველთა კავშირმა რამდენსამე გემს უფლება მისცა, რომ თავისუფლად დაიჭირონ თევზი კამჩატკის ჩრდილოეთით. ხაკოდატიდან ერთი გემი წავიდა. 31 მაისს მეორე გემი მიდის. (ადს).

გორკი მოსკოვში გაემგზავრა

რომი, 26 მაისი. გორკი მოსკოვში გაემგზავრა. გზად ბერლინზე გაივლის. (ადს)

ინგლისელი მზვერავის დაპატიმრება

შანხაი, 26 მაისი. ინგლისელი ფარული მზვერავი და 1927 წელს საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის მთავარი ორგანიზატორი პიკი, რომელმაც ინგლისურ რეაქციონურ გაზეთ „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-ში რამდენიმე პროვოკაციული წერილი მოათავსა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საერთაშორისო უბნის პოლიციამ დააპატიმრა. მას ბრალდებენ შანტაჟს ჩინელებთან. (ადს).

კატასტროფა ავტომობილების შეჯიბრების დროს

ბერლინი, 26 მაისი. ავტომობილების და მოტოციკლეტების საერთაშორისო შეჯიბრების დროს ლიუკენდორფში ერთი ავტომობილი შეიჭრა ხალხში. 4 კაცი მოკვდა, სამი მძიმედ დაშავდა, 8 მსუბუქად დაშავდა.

მიწის ძვრის შედეგები

ანგორა, 26 მაისი. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი ცნობების თანახმად, 18 მაისს მომხდარი მიწისძვრისაგან კრაგიშასარსა და სუშეჰრში მთლად დაინგრა 1.357 სახლი, ხოლო ნაწილობრივ—313 სახლი. დაინგრა აგრეთვე 74 სოფელი. მოკლული აღმოჩნდა 64 კაცი. დაშავებულია 731.

საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობა

კამათი ამხ. კუიბიშევის და კრჟიჟანოვსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 27 მაისი. საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობის 24 მაისის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. კუიბიშევისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენების გამო.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ტერ-გაბრიელიანმა (ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა), ათაბაევმა (თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკა), ლაკობამ (აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკა) ხუთწლიანი გეგმის პროექტში მრავალი დამატება და შენიშვნა შეიტანეს. ისინი აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის განაპირა რაიონებში ელექტროფიკაციის უფრო ინტენსიურად განვითარების საჭიროებას, ვიდრე ეს ხუთწლიან გეგმაშია გათვალისწინებული. ეს რაიონები ძალზე საჭიროებენ ქიმიურ სასუქს, რადგან იქაურ მიწებს უმთავრესად იყენებენ იმ ძვირფასი ტეხნიკური კულტურებისთვის, რომლებითაც, როგორც ნედლეულით, სარგებლობს საბჭოთა კავშირის მრეწველობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ტოლოკონცევმა (საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს წარმომადგენელმა), სადირინმა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელმა), კალევიცმა (საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარემ).

კამათი ამხ. ლარინის გამოსვლით დამთავრდა.

„პროლეტარიატის კულტურული განვითარების საქმეში, — სთქვა ამხ. ლარინმა, — დიდი როლი უნდა ითამაშოს კინომ და რადიომ. ეს ამჟამად ყოველ ეჭვს გარეშეა. ამასთან მრავალი ჩვენი დაწესებულების ყოველდღიური პრაქტიკა მოწმობს, რომ ზოგიერთებს არ ესმით კინოსა და რადიოს მნიშვნელობა. მაგალითად, სარეწაო გადასახადის განაკვეთების დაწესების დროს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა, კინო-თეატრებს დაბეგროს საერთო ბრუნვის 7,8 პროცენტით, მაშინ, როდესაც ბანქოს თამაში დაბეგრილია 7,8 პროცენტის რაოდენობით, რელიგიური ნივთები (სანთლები, ხატები) — 4,8 პროცენტის რაოდენობით. აი მეორე ფაქტიც. მოსკოვის საბჭომ მაისში დახურა მთელი რიგი კინო-თეატრები, განზრახვაა ზოგიერთი სხვა კინო-თეატრები ახლო მომავალში დაიხუროს“.

ამხ. ლარინს არ აკმაყოფილებს ხუთწლიანი გეგმის ის ნაწილი, რომელიც არყის გამოხდასა და გაყიდვას შეეხება. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, არყის გაყიდვა ქალაქში უნდა შემცირდეს 70 პროცენტით, ხოლო სოფელში — 10 პროცენტით. „ლოთობასთან, — ამბობს იგი, — ჩვენ უფრო გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ“-ო.

დილის სხდომის მეორე ნახევარში საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კრჟიჟანოვსკი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა კამათში აღძრულ ზოგიერთ საკითხზე. „როდესაც ჩვენ ჩვენს გეგმას ვადგენდით, — სთქვა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ, — ჩვენი ლოზუნგი იყო — მასებს მისთვის მსჯავრი დაედოთ. აქ ამ დარბაზში ასეთი მსჯავრის დადება უკვე მოხდა. ჩვენი ქვეყნის გადამწყვეტმა აქტივმა, საბჭოების საკავშირო ყრილობის სახით, უკვე განაჩენი გამოუტანა ხუთწლიან გეგმას“.

„ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ერთად-ერთ პირობას, — განაგრძო ამხ. კრჟიჟანოვსკიმ, — წარმოადგენს ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიის შტაბის მთლიანობა (დარბაზის მქუხარე ტაში). მეორე პირობას წარმოადგენს ის, რომ ყოველმა მუშამ და გლეხმა მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს ხუთწლიანი გეგმის მიერ დასახულ უდიდეს ამოცანათა განხორციელებას. ყოველი აქტივისტი უნდა შეეკითხოს თავის თავს: რა შეუძლია მას გააკეთოს და რა უნდა გააკეთოს მან იმისათვის, რომ ეს უდიდესი გეგმა განხორციელდეს? მოვახმაროთ მთელი ჩვენი სიცოცხლე, მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი შესაძლებლობანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეს!“.

ამხ. კრჟიჟანოვსკის უკანასკნელი სიტყვები ტაშმა დაფარა.

ამხ. კრჟიჟანოვსკისა და კუიბიშევის მოხსენებათა გამო რეზოლიუციის შესადგენად ყრილობამ აირჩია 77 დელეგატისაგან შემდგარი კომისია, ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით.

ამხ. კალინინის მოხსენება

25 მაისის საღამოს სხდომაზე საბჭოების საკავშირო ყრილობამ მოისმინა ამხ. კალინინის მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების გზებისა და კოოპერატიული მშენებლობის შესახებ სოფლად.

თავისი მოხსენება ამხ. კალინინმა დაიწყო ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზთა ანალიზით. მან აღნიშნა, რომ ამ ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს გლეხთა მეურნეობის დაქუცმაცება, რომელიც მოხდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, და ამ მეურნეობის საქონლიანობის შემცირება. ის შეუთანაბრობა, რომელიც ამჟამად არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილებასა და მის წარმოებას შორის, შეიძლება გადალახულ იქნას საზოგადოებრივი მიწათ-მოქმედების გზით. აი ამიტომ იქნა უკანასკნელ ხანებში წამოყენებული მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარების იდეა. „მაგრამ, — სთქვა ამხ. კალინინმა, — სწორი არ იქნება, თუ სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის განვითარებას დაუპირისპირეთ მშრომელ გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება. პირიქით, ამჟამად უნდა მივიღოთ ზომები, როგორც სოციალისტური სექტორის განსავითარებლად, ისე ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მეურნეობებში მოსავლიანობის გასადიდებლად და ნათესი სივრცის გასაფართოვებლად.

შემდეგ ამხ. კალინინი შეეხო სოფლის მეურნეობის განვითარების გზებს კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში. იგი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი გლეხის მეურნეობას დაღუპვა მოელის, რომ მას კაპიტალისტური მეურნეობა ანადგურებს. სულ სხვაა ჩვენი სოციალისტური გზა, გლეხობის ერთ ნაწილს აფრთხობს ეს გზა. ზოგიერთ გლეხებს ეშინიათ, რომ თუ ამ გზას დაადგებიან, თავიანთ მეურნეობას დაჰკარგავენ. მათ არ იციან, რომ დაჰკარგავენ, არა მეურნეობას, არამედ იმ ჯაჭვებს, რომლებითაც ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში არიან შებოჭილნი და რომლებიც გასაქანს არ აძლევენ მათ. ჩვენი გზაა — ნაცვლად დაქუცმაცებული გლეხთა მეურნეობებისა, რომელთაც ახასიათებთ პრიმიტიული ტეხნიკა და შრომის მცირე ნაყოფიერება და უმნიშვნელო საქონლიანობა, შეიქმნას მძლავრი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა პროდუქცია სავსებით დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. ჩვენი გზაა — არა მარტო საფუძვლიანი გარდაქმნა სოფლის ეკონომიკისა, არამედ გარდაქმნა მისი კულტურის, მისი ყოფა-ცხოვრებისა, ჩვენი გზაა — გარდაქმნა ყოველი გლეხისა სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ აქტიურ მშენებლად.

ამხ. კალინინმა აუარებელი მაგალითებით დაასურათა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის სხვადასხვა საფეხურების განვითარება უკანასკნელი წლების განმავლობაში. მან მოიყვანა ცნობები საბჭოთა და კოლმეურნეობების ზრდის შესახებ. იგი ამტკიცებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციას, გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობაზე ზეგავლენის მოხდენ ამ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს.

„სოფლის მეურნეობის სოციალისტური მშენებლობის გზა მეტად რთული და ძნელი გზაა,—სთქვა ამხ. კალინინმა. ამ გზაზე ჩვენ ბევრი დაბრკოლება გველობება, ეს დაბრკოლებანი ჩვენ უნდა გადავლახოთ. ამისათვის ჩვენ მობილიზაციას გავუკეთებთ პროლეტარიატისა და გლეხობის ყველა ძალას, გამოვიყენებთ მეცნიერებასა და ტეხნიკას, ჩავაბამთ, ამ საქმეში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს“.

საღამოს სხდომის მეორე ნახევარი მოანდომეს კამათს ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო.

დიდის ყურადღებით მოისმინა ყრილობამ ამხ. ბუდიონის სიტყვა. მან ყრილობის ყურადღება მიაქცია სოფლის კულტურული აქტივის აღზრდის საჭიროებას, იმ აქტივისა, რომელმაც დიდი დახმარება უნდა გაუწიოს სოფლის გარდაქმნის საქმეს და რომელმაც უნდა ითამაშოს ისეთი შტაბის როლი, როგორის არის მრეწველობისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

შემდეგ გამოვიდნენ ამხ. პლაქსა (უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა), ყარა ახმედოვი (ამ.-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკა), სოვეტკინი (შუა ვოლგის ოლქი), მაზურენკო (უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა) გონჩაროვა (ჩრდილოეთ კავკასია). (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საჭიროა თუ არა საკავშირო მიწსახკომი?

ამხ. შ. ელიავას საუბარი მოსკოვის პრესის წარმომადგენლებთან

მოსკოვი, 27 მაისი. ამხ. შ. ელიავასთან, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, საუბარი ჰქონდა აქაური პრესის წარმომადგენლებს. საუბრის მთავარი საკითხი იყო: საჭიროა თუ მიწადმოქმედების საკავშირო კომისარიატის დაარსება.

ამ შეკითხვაზე ამხ. შ. ელიავამ შემდეგი პასუხი გასცა:

საჭიროა თქვენს შეკითხვაზე, უთხრა მან პრესის წარმომადგენლებს, დადებითად გიპასუხოთ: მიწადმოქმედების ცენტრალური საკავშირო ორგანოს შექმნა აუცილებელია იმ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომელნიც დგანან მთელი საბჭოთა კავშირის წინაშე სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის დარგში.

აუცილებელია შექმნა საკავშირო ორგანიზაციისა, რომელიც გადასჭრის სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად საკითხებს. რა ფორმა უნდა მიეცეს ამ ცენტრს— სახალხო კომისარიატის, კომიტეტის თუ ესა თუ ის ფორმა, ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. პირველ ხანებში შესაძლებელია გამოიძებნოს გარდამავალი ფორმა. მთავარი ისაა, რომ ახალ ცენტრს შეეძლოს სოფლის მეურნეობის ყველა შესაძლებლობათა და ღონისძიებათა სათანადო გზით წარმართვა.

ჩემი აზრით, ახალ ცენტრს მიწადმოქმედების დარგში უნდა დაეკისროს მხოლოდ დირექტიული ხასიათის ფუნქციები. ოპერატიული მუშაობა კი საჭიროა მთლიანად დარჩეს ცალკე რესპუბლიკათა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმეთა ხელმძღვანელი საკავშირო ცენტრის შექმნა დიდად შეუწყობს ხელს ხუთწლიან სამეურნეო საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას სოფლად.

„სელსკო-ხოზიაისტვენაია გაზეტა“-ს ანკეტა

საკავშირო მიწსახკომის დაარსების შესახებ

მოსკოვი, 27 მაისი. „სელსკო-ხოზიაისტვენნაია გაზეტა“ თავის დღევანდელ ნომერში სპეციალურ განყოფილებას უთმობს მიწადმოქმედების საკავშირო კომისარიატის დაარსების საკითხს. გაზეთს მოჰყავს მიწადმოქმედების დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ. ყველა ისინი უერთდებიან ამხ. შ. ელიავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ამრიგათ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ საკავშირო ცენტრის დაარსების აუცილებლობა დავას არ იწვევს. საკითხი დგას მხოლოდ ახალი ორგანოს ფორმის გამოძებნის შესახებ. ამ მიზნით მოწვეულ იქნება საკავშირო ყრილობის დელეგატთა ცალკე რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირი.

საბჭოთა წიგნის დღე მოსკოვში

მ. გორკის წერილი. მწერალ ბრუნო იასენსკის სიტყვა

მოსკოვი, 27 მაისი. რუსეთის სახელგამის დაარსებიდან ათი წლის შესრულების გამო, გუშინ მოსკოვში გაიმართა მრავალრიცხოვანი საზეიმო სხდომა, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ლუნაჩარსკიმ. შემდეგ ილაპარაკა ამხ. არტ. ხალატოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, გამოაქვეყნა მაქსიმ გორკის წერილი.

გორკი სწერს: „აუცილებელია, რომ საბჭოთა წიგნის საშუალებით მუშები და გლეხები ყოველმხრივ ეცნობოდნენ თავიანთ კლასიურ შემოქმედების პროცესს“.

კრება ხანგრძლივი ოვაციებით შეეგება მოსკოვში ახლად ჩამოსულ, საფრანგეთიდან განდევნილ რევოლიუციონერ მწერალს ბრუნო იასენსკის. იასენსკიმ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რუსულ ენაზე.

შვიდი დღე წარმოებისათვის ს—ექვსი დღე მუშებისათვის

მოსკოვი, 27 მაისი. შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიასთან დაკავშირებით მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია მუშების წერილები, რომლებიც შეიცავენ ორიგინალურ და საყურადღებო წინადადებას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საყურადღებოდ.

წერილების ავტორთა აზრით საჭიროა წელიწადის ერთი მეექვსედი, რომლის განმავლობაშიაც სდგას წარმოება, გამოყენებულ იქნას მუშაობისათვის. წელიწადში 52 კვირა დღეა, ამ დღეებში უნდა მოწვეულ იქნან სამუშაოდ კვალიფიციურად სათანადოდ შერჩეული უმუშევარი მუშები. მუშათა ასეთი კადრების უდიდესი ნაწილი, უთუოდ, მოიძებნება შრომის ბირჟაში. წარმოებისათვის საჭიროა 7 დღიანი საქმიანი კვირა. მუშებისათვის კი დარჩება ჩვეულებრივი 6 დღე. ამით ჩვენ დიდად შეუწყობთ ხელს უმუშევრობასთან ბრძოლას და გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებასაც.

აეროპლანით მოსკოვიდან ამერიკაში

მოსკოვი, 27 მაისი. ზეიმით გაიხსნა საჰაერო სეზონი. საბჭოთა ავიაციის პერსპექტივების შესახებ უახლოეს სეზონში, ამხ. უნშლიხტმა, სხვათა შორის, განაცხადა:

გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე წლის აგვისტოდან მოწყობილ იქნას თავის სიძნელით იშვიათი გადაფრენა საბჭოთა კავშირიდან ჩრდილოეთ ამერიკაში. გადაფრენა მოხდება ტუპოლევის კონსტრუქციის აეროპლანზე, რომელიც გაკეთებულია მოსკოვში.

გადასაფრენ მანძილის სიგრძე უდრის 20.000 კილომეტრს. მარშრუტი ასეთია: მოსკოვი,—ნოვოსიმბირსკი—ხაბაროვსკი —ალეუტის კუნძულები—ალიასკა — სან-ფრანცისკო—ჩიკაგო—ნიუ-იორკი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკის საკითხები

ამხ. რიკოვის მოხსენების დასასრული

საბჭოების V საკავშირო ყრილობაზე*)

I. სამრეწველო მშენებლობა

ეხლანდელი პერიოდის თავისებურებანი

მოსკოვი, 25 მაისი. რა არის ერთი შეხედვით უფრო დამახასიათებელი, რაც თვალში გეცემა, ეხლანდელ სამეურნეო მდგომარეობაში? მე მგონია, რომ უფრო დამახასიათებელი გარეგანი მხრით არის მთელი რიგი ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო სამეურნეო ფაქტები. ერთის მხრივ ჩვენ ვაშენებთ დნეპრის ჰიდროსადგურს, მის გარშემო ვქმნით ლითონისა და ქიმიური მრეწველობის უდიდესი ქარხნების ვეებერთელა სამრეწველო კომბინატს, ვქმნით ბუმბერაზულ კომბინატს, რომელიც იდგმება ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა დონეზე, სოფელში ათიათასობით ვავრცელებთ ტრაქტორებს, თვით სოფელში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტეხნიკის სფეროში, ვითარდება მრავალმინდვრიანობა, თესლის დახარისხების საქმე, ეწყობა მრავალი კოლმეურნეობა და ახალი საბჭოთა მეურნეობანი და სხვ.

მეორეს მხრივ—ჩვენს სინამდვილეში ამასთან ერთად ადგილი აქვს სასურსათო სიძნელეებს და ისეთ ფაქტებს, როგორიც არის პურის წიგნაკები, მთავრობის სხდომების დღის წესრიგში ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ხშირად ერთად დგანან საკითხები სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გადიდებისათვის ზომების მიღების შესახებ, ტრაქტორების შემოტანისა და მაგნიტოგორის ქარხნის აგების შესახებ და ისეთი საკითხები, როგორიც არის რამდენიმე მილიონი ფუთი დამატებითი სურსათის ან საქონლის საკვების გამონახვა ხე-ტყის დამზადების უზრუნველსაყოფად.

სამეურნეო მდგომარეობის ეს დახასიათება წარმოადგენს იმ უდიდეს გარდატეხათა გამოხატულებას, რომელნიც მოხდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ცხოვრებაში იმ ხნის განმავლობაში, რაც ამ ყრილობას აშორებს წინა ყრილობებისაგან.

აქვს თუ არა სამეურნეო მდგომარეობის იმ საწინააღმდეგო ხასიათს, რომელიც მე მოვიყვანე, რაიმე ანალოგია წინა წლებში, რომლებიც ჩვენ განვლეთ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ? მე მგონია, არა: ის იყო სიძნელეები მეურნეობის აღდგენის პერიოდისა ძველი ტეხნიკური დონის პირობებში, სხვა სოციალურ დამოკიდებულებათა პირობებში, ვინემ ახლა ვხედავთ. დიდ შეცდომას ჩაიდენს ის, ვინც შეეცდება უწინდელ სიძნელეებთან ანალოგიაში ეძიოს მეთოდები მიმდინარე სიძნელეთა გადასალახავად. ეხლანდელი მდგომარეობის უმთავრეს თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც ოქტომბრის შემდეგ განვლილ წლებში ჩვენთვის უცნობი იყო: სამრეწველო წარმოებამ საერთოდ დაახლოვებით 30—40 პროცენტით გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს; შესამჩნევად გაძლიერდა მუშათა კლასისა და გლეხობის საშუალო, განსაკუთრებით ღარიბი ფენების დარაზმულობა, მათი აქტივობა და შეგნება; მოხდა უდიდესი გარდატეხა კულტურის სფეროში; განსაზოგადოებულ წარმოებასა და განსაზოგადოებულ ბრუნვას ახლა ისეთი მდგომარეობა უჭირავთ, რომელიც მათ უწინ არ ეჭირათ. ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს ის დრო, როდესაც ერთი სახელმწიფო საწარმო ვაჭრობდა მეორე სახელმწიფო საწარმოსთან კერძო ვაჭრის შუამავლობით. ახლა კერძო ვაჭარი საბითუმო ბრუნვიდან განდევნილია სრულიად და საბოლოოდ და საცალო ვაჭრობაშიაც მას უკვე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. კაპიტალისტური ელემენტების აქტივობა დარჩა და გაძლიერდა კიდეც სოფლად, მაგრამ აქაც ეს აქტივობა გაძლიერდა ისეთ პერიოდში, როდესაც არა მარტო განსაზოგადოებულ საქონელბრუნვას, არამედ განსაზოგადოებულ წარმოებასაც უკვე დიდი მასშტაბით შეუძლიათ დაუპირისპირდნენ კერძო-კაპიტალისტურ წარმოებას, გაძლიერდა ისეთ პერიოდში, როდესაც ჩვენ უდიდეს სიმაღლეზე ავიწიეთ ცხოვრების იმ დონესთან შედარებით, რომელიც იყო ამ სამ-ოთხი წლის წინად. ამიტომ ახლა სამეურნეო სიძნელეებთან ბრძოლაში ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ არა მარტო ბევრად უფრო მძლავრი საშუალებანი, არამედ ახალი მეთოდებიც.

საბჭოების წინა ყრილობამ მოგვცა ძირითადი დირექტივა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ; ინდუსტრიალიზაცია მან მიიჩნია უდიდეს ფაქტორად საბჭოთა კავშირის მთელი მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის და სოციალისტური საზოგადოების შექმნის ძირითად გადამწყვეტ საფეხურად. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინოდ წავიდა წინ. მან ისეთ დიდ, შეიძლება ითქვას, ისეთ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია, რის მოლოდინი ჩვენ არც კი გვქონდა. ჩვენს სუსტ ადგილს წარმოადგენდა ლითონის მრეწველობა, რომელიც, მაგალითად, თუჯის წარმოების დარგში 1926—27 წელს ომის წინადროინდელი დონის მხოლოდ 70 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ მიმდინარე წელს ჩვენ, ალბათ, ამ დარგშიაც მივაღწევთ ომის წინადროინდელ დონეს, ხოლო მთელ შავ მეტალურგიაში შეიძლება კიდეც გადავაჭარბოთ მას. სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება ამჟამად სამჯერ სჭარბობს ომის წინადროინდელ წარმოებას, დაწყებულია ტრაქტორების ვეებერთელა ქარხნის აგება, იქმნება მრეწველობის ახალი დარგი, რომელიც ჩანასახ მდგომარეობაში იყო—ქიმიური დარგი, კერძოდ, მინერალური სასუქის წარმოება. მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი, რა თქმა უნდა, მიმდინარე წელს არ დაწყებულა, მაგრამ სარეკონსტრუქციო მუშაობამ ახლა ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ სწორედ ეს ასვამს დაღს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების მთელ ხასიათს სოფელშიაც კი.

კლასობრივი თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების ეს ეტაპი მოასწავებს გაშლილ ფრონტს ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული კლასის ნაშთების ლიკვიდაციისათვის. სახალხო სიმდიდრისა და უფართოესი მასების საცხოვრებელი დონის აწევის თვალსაზრისით იგი გულისხმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის უდიდეს ზრდას, ხოლო ეს მოასწავებს მშრომელთა კეთილდღეობის თვალსაჩინო ზრდას უკვე მახლობელი წლების განმავლობაში, იმის შესაძლებლობის გადიდებას, რომ ბოლო მოუღოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ ჩამორჩენილობას და სხვ. მაგრამ მიუხედავად იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც სწარმოებდა ამ მიმართულებით წინა ორ-სამი წლის განმავლობაში, ჩვენ ამჟამად სამეურნეო მშენებლობის ისეთ სტადიაში ვიმყოფებით, რომელშიაც ეს მუშაობა, უკვე დიდი მასშტაბით დაწყებული და უკვე ფართოდ გაშლილი, ჯერ კიდევ არ იძლევა ყოველი მუშისა და გლეხისათვის ხელშესახებ შედეგებს. სოფლის მეურნეობაში მსხვილი განსაზოგადოებული წარმოების ახალმა ფორმებმა მხოლოდ ეხლა დაიწყეს ფართოდ გაშლა, ხოლო სოფლის მეურნეობის ზრდა ძველ ფორმებში მეტად შეფერხდა, სწორედ ეს ჰქმნის იმ სიძნელეებს, რომლებსაც ჩვენ უკვე ორი წელია განვიცდით.

ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ახლანდელი ეტაპის იმ დახასიათებიდან, რომელიც მე მოვიყვანე, სავსებით ნათელია, რომ თუმცა მეორე წელია, რაც ადგილი აქვს სიძნელეებს, მაგრამ ჩვენი სამეურნეო მშენებლობა უკვე ჰქმნის ნამდვილ საშუალებებს ამ სიძნელეთა ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

თუ ნამდვილად ასეთია ხასიათი იმ ეპოქისა, რომელშიაც ჩვენ ფეხი შევდგით, არა წარმოების ცალკე უჯრედების, არამედ სამეურნეო ცხოვრების უდიდესი ფენების ძირფესვიანი რეკონსტრუქციის ეპოქისა, საზოგადოებრივი კლასების, ე. ი. მრავალი მილიონი ადამიანის კულტურულ გარდაქმნის და სოციალური გარდატეხის ეპოქისა, — სავსებით ნათელია, რომ ეს ბუმბერაზული მუშაობა საკმაო გათვალისწინებით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოხერხებული გონივრული მმართვა-გამგეობით, სამეურნეო მშენებლობის მიმართ გეგმიანი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ნიადაგზე.

ქვეყნის ელექტროფიკაცია

დღემდე ჩვენ ვცხოვრობდით წლიდან-წლამდე სამეურნეო მშენებლობის საკმაოდ ნათელი, მკაფიო, კონკრეტული პერსპექტივის გარეშე. წლიდან-წლამდე ვადგენდით საკონტროლო ციფრებს. ის პერიოდი, რომელიც ახლა დადგა, იმით არის დამახასიათებელი, რომ მიმდინარე ხარჯებს თანდათან უფრო მეტ წილად შემდგომი წლებისათვის ვწევთ.

ავიღოთ თუნდაც თუჯის წარმოება. ამ წარმოების გასადიდებლად ჩვენ უკვე მიმდინარე წელს ვიწყებთ მთელი რიგი დიდი ქარხნების აგებას, რომელნიც მხოლოდ 4 წლის შემდეგ მოგვცემენ თუჯს. მაგრამ თუჯის წარმოების ზრდა არ შეიძლება განკერძოებული იყოს. იგი დამოკიდებულია მადნის ამოღებაზე და დაკავშირებულია მანქანათმშენებლობასთან, ტრანსპორტთან და მთელ მეურნეობასთან. მეურნეობის ყველა დარგის განვითარება შეთანხმებულ უნდა იქნას ერთმანეთთან მთელი რიგი მომავალი წლებისათვის. ერთი წლის ფარგლები ვიწრო და არასაკმარისია გეგმანობისათვის სამეურნეო მშენებლობის იმ ეტაპზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

ეს გარემოება იწვევს მრავალწლოვანი საპერსპექტივო გეგმის მწვავე საჭიროებას. საბჭოების მე-5 ყრილობაზე განსახილველად წარმოდგენილია ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შედგენილია სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ და განხილულ-დამტკიცებული ზოგიერთი დამატებით. იგი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატავს იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც დგანან ჩვენს წინაშე და იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც სოციალისტური მშენებლობა უდგენს ყოველ ჩვენგანს.

საბჭოების ყრილობები პირველად როდი იხილავენ ასეთ ფართო გეგმებს. ჯერ კიდევ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოების მე-8 ყრილობაზე, ილიჩის წინადადებით, ირჩეოდა ელექტროფიკაციის გეგმა. მაშინ ეს იყო პირველი ცდა იმ მეთოდების განზოგადოებისა, რომელთა საშუალებითაც უნდა შენდებოდეს ჩვენი მეურნეობა, სოციალისტური მეურნეობა.

ამ ყრილობაზე ვლადიმერ ილიჩმა შემდეგნაირად შეაფასა ელექტროფიკაციის გეგმა: „მე ვფიქრობ, რომ არ გამიჭირდება დაგარწმუნოთ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პატარა ტომს"—სთქვა მან და მიუთითა ყრილობის მონაწილეთ 600—700 გვერდიან წიგნზე, რომელიც შეიცავდა ელექტროფიკაციის გეგმას.

„ჩემი შეხედულებით ეს არის პარტიის მეორე პროგრამა. ჩვენი პროგრამა არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ პარტიის პროგრამად. იგი უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურ. მშენებლობის პროგრამად, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც პარტიის პროგრამად ივარგებს. იგი უნდა შეივსოს პარტიის მეორე პროგრამით, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და მისი თანამედროვე ტეხნიკის დონემდე აყვანის მუშაობის გეგმით. ელექტროფიკაციის გეგმის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია გადავიდეთ ნამდვილ მშენებლობაზე. კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია".

ელექტროფიკაციის ეს გეგმა განსახილველად შეტანილ იქნა 1920 წელს უდიდესი სამეურნეო რღვევის პერიოდში იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შემდეგ. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოების მე-8 ყრილობამ ამ გეგმის შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „რუსეთის ელექტროფიკაციის ეს გეგმა, რომელიც ს. მ. უ. საბჭოს ინიციატივით შეიმუშავა ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიამ, ყრილობას მიაჩნია უდიდესი სამეურნეო წამოწყების პირველ ნაბიჯად. ყრილობა ავალებს სრულიად რუსეთის ცაკს, სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს, აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებს დაამთავრონ ამ გეგმის დამუშავება და ამასთანავე აუცილებლად უმოკლეს ვადაში დაამტკიცონ იგი. შემდეგ ყრილობა ავალებს მთავრობას სთხოვოს სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს და პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობას მიიღონ ყველა ზომა ამ გეგმის ფართო პროპაგანდისათვის და მასთან ქალაქისა და სოფლის უფართოესად ფართო მასების გასაცნობად. ყრილობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულება, დეპუტატთა საბჭოები, მუშები და მშრომელი გლეხები მოიკრებენ მთელ ძალ-ღონეს და არ მოერიდებიან არავითარ მსხვერპლს რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის განსახორციელებლად, რათაც არ უნდა დაჯდეს ეს და რა დაბრკოლებიც არ უნდა გადაელობოს მას".

ის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ჩვენ ამ ყრილობაზე შემოგვაქვს, „გოელრო"-ს (რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის) გეგმას ეყრდნობა. ამ უკანასკნელის ენერგეტიული საფუძველი ხუთწლიან გეგმაშიაც დარჩება ინდუსტრიის განვითარების საფუძვლად. მაგრამ ხუთწლიან გეგმაში ჩვენ ბევრად უფრო შორს მივდივართ, ვიდრე ეს „გოელრო"-ს გეგმით იყო გათვალისწინებული.

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოების მე-8 ყრილობა გამოსავალ წერტილად იმას იღებდა, რომ 10—15 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა აგვეგო 30 ახალი რაიონული ელექტრო-სადგური 1.750 მილიონ კილოვატის საერთო სიმძლავრით. რა გაკეთდა? ამ 30 სადგურიდან 7 ამჟამად უკვე მუშაობს, 8 შენდება, 5-ის პროექტები სდგება. მომუშავე რაიონული სადგურები იძლევიან დაახლოვებით ნახევარ მილიონ კილოვატის სიმძლავრეს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე კიდევ ამუშავდება 100,000 კილოვატი. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ ხუთი წლის განმავლობაში დამთავრდება არა 30, არამედ 40 რაიონული სადგურის აგება და ეს სადგურები მოგვცემენ არა 1,750 მილიონი კილოვატის სიმძლავრეს, როგორც ამას „გოელრო"-ს გეგმა ითვალისწინებდა, არამედ 3 მილიარდ კილოვატზე მეტს. ამრიგად ხუთწლიანი გეგმა, იმ გადაწყვეტილებასთან შედარებით, რომელიც რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოების მე-8 ყრილობამ მიიღო, წარმოადგენს უდიდეს ნახტომს წინ.

როგორც ჩვენი სამეურნეო განვითარების გამოცდილებამ, ისე მრეწველობის განვითარების მსოფლიო გამოცდილებამაც მთლიანად დაადასტურა ის თვალსაზრისი, რომლიდანაც გამოდიოდა საბჭოების მე-8 ყრილობა, სახელდობრ ის, რომ მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის ღერძს წარმოადგენს ელექტროფიკაცია რაიონული ელექტროსადგურების საშუალებით. ჩვენს პირობებში, ე. ი. განსაზოგადოებული გეგმიანი მეურნეობის პირობებში, ელექტროფიკაციის მნიშვნელობა ბევრად უფრო იზრდება და ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ვინაიდან რაიონული ელექტროსადგურები ჩვენში ამავე დროს წარმოადგენენ მრეწველობის რაიონული ორგანიზაციის ძალოვან აპარატს, იმის გამო, რომ განსაკუთრებით მოხერხებულია ენერგიის გადაცემა მავთულებით შორეულ მანძილზე, საფაბრიკო-საქარხნო საწარმოები უკვე ამჟამად ლიკვიდაციას უშვრებიან თავიანთ ძალოვან დანადგარებს, გადააქვთ თავიანთი ძალოვანი აპარატი ფაბრიკისა და ქარხნის კედლებს გარეთ და თავს უყრიან მას რაიონულ ელექტროსადგურში. ელექტრონის ენერგიის კონცენტრაციული მიწოდება უდიდესი რაიონებისათვის ჩვენს პირობებში საშუალებას მოგვცემს ეს ენერგია შემდეგში გამოვიყენოთ არა მარტო მრეწველობისა და ქალაქის მოსახლეობისათვის, არამედ სოფლის მეურნეობისა და სოფლის მოსახლეობისათვისაც და უეჭველ გავლენას მოახდენს ხელოსნურ და შინასამრეწველო შრომაზედაც. ამრიგად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მძლავრი საშუალების—ენერგეტიკის განვითარებას და ამ გზით მრეწველობისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების შექმნას.

მძიმე ინდუსტრია

საბჭოების ყრილობას დაწვრილებით მოხსენდა როგორც ხუთწლიანი გეგმა, ისე მეურნეობის ის დონე, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ და რომელსაც ეს გეგმა ემყარება. ამიტომ ჩემს მოხსენებაში შევეხები იმ დარგებს, რომლებსაც ამჟამად აქვთ ძირითადი მნიშვნელობა. რაც შეეხება მრეწველობას, უწინარეს ყოვლისა უნდა ვილაპარაკოთ თუჯზე, ქიმიაზე და მანქანათმშენებლობაზე.

მე უკვე ვთქვი, რომ შავ მეტალურგიაში მიმდინარე წელს ჩვენ მივაღწევთ წარმოების ომის წინადროინდელ დონეს, მის კაპიტალურ მშენებლობაში მიმდინარე წელს ვაბანდებთ 285 მილიონ მანეთს. თუჯს და მანქანათმშენებლობას კიდევ დიდხანს ექნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენს სამრეწველო მშენებლობაში. მე მგონია სხვანაირად არც შეიძლება. ყოველ ტეხნიკურ რეკონსტრუქციას, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებას, მის ორგანიზაციას ახალ ტეხნიკურ და სოციალისტურ საფუძველზე, ყოველი წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას ესაჭიროება წარმოების იარაღი, რომლის ნედლეულსაც თუჯი წარმოადგენს. თუჯი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, გამოსავალ მასალას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ამით განისაზღვრება ის უდიდესი ადგილი, რომელიც უჭირავს შავ მეტალურგიას ახალ მშენებლობაში. მიმდინარე წელს ჩვენ უკვე დავიწყეთ მაგნიტოგორის ქარხნის აგება ურალზე, ციმბირში—კუზნეცკის ქარხნის და უკრაინაში—კრივოიროგის ქარხნის აგება. თუჯის წარმოების სიდიდით განისაზღვრება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დონე. ამჟამად თუჯის წარმოებაში ჩვენ გვიჭირავს მეექვსე ადგილი მსოფლიოში. ხუთწლედის დამლევისათვის დავიკავებთ მესამე ადგილს, თუ ამერიკისა და გერმანიის განვითარების ტემპი დაახლოვებით ისეთივე იქნება, როგორიც ის ამ უკანასკნელ წლებში იყო. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საკმარისი იყოს ჩვენ სახელმწიფოსათვის, იმიტომ, რომ იმ დროისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ალბად მიაღწევს 170 მილიონს, ე. ი. გერმანიისთანა რამდენიმე სახელმწიფოს მოსახლეობის თანაბარი იქნება, ხოლო თუჯის წარმოებით მაინც კიდევ გერმანიის შემდეგ ვიდგომებით.

მრეწველობის შემდეგი დარგი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, არის ქიმიური დარგი. დღემდე, განსაკუთრებით გლეხურ მოსახლეობაში, სავსებით ნათლად ვერ უწევდნენ ანგარიშს ქიმიური მრეწველობის როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

ამავე დროს კი სწორედ ქიმია წარმოადგენს სახალხო მეურნეობის იმ დარგს, რომლითაც ყველაზე უფრო ადვილია დავუმტკიცოთ ყოველ გლეხს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არა მარტო მუშების საქმეა, არამედ გლეხების საქმეც. გერმანელ გლეხს ორჯერ-სამჯერ უფრო დიდი მოსავალი მოჰყავს დესეტინაზე. რატომ?—პირველ ყოვლისა ქიმიური მრეწველობის მეოხებით, რომელიც აძლევს მას ქიმიურ სასუქს. ქიმიის როლი მიწის ნაყოფიერების გადიდებაში სჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როგორც ამტკიცებს მიწადმოქმედებაში მეცნიერების გამოყენების პრაქტიკა, აზოტიანი სასუქის ერთ ტონას შეუძლია მოგვცეს დამატებითი მოსავალი 3 ტონა პური ან ნახევარი ტონა ბამბა ან 18 ტონა ჭარხალი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ეს დამატებითი მოსავალი შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ქიმიური მრეწველობის განვითარებით საბჭოთა კავშირში. ამ მაგალითზე, მე მგონია, განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს, რომ, თუ გლეხს სურს სწრაფად გაადიდოს მოსავალი დესეტინაზე, მან ხელი უნდა შეუწყოს ქიმიური ქარხნების მშენებლობას. ქიმიურ ქარხნებსა და ქიმიურ მრეწველობაზე სავსებით დამოკიდებულია ბრძოლა მავნებლებთან, გლეხისათვის საჭირო მთელ რიგ სხვა წარმოებაზე რომ არ ვილაპარაკოთ.

ზოგიერთი მეცნიერის გამოანგარიშებით ქიმიური მრეწველობის განვითარების და მისი მიწადმოქმედებაში ფართოდ გამოყენების მეოხებით დასავლეთ ევროპაში ამჟამად პურის წარმოება გადიდდა იმ რაოდენობაზე მეტად, რაც იქ ომამდე ამერიკიდან და მეფის რუსეთიდან შედიოდა. მაგრამ ქიმიური მრეწველობა საბჭოთა კავშირში სრულიად ახალი დარგია, ოქტომბრის რევოლუციამდე, სიმართლე, რომ ვთქვათ, ქიმიური მრეწველობა თითქმის არ არსებობდა, იგი ხელახლად უნდა შეგვექმნა. ამაზე თქვენ შეგიძლიათ წარმოდგენა იქონიოთ შემდეგი ციფრებით: 1913 წელს დამზადებული იყო სულ 55.000 ტონა სუპერფოსფატი, ჩვენ უკვე ახლა ვამზადებთ 215.000 ტონას, ხოლო ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მისი წარმოების გადიდებას თითქმის 3,5 მილ. ტონამდე. ქიმიური მრეწველობის განვითარება მოითხოვს უდიდეს ხარჯებს. მაგ., დონეცის ბასეინის მინერალური სასუქის ქარხნები დაახლოვებით 200 მილიონი მანეთი დაჯდება, ბერეზნიაკოვსკის ქიმიური კომბინატი ურალზე 86 მილიონი მანეთი და სხვ.

გლეხები ზოგჯერ მეკითხებიან, თუ რატომ ექცევა ასე დიდი ყურადღება მძიმე ინდუსტრიას და ასე დიდი თანხები ხმარდება მას, ხოლო სოფლის მეურნეობაზე მცირე თანხები იხარჯება და მის შესახებ ცოტას ლაპარაკობენ და ფიქრობენ.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკს, ასეთი ლაპარაკი იმდენია, რამდენიც გნებავთ, ხოლო არსებითად, ჯერ—ერთი, სრულებით არ არის მართალი, თითქმის ჩვენ მცირე თანხებს ვახმარდეთ სოფლის მეურნეობას, და, მეორე—თვით სოფლის მეურნეობის განვითარება უაღრესად დამოკიდებულია მძიმე მრეწველობაზე. რომ სოფლის მეურნეობაში წარმატებით მივაღწიოთ და გადამჭრელი ბრძოლა გავუმართოთ მის ტეხნიკურ ჩამორჩენილობას, ამისათვის გლეხს უნდა მივაწოდოთ კარგი საწარმოო იარაღი—გუთანი, სათესი მანქანა, სალეწი მანქანა, ტრაქტორი, უნდა მივცეთ მინერალური სასუქი, დავეხმაროთ მას მავნებლებთან ბრძოლაში და სხვ. ყოველისავე ამას იძლევა სწორედ მძიმე მრეწველობა.

მიმდინარე წელს ომის წინადროინდელი საპრეისკურანტო ფასებით ჩვენ დავამზადებთ 210 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის ეს წარმოება 610 მილიონ მანეთამდე მიაღწევს. ჩვენ რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას არ ვანვითარებდეთ, გლეხები იძულებული იქნებოდნენ თითონ მოეწყოთ ცუდი იარაღის წარმოება შინასამრეწველო სამჭედლოებში, ან ხის იარაღით ეჩიჩქნათ მიწა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ სწორედ იმისათვის ვაშენებთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა თავის მხრივ დაკავშირებულია თუჯის წარმოებასთან, რომლისგანაც სასოფლო-სამეურნეო მანქანა კეთდება, ე. ი. მძიმე მრეწველობის განვითარებასთან. ჩვენ უკვე შევუდექით ისეთი "წმინდა გლეხური" ქარხნების აგებას, როგორიც არის სტალინგრადის ტრაქტორების ქარხანა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დაჯდება 30 მილიონი მანეთი, ხოლო როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ალბათ უფრო ძვირიც, მაგრამ რამდენი,—ამის თქმა მე არ შემიძლია. ეს ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 50.000-მდე ტრაქტორს. როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა ღირს 46 მილიონი მანეთი. მისი ერთი ცეხი უკვე მიმდინარე წელს იწყებს მუშაობას, ყოველივე ეს მოასწავებს მრეწველობის იმ დარგის უდიდეს ზრდას, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. ომამდე მეფის რუსეთში მზადდებოდა 67 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ჩვენ კი, როგორც ვთქვით, ეხლა დავამზადებთ 210 მილიონი ომის წინადროინდელი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის დავამზადებთ 610 მილიონ მანეთისას.

ეს ციფრები მოწმობენ უდიდეს ტეხნიკურ პროგრესს, რომელსაც სოფლისათვის მოაქვს ინდუსტრიალიზაცია და რომელიც კრედიტისა და სხვა საშუალებით აძლიერებს ღარიბი გლეხობის მილიონიერების შესაძლებლობას.

საქონლის ნაკლებობის შესახებ

რამდენიმე სიტყვა მსუბუქი მრეწველობის შესახებ. თუ მძიმე მრეწველობის მიმართ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მისი პროდუქციის—სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქის, ტრაქტორების, რკინის და სხვ. მომხმარებელ ბაზარს, მსუბუქი მრეწველობის მიმართ სოფლის მეურნეობა, გარდა ამისა, წარმოადგენს ნედლეულის მომწოდებელსაც. დღემდე ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსუბუქი მრეწველობა ვერ ამუშავებდეს ნედლეულის იმ რაოდენობას, რომელსაც მას აწვდის სოფლის მეურნეობა. მსუბუქი მრეწველობის რეკონსტრუქციის დროს მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ მისი განვითარების ფარგლები დამოკიდებულია არა მარტო რეკონსტრუქციის მოცულობაზე, არამედ ნედლეულის იმ რაოდენობაზედაც, რომელიც შეუძლია მისცეს მას სოფლის მეურნეობამ.

ამასთან დაკავშირებით მე პასუხს გავცემ იმ შეკითხვაზე, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს მაძლევდნენ ყველა ყრილობასა და ყველა კონფერენციაზე: რით აიხსნება, რომ სამრეწველო პროდუქციამ თვალსაჩინოდ გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს, ხოლო სამრეწველო ნაწარმოები არ არის არც ქალაქის კოოპერატივებში და არც სოფლებში, რომ საქონლის ნაკლებობა არ მცირდება? რაშია საქმე? საქმე იმშია, რომ მოთხოვნილების სიდიდე ჩვენს საბჭოთა კავშირში იზრდება არა ნაკლებ, ხოლო ზოგჯერ უფრო, ვიდრე იზრდება წარმოება. ამ უკანასკნელ წლებს განსაკუთრებით ახასიათებს ის, რომ ქალაქისა და სოფლის უდიდესი მასები, რომელნიც თავიანთი მატერიალური მდგომარეობით ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფილ ფენებს ეკუთვნოდნენ, წლითი-წლობით უფრო მაღალ დონეს აღწევენ და აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას. ჩვენში 150 მილიონი მოსახლეობაა. დავუშვათ, რომ ყოველი ოჯახი, ხოლო ოჯახების რიცხვი ალბად დაახლოვებით 40 მილიონი იქნება, წელიწადში 25 მანეთით მეტ საქონელს იძენს, ე. ი. თვეში 2 მანეთზე ცოტა მეტით ადიდებს ნაყიდ საქონელს. წელიწადში ეს შეადგენს მოთხოვნილების გადიდებას 1 მილიარდი მანეთით. მაგრამ ცხოვრების ასეთი გაუმჯობესება ისეთი მცირედ შესამჩნევი ფორმით, როგორიც არის ოჯახის მოთხოვნილების თვეში ერთი-ორი მანეთით ზრდა, ჩვენში ხდება მრავალ ათეულ მილიონ ხალხის უდიდეს ფრონტზე. იმ ადამიანების უდიდესი მასის გამო, რომელთა მდგომარეობაც უმჯობესდება, თვითეულის მოთხოვნილების მცირედი ზრდა იძლევა მოთხოვნილების ზრდის ვეებერთელა ციფრებს ჩვენს ქვეყანაში. გარდატეხა მოთხოვნილებაში, რაც თითონ იმ ღარიბი გლეხისათვის, რომელიც თავის მოთხოვნილებას უმნიშვნელო თანხით ადიდებს, ზოგჯერ მცირედ შესამჩნევიც კია, ათეულ მილიონებზე გამრავლების შემდეგ იძლევა უდიდეს დამატებით მოთხოვნილებას ჩვენი მრეწველობის მიმართ.

ამ პროცესს კიდევ დიდხანს ექნება ადგილი, იმიტომ, რომ მეფის შემდეგ ჩვენ ხალხის ფენები და ხალხის მოთხოვნილებანი ამოგვყავს ულრმეს ორმოდან, იმიტომ, რომ მდგომარეობის ეს გაუმჯობესება მოდის მეტად დაბალ დონიდან, როდესაც ჯერ კიდევ მოსახლეობის ყველაზე ელემენტარული და ყველაზე არსებითი მოთხოვნილებებიც არ არის დაკმაყოფილებული, როდესაც მუშის ბიუჯეტში ძლივს იჩენს თავს ეგრედ წოდებული კულტურული ხარჯების რუბრიკა, ხოლო გლეხის ბიუჯეტში ჯერ-ჯერობით ასეთი რუბრიკა თითქმის სრულებით არ სჩანს. ჩვენი სამეურნეო განვითარების ეხლანდელ სტადიაში წარმოების ჩამორჩენა მოთხოვნილებაზე, რომელიც უფრო დაჩქარებული ტემპით იზრდება, იმითაც აიხსნება, რომ ჩვენ კაპიტალურ მშენებლობაში მილიარდებს ვაბანდებთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით მივიღოთ სამაგიერო პროდუქტი იმ ქარხნებიდან, რომლებიც შენდება; ეს მილიარდები კი ჰქმნიან ახალ მოთხოვნილებას არა მარტო საწარმოო საშუალებებზე, არამედ იმ მუშების მოხმარების საშუალებებზედაც, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ახალი ქარხნების მშენებლობაში. ეს ქარხნები კი ჯერ-ჯერობით პროდუქციას არ იძლევიან.

კაპიტალური ხარჯები

მიმდინარე წელს ამუშავდება ზოგიერთი ახალი ქარხანა, რომლების მშენებლობას ჩვენ ამ რამდენიმე წლის წინად შევუდექით, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ ხუთწლედის დამლევისათვის საერთო პროდუქციის დაახლოვებით 30 პროცენტს უკვე ახალი საწარმოებიდან მივიღებთ. ეს დამატებითი პროდუქციის უდიდესი ზრდის მომასწავებელი იქნება. ის უდიდესი სახსრები, რომლებსაც ჩვენ ამჟამად კაპიტალურ სამუშაოებში ვაბანდებთ, იწყებენ თანდათან უფრო სწრაფად ბრუნვას და ადიდებენ საქონლის მასას.

მიმდინარე სტადიაში ინდუსტრიალიზაციის ტემპი პირველ რიგში დამოკიდებულია კაპიტალური მშენებლობის სიდიდეზე. მიმდინარე წელს კაპიტალურ სამუშაოებზე მრეწველობასა და ელექტროფიკაციაში ჩვენ ვხარჯავთ თითქმის 2 მილიარდ მანეთს.

საიდან ვიღებთ ჩვენ ამ სახსრებს? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ითამაშა, ჯერ ერთი,—იმან, რომ თვით მრეწველობამ დაიწყო მოგების მოტანა, მეორე—იმან, რომ ჩვენ, განსაკუთრებით წინა წელს, უაღრესად გამოვიყენეთ ის რესურსი, რომელსაც ვლადიმერ ილიჩი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა—ეკონომია და ყაირათობა, ე. ი. ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება, რამაც, მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოანგარიშებით მოგვცა დაახლოვებით 300 მილიონი მანეთის ეკონომია. სახელმწიფო ბიუჯეტში ჩვენ შევამცირეთ ადმინისტრატიულ - სამმართველო ხასიათის ხარჯების ხვედრითი წონა 8,7 პროცენტიდან 4,9 პროცენტამდე. მხოლოდ ვშიშობ, რომ ეს კარგი საქმე, რომლის განხორციელებაც შევსძელით დიდი გაჭირვებით, სასტიკი ზომებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის დახმარებით, შემდეგში არ გავაფუჭოთ ყურადღების შესუსტებით და სადავის მოშვებით. კაპიტალურ სამუშაოთა სიდიდე ისეთია, რომ საჭიროა შემდგომი ზომების მიღება ეკონომიის ხაზით. ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის განმავლობაში ითვალისწინებს 16,5 მილიარდი მანეთის დახარჯვას გეგმიანი მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაზე, ხოლო ელექტროფიკაციასთან ერთად დაახლოვებით 20 მილიარდისას (ეს ციფრებია 1926—27 წლის უცვლელი ფასების მიხედვით, სათანადო წლების ფასების მიხედვით ეს ციფრები შემცირებულ უნდა იქნან, ვინაიდან ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თანხების თვალსაჩინო შემცირებას). შეეფერება ეს ჩვენს ძალ-ღონეს თუ არა? გასული წლების გამოცდილებაც, როდესაც ჩვენ ფაქტიურად ვახერხებდით კაპიტალური ხარჯების გაწევას რამდენიმე უფრო დიდი რაოდენობითაც კი, ვიდრე გეგმებით იყო დასახული, და ჩვენი ეკონომისტების მიერ მოხდენილი გამოანგარიშებანიც მოწმობენ, რომ სწორი პოლიტიკისა და კარგად დაყენებული მუშაობის პირობებში ხუთწლიან გეგმაში დასახული ტემპი არა თუ შეიძლება განხორციელებულ იქნას, არამედ შეიძლება კიდეც გაძლიერდეს.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მრეწველობის კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 60 პროცენტით (1926—27 წელს გეგმიან მრეწველობასა და ელექტროფიკაციაში დაბანდებული იყო 1.243.800,000 მანეთი, 1928—29 წელს—1.987.600,000 მან.). რომ ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად იმდენს ვაბანდებდეთ, რამდენსაც მიმდინარე წელს, ეს შეადგენს 10 მილიარდ მანეთ კაპიტალურ ხარჯებს ხუთწლედის განმავლობაში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალური ხარჯების ორჯერ უფრო დიდ თანხას. მაგრამ ამ ხარჯებს თან სდევს სამრეწველო პროდუქციის ისეთი ზრდა, რომელმაც ხუთწლედის დამლევისათვის უნდა მოგვცეს თითქმის გასამკეცება 1927—28 წლის პროდუქციასთან შედარებით; ეს მოასწავებს ამორტიზაციისა და მოგების სიდიდის წლითი წლობით თვალსაჩინო ზრდას.

სამრეწველო დაგროვება უფრო სწრაფად განვითარდება, ვიდრე წარმოების ზრდა, ვინაიდან იგი დამყარებული იქნება არა მარტო პროდუქციის ზრდაზე, არამედ შრომის ნაყოფიერების უდიდეს მომატებაზედაც, რომლის პირობას წარმოების ახალი ტეხნიკა წარმოადგენს, და პროდუქციის თვითღირებულების ისეთ გაიაფებაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს არა თუ შევამციროთ ფასები და გავადიდოთ სამუშაო ხელფასი, არამედ დაგროვებაც გავადიდოთ. და სწორედ ის, რომ ჩვენ უბრალოდ კი არ ვაშენებთ ახალ ქარხნებს, არამედ ვაშენებთ ახალ ქარხნებს ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, რომ ჩვენ უბრალოდ კი არ ვაფართოვებთ ძველ ქარხნებს, არამედ ვანხორციელებთ მათ რეკონსტრუქციას, ესე იგი ვცვლით მათ ტეხნიკურ საფუძველს, რომელიც უკვე რამოდენიმე ათი წლის წინად მოძველდა,—სწორედ ამ მომენტში, მრეწველობის ტეხნიკური საფუძვლის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის მომენტში, ჩვენ უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების უდიდესი ზრდისა და თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობას და მრეწველობის შინაგანი დაგროვების ისეთ ზრდას, რომელიც წარმოადგენს დაგროვების გადამწყვეტ წყაროს და ჩვენი ძალღონის შესაფერისად ხდის ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ კაპიტალური ხარჯების გარაუდებს.

წინა წლების გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების ტემპების ზრდა ამტკიცებს მეურნეობის ზრდის ისეთი ტემპის მიღწევის შესაძლებლობას, რომელიც ბურჟუაზიული თვალსაზრისით განსაცვიფრებელი სჩანს. მაგრამ ეს განსაცვიფრებელი ტემპი იმით აიხსნება, რომ წარმოების კაპიტალისტური სისტემის დროს დამატებითი ღირებულების უმეტესი ნაწილი იხარჯება კაპიტალისტების კლასის არასაწარმოო მოხმარებაზე (მაგალითად, მეფის რუსეთში, ზოგიერთი ჩვენი ეკონომისტის გამოანგარიშებით, დამატებითი ღირებულების დაახლოვებით ნახევარს უნაყოფოდ ხარჯავდნენ კაპიტალისტები).

ჩვენში აღმოიფხვრნენ არა მარტო არამწარმოებელი კლასები და, მაშასადამე, მათი არასაწარმოო მოხმარებაც, არამედ მთელი რიგი ისეთი არასაწარმოო ხარჯებიც, რომელნიც დაკავშირებულნი არიან წარმოებასა და ბრუნვის კაპიტალური სისტემის ყველა პირობებთან და იმ დაბრკოლებათა გადალახვასთანაც, რომლებსაც უქმნის წარმოებას კერძო საკუთრება მიწაზე, ტყეებზე, წიაღზე, წარმოების იარაღსა და საშუალებებზე. ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ მთელ რიგ ისეთ ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კაპიტალისტური სისტემის დროს. მიუხედავად ჩვენი მუშაობის ყველა ნაკლისა ჩვენ გვაქვს უდიდესი უპირატესობანი ბურჟუაზიულ მსოფლიოს წინაშე მეურნეობის გეგმიანობითა და ორგანიზაციული წყობით. ყოველივე ეს გვაძლევს ჩვენ დიდ შესაძლებლობას დაჩქარებულ განვითარებისათვის.

თვითღირებულება და შრომის ნაყოფიერება

გათვალისწინებული ტემპების მიღწევა დაკავშირებულია ძირითად საკითხთან, რომლის გადაწყვეტაც წარმოადგენს იმის გამოცდას, თუ რამდენად შეგვწევს ჩვენ ახალი საზოგადოების შექმნის უნარი. მე მხედველობაში მაქვს საკითხი თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების შესახებ. დღემდე ყველასთვის არ არის ნათელი ამ პრობლემის პრინციპიალური მნიშვნელობა. რას ნიშნავს ახალი საზოგადოების შექმნა? რა სტადიაში არის შესაძლებელი სოციალისტური საზოგადოების შექმნა? იგი შესაძლებელია არა ყოველ სტადიაში, არამედ სამეურნეო განვითარების ისეთ სტადიაში, როდესაც ადამიანის შრომა აღწევს ისეთ ნაყოფიერებას და ჰქმნის წარმოების ისეთ ფორმებს, რომ შრომის ნაყოფიერების და წარმოების ამ ფორმების მეოხებით, შესაძლებელი ხდება სოციალისტური, ესე იგი ორგანიზაციული მეთოდებით უზრუნველყოფილ იქნას ადამიანთა საზოგადოების ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის შექმნა ფეოდალურ ხანაში, ხელოსნური შრომის ხანაში. თავისი ტეხნიკით და თავისი ნაყოფიერებით სოციალიზმი წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების მემკვიდრეს, მემკვიდრეს იმ მხრივ, რომ სოციალისტური საზოგადოება სავსებით ითვისებს კაპიტალიზმის ყველა მიღწევას (დამზადება ბევრის, ჩქარა, იაფად და ნაყოფიერად), სოციალიზმი გამოდის ტეხნიკისა და ორგანიზაციის კაპიტალიზმის მიერ მიღწეულ დონიდან, შემდეგში საწარმოო ძალებს ანვითარებს საზოგადოებრივი შრომის სხვა ორგანიზაციის საფუძველზე და ანვითარებს ამ ძალებს უკვე იმ დონემდე, რომელიც მიუღწეველია საზოგადოების კაპიტალისტური ორგანიზაციისათვის.

მარქსიც და მეცნიერული სოციალიზმის სხვა მამამთავარნიც იმას ეყრდნობოდნენ, რომ უკვე კაპიტალიზმი, თავისი ტეხნიკის მეოხებით, საშუალებას მისცემს ერთ კაცს შეჰქმნას იმდენი რამ, რაც საჭიროა რამდენიმე კაცის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ტეხნიკისა და შრომის ნაყოფიერების ეს უკვე მიღწეული დონე წარმოადგენს წინასწარ პირობას კომუნისტური, უკლასო საზოგადოების მშენებლობისათვის, იმ საზოგადოების, რომელშიაც კმაყოფილდება მასში მცხოვრები ხალხის ყველა მოთხოვნილება, რომელშიაც მუშაკი უკუაგდებს ყოველგვარ დამოკიდებულებას სტიქიურ ძალებისაგან და ხდება თავისუფალ ადამიანად. ამიტომ საკითხი შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ და მასთან დაკავშირებული საკითხი თვითღირებულების შემცირების შესახებ, ესე იგი ჩვენი ტეხნიკური და ორგანიზაციული მიღწევების საკითხი არის არა მეორეხარისხოვანი, არამედ ჩვენი ეკონომიკის კარდინალური საკითხი. მისი გადაჭრა წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელს ჩვენი წარმოებით წინსვლისას სოციალისტური, ხოლო შემდეგ კომუნისტური საზოგადოების შექმნის საქმეში. დღემდე ამ მხრივ ყველაფერი და ყოველთვის ვერ იყო თავის რიგზე. მიმდინარე წელს თვითღირებულების 7 პროცენტით შემცირების ნაცვლად, რის მოლოდინიც ჩვენ გვქონდა, ჯერჯერობით მიღწეულია შემცირება მხოლოდ 2—3 პროცენტით. ხოლო თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი შეადგენს დაახლოვებით 100 მილიონ მანეთს. თვითღირებულების შემცირების ეს ჩამორჩენა გეგმის ვარაუდიდან გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ჩვენთვის განსაკუთრებით საშიშარია მმართველობისა და ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი და შრომის დისციპლინის დაცემა. ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა ერთთანაც და მეორესთანაც, ჩვენ იძულებულნი გავხდით ამას წინად პირველად გამოგვეცა სპეციალური კანონი შრომის დისციპლინის შესახებ. ის მტკივნეული მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს ამ კანონის გამოცემა და საწარმოებში შრომის დისციპლინის დაცემა, ამჟამად უკვე საგრძნობლად აღმოფხვრილია. კიდევ მეტი, ამ მტკივნეული მოვლენების აღმოფხვრის პროცესში თავი იჩინეს ახალმა ძალებმა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ისეთმა მეთოდებმა, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება. იმის გამო, რომ სოციალისტური შეჯიბრება მასებიდან გამომდინარეობს, იგი სამეურნეო მშენებლობაში აბამს ადამიანთა უდიდეს მასას და წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ჩვენი მიღწევები ამ საქმეში მტკიცე იქნება და მტკივნეული მოვლენები დისციპლინის საქმეში სწრაფად და საბოლოოდ აღმოიფხვრება.

სოციალისტური შეჯიბრება

მაგრამ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა სრულებითაც არ განისაზღვრება მხოლოდ შრომის დისციპლინისათვის ბრძოლის ამოცანებით. იგი ბევრად უფრო ფართოა და შეჯიბრება უნდა გადაიქცეს მძლავრ საშუალებად სოციალისტურ მშენებლობაში ფართო მასების კიდევ უფრო ფართოდ და უშუალოდ ჩაბმისათვის.

როდესაც მუშები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში თვითღირებულების შემცირების საკითხის გარშემო, რებულების შემცირების საკითხის გარშემო, ისინი უფრო აკვირდებიან საწარმოო პროცესის მთელ მიმდინარეობას, ადარებენ თავიანთ ფაბრიკის საქმის მდგომარეობას იმ ფაბრიკასთან, რომელსაც ეჯიბრებიან, უფრო უშუალო მონაწილეობას იღებენ მუშაობაში საწარმოო პროცესის რაციონალიზაციისათვის, მოწოდების ორგანიზაციისათვის, წარმოების ყოველგვარი ნაკლის აღმოფხვრისათვის. ამავე დროს ყოველი აქტიური მუშა, რომელიც იბრძვის წარმოების გაუმჯობესებისათვის, ერთ-ორ საწარმოს პრაქტიკულ მუშაობაში ხედავს ამ საწარმოთა დამოკიდებულებას იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული მუშაობა სხვა საწარმოებში. ეს კი აბამს მას ბრძოლაში თანდათან უფრო ფართო ფრონტზე და აიძულებს მას გამოიწვიოს სხვა მუშების აქტივობა, განსაკუთრებით უფრო ჩამორჩენილ საწარმოებში. ამიტომ სოციალისტურ შეჯიბრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხელს უწყობს გარკვეული შედეგების მიღწევას ამა თუ იმ კერძო ამოცანის გადაჭრაში, არამედ, როგორც ცოცხალ პრაქტიკულ (და ამიტომ უფრო დასაფასებელ) სკოლასაც, რომელიც ხელს უწყობს მასების აღზრდისა და შრომის სოციალისტური კულტურის ზრდის განმტკიცებას, იმ კულტურის, რომელიც, კაპიტალისტურ კულტურისაგან განსხვავებით, აგებულია, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესის შეერთების საფუძველზე.

სოციალისტური შეჯიბრება სრულებითაც არ არის დროებითი კამპანია, ეს არის მეთოდი, რომელსაც აქვს უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ და ყველაზე ნაკლებ ბიუროკრატიულ მიდგომას ამ მოძრაობის ორგანიზაციულად მოწყობისა და ხელმძღვანელობისადმი, მეთოდი, რომელიც, რაც უფრო გაიზრდება მასების კულტუროსნობა, თანდათან უფრო მკვიდრ ადგილს დაიჭერს ფაბრიკის, საწარმოს და სხვ. მუშაობაში.

ამით დავამთავრებ ჩემი მოხსენების საანგარიშო ნაწილს მრეწველობის შესახებ და გადავალ სოფლის მეურნეობაზე.

II. სოფლის მეურნეობა, მისი რეკონსტრუქცია და ღარიბ-საშუალო მეურნეობების განვითარება

მოსავლიანობის დაბალი დონე

სოფლის მეურნეობაში ამჟამად ადგილი აქვს დადებით და უარყოფით მოვლენებს. დადებითი მოვლენები შემდეგია: იზრდება მრავალმინდვრიანი სისტემა, იყენებენ ახალ სასოფლო - სამეურნეო მანქანებს, სასუქს, სასოფლო - სამეურნეო წარმოების ახალ ფორმებს — ახალს არა მარტო ტეხნიკური საფუძვლით, არამედ სოციალური სტრუქტურითაც. მაგრამ თუ სოფლის მეურნეობის განვითარებას შევადარებთ მრეწველობის ზრდას, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობა ბევრად უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე მრეწველობა და იგი არაჩვეულებრივად ჩამორჩა და ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომელსაც მას უდგენს ინდუსტრია და ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება.

ტეხნიკური კულტურების დარგში დიდ წარმატებას მივაღწიეთ. ტეხნიკური კულტურების ნათესი სივრცე რამდენიმე ათი პროცენტით აღემატება ომის წინა დროინდელ დონეს. მაგრამ ზოგიერთი ციფრი მაოცებდა. ამა თუ იმ კულტურის ნათესის სივრცე აღემატება ან აღწევს ომის წინადროინდელ დონეს, და ამას დიდ წარმატებად მისახავდნენ, მაგრამ როცა ვეკითხები: როგორია საერთო მოსავალი ამ გაფართოვებული სივრცისა, ზოგჯერ ირკვევა, რომ ეს მოსავალი ნაკლებია ომის წინანდელ მოსავალზე, ასე, მაგალითად, შაქრის ჭარხლის სივრცე 1928 — 29 წელს აღემატება ომის წინადროინდელ დონეს და შეადგენს — 771.000 ჰექტარს, ხოლო ომის წინა ხანაში შეადგენდა 622.000 ჰექტარს. ჭარხლის მოსავალი კი რამდენადმე ნაკლებია ომის წინადროინდელ მოსავალზე. ბამბის ნათესი 25—30 პროცენტით აღემატება წინა დროინდელ ნათესს, ბამბის მოსავალი კი ოდნავ მეტია ომის წინადროინდელ რაოდენობაზე. (1913 წელს ბამბის მოსავალი უდრიდა — 743,7 ათას ტონას, ხოლო 1928 —29 წელს —781,4 ათას ტონას). რაც შეეხება მესლეობას, იგი ჩამორჩება ომის წინა დროინდელ დონეს როგორც ნათესი სივრცით, ისე მოსავლიანობითაც. ეს შემდეგი ცნობებიდან სჩანს: სელის ნათესი სივრცე 1913 წელს უდრიდა 1.857 ათას ჰექტარს, 1928—29 წელს— 1.757 ათას ჰექტარს, ხოლო საერთო პროდუქცია (სელი, ბოჭკო) 1913 წელს უდრიდა 453,7 ათას ტონას, ხოლო 1928—29 წელს— 345 ათას ტონას.

დაბალი მოსავლიანობის მიზეზს უმთავრესად შეადგენს ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობა, სოფლის მეურნეობის წვრილი, დაქსაქსული ხასიათი, სამმინდვრიანი სისტემის ბატონობა, თუმცა უკანასკნელ წლებში ფართოდ ვითარდება და ფეხს იკიდებს მრავალმინდვრიანი სისტემა;; დაბალი მოსავლიანობის მიზეზია აგრეთვე ის, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოგვარებული მინერალური სასუქის და სხვა საწარმოო საშუალებათა მიწოდება (თუმცა ეს საქმეც იზრდება) რაიონებისა და ტეხნიკური კულტურისათვის.

ამგვარად, მოსავლიანობის გადიდების პრობლემა და ხარისხის პრობლემა აქ განსაკუთრებულად იჩენს თავს და იგი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ღონისძიებათა იმ სისტემით, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან. მოსავლიანობის დაბალი დონე, რომელიც ჩამორჩება ომის წინადროინდელ დონესაც და რომლის შედარებაც კი არ შეიძლება დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონესთან, გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაზე და ანელებს მისი განვითარების ტემპს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია (მეთევზეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობის გარდა), 1926—27 წელს გაიზარდა 5,4 პროცენტით, 1927—28 წელს წინა წელთან შედარებით დაეცა 1,1 პროცენტით, 1928—29 წელს გაიზარდა 4,4 პროცენტით*).

მარცვლეულის დამზადების საქმე უფრო ცუდად არის. მისი საერთო მოსავალი უდრიდა: 1926—27 წელს—78 მილიონ ტონას, 1927—28 წელს— 73,6 მილიონ ტონას; 1928—29 წელს—73,8 მილიონ ტონას. ომამდე მოსავალი ამ ტერიტორიაზე შეადგენდა 81,6 მილიონ ტონას. როგორც ხედავთ, მარცვლეულის საერთო მოსავლის მხრივ თითქმის 9—10 პროც. ჩამოვრჩებით ომის წინადროინდელ დონეს. თუ პურეულის საერთო მოსავლის ციფრებს ავიღებთ მოსახლეობის თითო სულის მიხედვით, მივიღებთ ასეთ სურათს: პურეულის პროდუქცია მოსახლეობის თითო სულზე 1913 წელს შეადგენდა 584,1 კილოგრამს, 1926—27 წელს— 532,8, 1927—28 წელს — 489,6, 1928—29 წელს — 484,4 კილოგრამს.*)

პურეულის საერთო მოსავლის შემცირება უკანასკნელ წლებში უკრაინასა და ჩრდილო კავკასიაში გამოიწვია სტიქიურმა უბედურებამ, მაგრამ დღემდე არის კიდევ ისეთი რაიონები, (ჩრდილოეთი კავკასია და ვოლგის მხარე), სადაც ნათესი სივრცე, ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით, არ არის აღდგენილი 15—20 პროცენტით. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მოსავლიანობამ ზოგიერთ მთავარ მარცვლეულ კულტურებში ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომის წინადროინდელ დონემდე.

საქონლიანობა უფრო მეტად შემცირდა როგორც მეურნეობათა დაქუცმაცების გამო, ისე იმის გამო, რომ გაიზარდა პურის მოხმარება. როგორც ღარიბ მეურნეობათა, ისე საშუალო მეურნეობათა საგრძნობი მასის მიერ. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის სიძნელენი, რომელიც ამჟამად გვაქვს სურსათის საქმეში.

მეორე წელიწადია, რაც განვიცდით ამ სიძნელეებს. შარშან იძულებული გავხდით მიგვემართა საგანგებო ზომებისათვის. პურის დამზადების გამძაფრებული მდგომარეობა წელს დაკავშირებულია როგორც სასურსათო პურის საერთო მოსავლის ერთგვარ შემცირებასთან მოსახლეობის ზრდის დროს, ისე მოსავლის არახელსაყრელ გეოგრაფიულ განაწილებასთან და მოსავლის ნაწილის დაღუპვასთან უკრაინის და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რაიონში. ასეთმა მდგომარეობამ გვაიძულა მიგვემართა ორგვარი ზომისათვის: პირველია— პურის ხარჯვის შეზღუდვა, მომჭირნეობა, პირველ რიგში მუშებისა და გლეხობის ღარიბი მასების სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რისთვისაც შემოღებულ იქნა პურის წიგნაკები, მეორეა — ხელის შეწყობა იმისათვის, რომ გლეხობის ღარიბ და საშუალო მასებმა მოახდინონ საზოგადოებრივი ზეგავლენა კულაკურ ელემენტებზე, რომლებიც სცდილობენ გამოიყენონ კონიუნქტურა და სპეკულიანტური მიზნით გადამალონ პურის დიდი რაოდენობა.

პურის სიმცირემ აიძულა მთავრობა უფრო გადამჭრელი და სერიოზული ზომები მიეღო იმისათვის, რომ გამოესწორებია მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა ამ ხაზით. უდიდესი ყურადღება მიექცა ისეთ კამპანიას, როგორიც არის თესვის კამპანია. მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიაში რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწ. თესლის ფონდის საშუალებით დავარიგეთ 17 მილიონი ფუთი ხარისხიანი თესლი, ხოლო 85 მილიონი ფუთი თესლი დავარიგეთ დახმარების სახით (შარშან სახელმწ. თესლის ფონდიდან დავარიგეთ 7 მილიონი ფუთი, ხოლო დახმარების სახით—35 მილიონი ფუთი თესლი), დავარიგეთ თითქმის 100 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები (შარშან—75 მილიონი მანეთის), გავანაწილეთ 7,5 ათასი ტრაქტორი და ძალიან გავადიდეთ მინერალური სასუქის დამზადება. გაზაფხულის თესვის კამპანიაში სასოფლო - სამეურნეო კრედიტზე დაიხარჯა 100 მილიონი მანეთი. კონტრაქტაცია შეეხო თითქმის 14 მილიონ ჰექტარს. ეს ციფრები მეტად საგრძნობია.

რასაკვირველია, ჩვენი დახმარება თავისთავად ჯერ კიდევ არა სწყვეტს გაზაფხულის თესვის ჩატარების საქმეს, რადგან თესლის იმ რაოდენობის გარდა, რომელიც ჩვენ დავარიგეთ, გლეხობა თვითონ თესავს მრავალ ას მილიონ ფუთს. მაგრამ ჩვენი დახმარება მაინც უდიდესია ნათესი სივრცის, განსაკუთრებით გლეხობის ღარიბი ფენების ნათესი სივრცის გაფართოვებისათვის.

კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი

ჩემი მოხსენების დასაწყისში აღვნიშნე, რომ ეხლანდელი სამეურნეო მდგომარეობიდან და ჩვენი მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონიდან გამომდინარეობს სავსებით სხვაგვარი, ვიდრე ეს შეიძლებოდა წინად, საშუალებათა მოცულობა, მუშაობის სხვა მეთოდები და ორგანიზაციის სხვა ფორმები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ და უნდა მივიღოთ ისეთი მოვლენების დასაძლევად, როგორიც არის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა ზრდისაგან. კონკრეტულად ეს ამჟამად გამოიხატება იმაში, რომ სოფლის მეურნეობისათვის საწარმო დახმარებამ და მისმა ორგანიზაციამ ჩვენს პოლიტიკაში დაიჭირა ბევრად უფრო დიდი ადგილი, ვიდრე მას ეჭირა წინად და შეიძლებოდა დაეჭირა როდისმე. მრეწველობის განვითარება პირველად გვაძლევს ამისათვის საჭირო ტეხნიკურ შესაძლებლობებს. მე მხედველობაში მაქვს სასოფლო - სამეურნეო წარმოების კოლექტიური ფორმების შექმნა.

კომუნებისა და კოლმეურნეობების შექმნა დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის თითქმის პირველსავე წელს. ისინი ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ მათი მასიურად მოწყობა და მტკიცედ გავრცელება შესაძლო გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მრეწველობამ შესძლო ამისათვის საჭირო ტეხნიკური დასაყრდენის შექმნა, ესე იგი როცა მან დაიწყო ტრაქტორების, რთული მანქანების, ხელოვნური სასუქის და სხვ. მიწოდება. მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მოეწყოს რაციონალურად დაყენებული მსხვილი მეურნეობა, მხოლოდ ამ ნიადაგზე შეეძლო განსაზოგადოებულ სექტორს მიეღო მასიური მნიშვნელობა და მხოლოდ ამ ნიადაგზე შესძლებს იგი გადაიქცეს მომავალში გადამწყვეტ ფაქტორად სოფლის მეურნეობაში.

მრეწველობის განვითარებამ და მეურნეობის საერთო ზრდამ შეგვაძლებინა აგრეთვე დაგვეწყო უდიდესი მარცვლეული საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია ტრაქტორებით დამუშავების ნიადაგზე. ხუთი წლის განმავლობაში ახალმა საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა მისცენ 100 მილიონზე მეტი საბაზრო პური. საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განვითარებას მარტო ის მნიშვნელობა არ აქვს, რომ იგი ადიდებს პურის დამზადებას და ანელებს სასურსათო სიძნელეებს. მას აქვს ის პრინციპიალური მნიშვნელობაც, რომ ამ გზით პირველად, ბევრად უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე დღემდე, ხორციელდება გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. სოციალიზმის ორგანიზაცია წარმოუდგენელია როგორც მარტო ქალაქის სოციალისტური ორგანიზაცია. სოციალიზმი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სასოფლო - სამეურნეო წარმოებასაც.

სოფელთან კავშირის საწარმოო ფორმები

იმ ახალი პროცესების ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებას, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ხდება, წარმოადგენენ რაიონთაშორისო სატრაქტორო სადგურები. მათ შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა და მათი მოწყობის ცდა საკმაოდ ცნობილია. მე უკვე გითხარით, რომ სარაიონო სადგურების აგება ნიშნავს დაქსაქსული ფაბრიკა - საქარხნო დანადგართა ლიკვიდაციას და მთელი რაიონის მრეწველობის ძალური აპარატის კონცენტრაციას სარაიონო ელექტრო-სადგურში. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მხრივ. წვრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების წევის ძალა სცილდება გლეხური მეურნეობის, უფრო სწორად, სოფლის ფარგლებს და თავს იყრის სარაიონო - სატრაქტორო სადგურში. ეს არაჩვეულებრივად აშკარად გამოხატავს იმ რევოლუციონურ გარდაქმნას, რომელსაც პრაქტიკულად ვახორციელებთ სოფლად. ამაში მდგომარეობს ჩვენი მშენებლობის ეხლანდელი ეტაპის უდიდესი განსხვავება წინა ეტაპებისაგან. იგი წარმოადგენს ისეთ ეტაპს, რომელიც ნათლად გამოხატავს მთელი ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციას და გარდაქმნას უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე. ამავე დროს ხდება სოფლის სოციალური ურთიერთობის ღრმა გარდაქმნა.

თუ წინად ქალაქის კავშირი სოფელთან ხორციელდებოდა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ საქონლის ბრუნვის საშუალებით, ამასთან ამ მხრივ მთავარი ადგილი ეჭირა მოხმარების საშუალებათა მიწოდებას სოფლისათვის, ეხლა საქონლის ბრუნვაში უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობენ საწარმოო საშუალებანი. მეორეს მხრით, იზრდება კავშირის ისეთი ფორმის მნიშვნელობა, რომელიც მეტ გავლენას ახდენს წარმოებაზე: ასეთ ფორმას წარმოადგენს კონტრაქტაცია, რომელიც ზოგჯერ მთელ სოფლებზე ვრცელდება, საწარმოო გაერთიანებათა ზრდა კოლმეურნეობებიდან კომუნებამდე, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ზრდა და სხვ.—ყოველივე ეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაზე სოციალისტური ზეგავლენის ფორმებს, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ახალ მეთოდებს.

ბრძოლა კულაკურ საფრთხესთან

მთელი ეს პროცესი ამასთან ერთად წარმოადგენს ენერგიულ შეტევას კულაკზე და მან არ შეიძლება არ გამოიწვიოს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად. შეცდომა იქნება ფიქრი იმაზე, რომ კულაკური მეურნეობა თავის სიდიდით წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო წარმოების იმ ტიპს, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ მსხვილი წარმოების ყველა უპირატესობა. ეს მართალი არ არის. თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკა მოითხოვს ბევრად იმაზე უფრო მსხვილ წარმოებას, ვიდრე კულაკური მეურნეობაა. ბოლოს და ბოლოს განსხვავება კულაკსა და წვრილ, საშუალო გლეხს შორის ისეთივეა, როგორიც, ვთქვათ, არის შინამრეწველის პატარა სახელოსნოს და ცალკე შინამრეწველს შორის. მაგრამ, როგორც პირველი, ისე მეორე ძალიან დიდად არის დაშორებული მსხვილი ინდუსტრიალური საფაბრიკო-საქარხნო წარმოებისაგან. კულაკურ საფრთხესთან ბრძოლის შესუსტება და კულაკური მეურნეობებისათვის „თავისუფალი ზრდის" უფლების მინიჭება ნიშნავს იმას, რომ წვრილი მეპატრონე გადაიქცეს ფაბრიკანტად. მეურნეობის საუკეთესოდ გაძღოლის ტეხნიკა აიძულებს მათ სწრაფად გაადიდონ თავიანთი მეურნეობა, ესე იგი გადაიქცნენ მემამულეებად და დაიმონავონ გლეხი, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მათ მეურნეობებში გამოყენებულ იქნას რთული თესლცვლა, ტრაქტორი, სხვა რთული მანქანა და სხვ. ამიტომ ბრძოლა კულაკურ საფრთხესთან გამომდინარეობს ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლიდან და მუშათა კლასისა და გლეხობის ღარიბ-საშუალო მასების ძირითადი ინტერესებისაგან.

ამის გამო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ყოველ წარმატებას მსხვილი კოლექტიური სასოფლო - სამეურნეო წარმოების მოწყობის გზაზე და მასში ისეთი ახალი ტეხნიკის გამოყენებას, რომელიც გლეხის შრომას უფრო ნაყოფიერს, სასარგებლოს და რენტაბელურს ხდის, ვიდრე რომელიმე ინდივიდუალურ მეურნეობაში, მათ შორის კულაკურ მეურნეობაში. სწორედ ეს იწვევს კულაკის გამძაფრებულ წინააღმდეგობას და განსაზღვრავს მის კლასობრივ პოზიციას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ძირიან - ფესვიანად სპობს კულაკურ საფრთხეს, ხოლო საწარმოო-ტეხნიკურ კულაკურ მეურნეობას სტოვებს ჩამორჩენილი მეურნეობის მდგომარეობაში.

დახმარება ღარიბ-საშუალო გლეხობას

ამგვარად, ჩვენ ეხლა შევედით სოფლის მეურნეობის ნამდვილი სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში. მაგრამ ეს სრულებით არ უარჰყოფს გადამჭრელ ბრძოლას ინდივიდუალური ღარიბ-საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის. არ უარჰყოფს იმიტომ, რომ არც საბჭოთა მეურნეობები, არც კოლმეურნეობები, არც სოციალისტური მრეწველობა არ შეიძლება მოვაწყოთ მოსახლეობის უდიდესი მასების გალატაკების პირობებში, რადგან ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა, — მიუხედავად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის უდიდესი ზრდისა,— არა მარტო ეხლა, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგაც დამოკიდებული იქნება უმთავრესად ღარიბი და საშუალო გლეხის — მიწადმოქმედების ამ ცენტრალური ფიგურის წარმოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეტად დიდია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის პროგრამა, ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნისათვის პურის მიწოდების საქმეში ხუთი წლის დამლევს შეადგენს დაახლოვებით 60 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქტების მიწოდების საქმეში —გაცილებით მეტს, რადგან სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას პირველ ხანებში მოვმართავთ უმთავრესად მარცვლეული მეურნეობის ხაზით.

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ზრდის ტემპები სავსებით უკავშირდებიან ინდუსტრიის განვითარების ტემპებს, რადგან ინდუსტრია ტრაქტორების, სასოფლო - სამეურნეო მანქანების, სასუქის და სხვ. სახით ტეხნიკურ საძირკველს უყრის მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამიტომ არაფერი არ ესმის იმათ, ვინც ამბობს, რომ მრეწველობის ტემპი უნდა შევანელოთ, რათა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა. ინდივიდუალური მეურნეობაც სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქის, მავნებლებთან ბრძოლის საშუალებათა მიწოდების და სხვათა მხრივ სავსებით დამოკიდებულნი არიან მრეწველობისაგან. კი არ უნდა შევანელოთ მრეწველობის განვითარების ეხლანდელი ტემპი, უნდა გავაძლიეროთ შეძლებისდაგვარად. მაგრამ, ცხადია, გაცილებით მეტად, ვიდრე დღემდე, უნდა გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპიც.

აქ უდიდესი შესაძლებლობანი არსებობენ. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ნათესი სივრცის ზრდა ჩამორჩება როგორც მუშა-საქონლის რაოდენობას, ისე სასოფლო სამეურნეო მანქანების მიწოდების ზრდას. ნათესი სივრცე 1926 წლიდან 1927 წლამდე გაიზარდა 2,1 პროცენტით, მუშა-საქონლის რაოდენობა— 10 პროცენტით, ხოლო სასოფლო - სამეურნეო მანქანების მიწოდება გაიზარდა უფრო მეტად. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შესაძლებლობანი არსებობენ ინდივიდუალურ მეურნეობების განვითარებისათვის და მშრომელთა, არა კულაკური, არამედ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ნათესი სივრცის გაფართოებისათვის. ვოლგის გაღმა მხარეში, ვოლგის რაიონში და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ნათესის სივრცეს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის წინადროინდელ დონემდე, უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს ნათესი სივრცის გაფართოვებისათვის. მარცვლეულის ნათესი სივრცე მთელ კავშირში შეადგენს ომის წინადროინდელი რაოდენობის 92 პროცენტს, ამასთან ისეთმა რაიონებმა, როგორიცაა მოსკოვის და სხვა ზოგიერთი მომხმარებელი რაიონები, ნათესი სივრცე ომის წინადროინდელ რაოდენობაზე მეტად გააფართოვეს, ხოლო მარცვლეულის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ დაუმუშავებელია ძველი ნათესი სივრცის 15—20 პროცენტი. მთელი რიგი წლების განმავლობაში ინდივიდუალურ საშუალო - ღარიბ გლეხურ მეურნეობას ჯერ კიდევ დიდი შესაძლებლობანი ექნებათ თავისი განვითარებისათვის და იგი უზრუნველჰყოფს ჩვ

---

*) იხ. „კომუნისტი" № 118.

*) იხ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის. გვ. 398—399.

*) 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები, გვ. 411.

ნი ქვეყნისათვის ხორბლით და ნედლეულის მიწოდების გაძლიერება, როგორც ეს გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. მთავრობამ უკანასკნელ წელს თითქმის 20 პროცენტით გაადიდა მარცვლის ფასები და გამოსცა ორი მნიშვნელოვანი კანონი: მოსავლიანობის გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ორივე კანონი, უტოვებენ რა უმაღლეს შეღავათს კოლექტიური მეურნეობებისათვის, მიზნად ისახავენ ინდივიდუალური გლეხური, ღარიბი და საშუალო მეურნეობის ზრდის უზრუნველყოფას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ წარსულ წელს დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში. ჩვენ ვცდილობდით ამ შეცდომების გამოსწორებას, ვცდილობდით გამოგვეცა ისეთი კანონი, რომელიც ინდივიდუალურ გლეხს, საშუალო და ღარიბ გლეხებს უფრო მეტად, ვიდრე წინად, დააინტერესებდა ნათესის გაფართოებაში. აქ არ შევეხები ამ კანონების შინაარსს. მათი შინაარსი დაწვრილებით მოხსენდა ყველა ადგილობრივი და რესპუბლიკანური საბჭოების ყრილობას და საყოველთაოდ იქნა მოწონებული.

სწორი არ იქნება, თუ სოფლის მეურნეობის ინდივიდუალურ ღარიბ - საშუალო სექტორს დაუპირისპირებთ განსაზოგადოებულ სექტორს და ჩავთვლით მათ შეურიგებელ მტრებად. რასაკვირველია, მათ შორის კონკურენცია იქნება, მაგრამ განსაზოგადოებულ ფორმებს შეუძლიათ განვითარდნენ მხოლოდ გლეხობის ღარიბ-საშუალო მასების თანაგრძნობით და გაძლიერებულ ინდივიდუალურ მეურნეობათათვის შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოჩენით. უნდა ვეცადოთ, რომ ინდივიდუალურ ღარიბ - საშუალო სექტორმა განსაზოგადოებულ სექტორთან ერთად აწარმოოს საერთო ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ. უნდა ვცდილობდეთ ღარიბ - საშუალო მეურნეობის სისტემატიურად გარდაქმნას. სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი მთელ დანარჩენ სასოფლო - სამეურნეო წარმოებაზე გავლენას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, იმით, კოლექტიური მეურნეობის ყოველი პრაქტიკული წარმატება მიწადმოქმედების კოლექტიურ ფორმებში აბამს ინდივიდუალური მეურნეობების სულ ახალ და ახალ მასებს.

მაგრამ განსაზოგადოებული მეურნეობა ინდივიდუალურ მეურნეობაზე გავლენას ახდენს სხვა ხაზითაც, საშუალო და ღარიბი გლეხის წარმოების ხაზითაც. საბჭოთა მეურნეობა არ არის მარტო საწარმოო დაწესებულება: იგი უნდა გადაიქცეს ახალი აგრონომიის გამავრცელებელი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამაუმჯობესებელი ზომების პროპაგანდისტად, ღარიბ-საშუალო მეურნეობათა თანაშემწედ და მიწადმოქმედების ახალი ფორმების ორგანიზატორად. საბჭოთა მეურნეობების საშუალებით გავლენა უნდა მოვახდინოთ აგრეთვე მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, კერძოდ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის წარმოებაზე.

მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება

ამხანაგებო, უდიდესი გარდატეხა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, არა მარტო საწარმოო, არამედ სოციალური გარდატეხა ხდება და უნდა მოხდეს კიდეც მუშათა და გლეხთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად. იმ საკითხებს, რომლებიც შეეხებიან მანქანებს და ტეხნიკურ პროცესებს, სავსებით სამართლიანად უჭირავთ უდიდესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ეს არსებობს ადამიანებისათვის. ადამიანები კი არ არიან მანქანებისათვის, არამედ მანქანები არიან ადამიანებისათვის, ადამიანები კი არ არიან ინდუსტრიალიზაციისათვის, არამედ ინდუსტრიალიზაცია არის ადამიანებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის. ყოველივე ეს, რაც ხდება ჩვენს კავშირში, ჩვენი ბრძოლა, ჩვენი მშენებლობა, ისახავს ერთად-ერთ მიზანს — ადამიანთა საზოგადოების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მოსპობს ყოველგვარ მონობას, ყოველგვარ ექსპლოატაციას, ყოველგვარ სიღარიბეს, კლასობრივ ბრძოლას, კულტურულ ჩამორჩენილობას და შექმნის თავისუფალი ადამიანების თავისუფალ საზოგადოებას. ეს არის ჩვენი მიზანი. ამ მიზანთან მიახლოვებისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი გააუმჯობესებს მუშათა და გლეხთა კეთილდღეობას. მათი კეთილდღეობა მართლაც გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში. მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტლივ გაუმჯობესების სურათს სრულებით არ ცვლიან ცალკე შემთხვევები, ცალკე პერიოდები შეფერხებისა და მოსახლეობისათვის ამა თუ იმ პროდუქტების მიწოდების საქმეში. ეს შეფერხებანი და სიძნელენი დროებითი მოვლენებია ამ დიად ისტორიულ პროცესში, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ხდება.

მე მოკლედ შევეხები იმ ზომებს, რომლებსაც მივმართავთ მშრომელი მოსახლეობის მასების საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და იმ ცვლილებას, რომლებიც ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში მოხდება სოციალური მშენებლობის წარმატებების მიხედვით. არ ვილაპარაკებ ხელფასის ზრდაზე უკანასკნელ წლებში: ეს ცნობები თქვენ ყველამ იცით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის აქვს შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებას. ეს წარმოადგენს არა მარტო უდიდეს მოვლენას ჩვენი მუშათა კლასის ცხოვრებაში და საბჭოთა კავშირის ისტორიაში, არამედ აგრეთვე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

რვა საათის სამუშაო დღე ამჟამად თითქმის არსად აღარ არის. სამუშაო დღე იზრდება ყველგან წარმოების კაპიტალისტური რაციონალიზაციის ზრდასთან ერთად.

იმის საუკეთესო გამოხატულებას, რომ საბჭოთა წყობილება განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფოების წყობილებისაგან, რომ ჩვენი სოციალისტური რაციონალიზაცია, უმაღლესი ტეხნიკა და სხვა ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ, წარმოადგენს შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება. იგი მეტ დროს აძლევს მუშას შესასვენებლად, ამასთან ერთად საგრძნობლად ამცირებს უმუშევრობას.

ხარჯები სოციალური დაზღვევისათვის წელს უკვე შეადგენენ 1 მილიარდ 100 მილიონ მანეთს. საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტით დაზღვევა უნდა გავრცელდეს სოფელზედაც. ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია იმ კანონის განხილვა, რომელიც ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა გამოიცეს. პროექტი, რომელიც ახლო მომავალში იქნება განხილული საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ, ითვალისწინებს მცირე შეძლების მოხუცი გლეხების (ორივე სქესის) უზრუნველყოფას. დიდი ხარჯების გამო, რომლებიც საჭირო იქნება ამ საქმისათვის, წელს ვიწყებთ უზრუნველყოფის შედარებით მცირე ნორმით — 90 მანეთით წელიწადში, ამასთან პირველ წელს ამ საქმისათვის გადადებული იქნება 20 მილიონ მანეთზე მეტი. ამით ვდგამთ პირველ ნაბიჯს ქალაქისა და სოფლის გასათანასწორებლად სოც. დაზღვევის საქმეში. მომავალში თანდათან მოისპობა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის როგორც ამ მხრივ, ისე ყველა სხვა მხრივ. მუშათა კლასის და გლეხობის კავშირმა სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის მანძილზე უნდა მოსპოს ეს დაყოფა.

ამ საკითხის შესახებ მე წავიკითხავ ძველ მაგრამ მეტად საინტერესო ციტატებს მარქსის, ენგელსის და ლენინის თხზულებებიდან.

აი, რას სწერენ ამის გამო მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელნი მარქსი და ენგელსი: „ქალაქშია თავმოყრილი ყველაფერი—საწარმოო იარაღი, კაპიტალი, ცხოვრების სიტკბოებანი და მოთხოვნილებანი, მაშინ, როდესაც სოფლად ვხედავთ დიამეტრიულად საწინააღმდეგო ფაქტს — განცალკევებას და განმარტოვებას—წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კერძო საკუთრების ფარგლებში. იგი უხეში გამოხატულებაა იმ ფაქტის, რომ ინდივიდი ემორჩილება შრომის განაწილებას, მისთვის იძულებით თავზე მოხვეულ განსაზღვრულ მოქმედებას, იგი გამოხატავს იმ დამორჩილებას, რომელიც ერთ ადამიანს აქცევს ქალაქის შეზღუდულ ცხოველად, ხოლო მეორეს — სოფლის შეზღუდულ ცხოველად და რომელიც ყოველ დღე ხელახლად ჰქმნის ინტერესთა წინააღმდეგობას მათ შორის. წინააღმდეგობის მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის კოლექტიურობის ერთ-ერთ უპირველეს პირობას წარმოადგენს, პირობას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მრავალ მატერიალურ წინასწარ პირობებზე და რომელიც, როგორც ყველა ხედავს, უცებ არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ნება-სურვილით“ (მარქსი და ენგელსი — „ფეიერბახი“). აი, რას სწერდა ამ საკითხის გამო ენგელსი 1866 წელს: „ჩვენ გამოვდიოდით იქიდან, რომ იგივე ძალები რომელთაც შექმნეს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება... რომ ეს საწარმოო და მიმოსვლის საშუალებანი სავსებით საკმაოდ იქნება, იმისათვის, რომ მცირე ხნის განმავლობაში ძალთა მთელი განწყობილება გადაიქცეს საწინააღმდეგო მოვლენად, რათა ყოველი ცალკე ადამიანის საწარმოო ძალა განვითარდეს იმდენად, რომ მან შესძლოს შექმნას ორი-სამი-ოთხი-ხუთი-ექვსი კაცის მოთხოვნილებისათვის საჭირო რაოდენობა, რომ ქალაქის თანამედროვე მრეწველობას ეხლავე შეუძლია გამოჰყოს საკმაო ძალები, რომლებიც ზედმეტია მისთვის, გამოჰყოს იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ იქნან სულ სხვა ძალები, ვიდრე დღემდე იყო, რომ ეხლა შეიძლება დაიწყოს უახლოესი აღმოჩენების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, გამოყენება ფართო მასშტაბით და ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც მრეწველობაში, რომ ექსპლოატაცია სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ამერიკის ოლქებისა, რომლებიც განოყიერებულია თვით ბუნების მიერ და რომელთა ნაყოფიერება დაუშრეტელია, შეიძლება ეხლა დაიწყოს უდიდესი მასშტაბით და სრულებით სხვაგვარად, ვიდრე დღემდე ხდებოდა“ (ენგელსი, წერილი ლანგესადმი).

აქ ენგელსი ნათლად ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის იმ გარდაქმნაზე, მრეწველობის საშუალებით, რომლის პრაქტიკულ განხორციელებასაც ჩვენ შევუდექით. სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპად ენგელსის წერილში ნაგულისხმევია ის სამიწათმოქმედო რაიონები, სადაც ეხლა ვგზავნით ტრაქტორებს, სადაც ვაშენებთ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. ლენინი ამის შესახებ სწერდა: „კაპიტალიზმი საბოლოოდ სწყვეტს მიწათ - მოქმედების კავშირს მრეწველობასთან, მაგრამ ამავე დროს თავის უმაღლეს განვითარებაში ამზადებს ელემენტებს ამ კავშირისათვის და იმისათვის, რომ მრეწველობა შეუერთდეს მიწათ - მოქმედებას მეცნიერების შეგნებულად გამოყენებას და კოლექტიური შრომის ნიადაგზე, კაცობრიობის ხელახალ ფენებად დაყოფის ნიადაგზე (ამასთან ისპობა როგორც სოფლის განცალკევება და მსოფლიოსაგან მოწყვეტა, ჩამორჩენილობა, ისე უდიდესი მასების არაბუნებრივი თავისმოყრა დიდ ქალაქებში).“

ეს ციტატები მოგიყვანეთ იმისათვის, რომ გიჩვენოთ: რა სახე უნდა მიიღოს მომავალში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ეხლანდელმა ფორმამ, ქალაქისა და სოფლის დაკავშირების ეხლანდელმა ფორმებმა. ამ ურთიერთობამ ბოლოს და ბოლოს უნდა გამოიწვიოს ყოველგვარი განსხვავების მოსპობა მათ შორის. უკვე იწყება განსხვავების შენელება. ჯერ კიდევ ჩანასახ, სუსტ ფორმებში. გლეხი უკვე მუშათა კლასის თანამშრომელია. ინდუსტრიალიზაცია, ისე, როგორც მთელი მუშაობა ახალი საზოგადოების მოსაწყობად, ხდება მუშათა და გლეხთა ინტერესების სასარგებლოდ. და მთელმა ბრძოლამ მოსახლეობის კაპიტალისტური ფენების ნაშთებთან და მათი გავლენის აღდგენის ცდებთან, ბრძოლამ კულაკურ ფენებთან სოფლად და ნეპმანურ ფენებთან ქალაქად, ბრძოლამ კაპიტალისტურ ტენდენციებთან უფრო და უფრო მეტად უნდა დარაზმოს მუშათა და ღარიბ - საშუალო გლეხთა მასები, მუშათა კლასის კავშირის განსამტკიცებლად გლეხობის ძირითად მასებთან.

III. კულტურისა და მმართველობის საკითხები

1.200 მილიონი მანეთი კულტურულ მშენებლობისათვის

ამხანაგებო, მე ბევრს არ ვილაპარაკებ ჩვენი მუშაობისა და პოლიტიკის შედეგებზე იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ განვითარებასთან. რასაკვირველია, ყველასათვის გასაგებია, რომ კულტურის განვითარება და მასების კულტურული ზრდა სოციალისტური მშენებლობის ორგანიულ ნაწილს შეადგენს.

სოციალისტური მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ტემპი ეხლანდელ სტადიაშივე დამოკიდებულია ჩვენი კულტურული ზრდის ტემპისაგან და ამიტომ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ხუთწლიანი გეგმის პროექტში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, შეიტანა ხარჯების გადიდება კულტურული საჭიროებებისათვის 1,200 მილიონი მანეთით ხუთი წლის განმავლობაში. ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა კულტურის საკითხებს, ხოლო კულტურის საკითხებში ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდა იმ საკითხებს, რომლებიც შეეხებიან მოსახლეობის ფართო მასებს. კომინტერნის ერთ-ერთ კონგრესზე მან სპეციალურად გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა, პირველ რიგში ვასწავლოთ მთელ ხალხს წერა-კითხვა და წიგნკითხვის გაგება, და რომ კულტურული ამოცანებიდან ჩვენთვის ეხლა ძირითადია ეს ამოცანა. ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით ფორმულა „დავეწიოთ და გავუსწროთ“. კულტურულ მშენებლობაში მას არა ნაკლებათ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამეურნეო მშენებლობაში, რადგან არსებობენ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც დაბალი სწავლა-განათლება უკვე დიდი ხანია სავალდებულოა, სადაც კანონი სჯის იმ მშობლებს, რომლებიც ბავშვებს სკოლაში არ გზავნიან. ჩვენი ჩამორჩენილობა ამ მხრივ ძალიან დიდია.

ჩვენი ქვეყნის საერთო კულტურული სახე შეიცვალა და კვლავ განუწყვეტლივ იცვლება. მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობა, ჩვენი ჩამორჩენილობა სახალხო განათლების სფეროში, უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს კულტურის იმ სწრაფი ზრდისათვის, რომელიც გვესაჭიროება. დღემდე საშუალო სკოლამდე და ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებლებშიაც შეიძლება შეხვდეთ ისეთ პირს, რომელმაც რიგიანი წერა - კითხვა არ იცის. ჩვენი სკოლის მოწყობილობა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე სდგას, მიუხედავად იმისა, რომ შემოღებულია სწავლების ახალი მეთოდები, რომლებიც საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. მასწავლებლის მდგომარეობაც ძალიან ცუდია. აქ ჩვენ უდიდესი შრომა გვმართებს, რადგან კულტურის ზრდისგან, ვიმეორებ, ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

ახალი ტექნიკური კადრები

ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მეტად სუსტ ადგილს წარმოადგენს იმ ტეხნიკური ძალების ნაკლებობა, რომლებმაც უნდა განახორციელონ გეგმის ბუმბერაზული ამოცანები. ძველი კადრები, ჯერ-ჯერობით, მცირეა, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც შახტის საქმემ გვიჩვენა, ისინი ყოველთვის არ არიან საიმედონი. მართალია, ძველი სპეციალისტების უმრავლესობა პატიოსნად მუშაობს ჩვენთან. მათი მეოხებით, ჩვენ გვაქვს ისეთი აღმოჩენები, როგორიც არის სოლიკამსკის საბადოების აღმოჩენა პერმის გუბერნიაში, ან ნავთის აღმოჩენა ურალზე. ორივე ეს აღმოჩენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენებია.

ის ძველი სპეციალისტი, რომელიც ასეთ აღმოჩენებს აკეთებს, ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტის ფასად ღირს. ამიტომ ძველ პატიოსან სპეციალისტებს უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ და ახალგაზრდობამ მათგან უნდა გადმოიღოს ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ სპეციალისტებს შორის არის ფენა, რომელიც იძლევა შახტის პროცესის გმირებს, მათთან უნდა ვაწარმოოთ დაუზოგავი ბრძოლა, რომელშიაც გვეხმარება და უნდა გვეხმარებოდეს საბჭოთა სპეციალისტების მთელი მასა. ახალი ტეხნიკური კადრების მომზადების საკითხის გადაჭრა, წითელი სპეციალისტების მომზადების მაქსიმალურ დაჩქარებასთან ერთად, განსაზღვრავს ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობას და ტემპს. ამიტომ კულტურის საკითხებს ხუთწლიან გეგმაში და მთავრობის გადაწყვეტილებებში ჩვენ ამჟამად ბევრად უფრო დიდ ყურადღებას ვუთმობთ, ვიდრე წინად.

ამხანაგებო, ის ეპოქა, რომელშიაც ჩვენ ამჟამად ფეხი შევდგით და რომელიც, როგორც აღვნიშნე, მრავალმხრივ განსხვავდება წინა ეპოქისაგან, უთუოდ გვავალებს სხვანაირად მივუდგეთ კულტურის საკითხებს, კადრების შექმნის საკითხებს, გვავალებს სხვანაირად დავსვათ მთელი რიგი საორგანიზაციო პრობლემები, კერძოდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პრობლემა.

ბიუროკრატიზმი უნდა აღმოვფხვრათ

ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე. მე რომ მკითხონ, თუ რა არის ბიუროკრატიზმის ყველაზე უფრო მკაფიო ნიშანი, ვიტყოდი—თავისი აპარატის დაცვა და მისი ღირსების გაზვიადება, აგდებულად და არასაკმაო ყურადღებით მოპყრობა „მცხოვრებთან“, უბრალო გლეხთან, მუშასთან, რომელთა საჭიროებისათვისაც შექმნილია ეს აპარატი. ბიუროკრატი (ამით იგი ჰგავს ყოველი სხვა ქვეყნის ბიუროკრატს) ფიქრობს, რომ მისი აპარატი იდეალურია, საუცხოვოდ მუშაობს და მას არავითარი ცვლილება არ ესაჭიროება. ხოლო იმ ნაკლში, რომელსაც ადგილი აქვს მის მუშაობაში, აუცილებლად სხვა ვინმეა დამნაშავე. ყოველთვის თავის გამართლების და დამნაშავის სადმე გარედ ძებნის მიდრეკილება, ფიქრი იმაზე, რომ სწორედ მისი აპარატი წარმოადგენს იმის თავის დროზე გამოხატულებას, რაც ხალხს ესაჭიროება—ეს მიდრეკილება წარმოადგენს ბიუროკრატიზმის და განსაკუთრებით მავნე, განსაკუთრებით საშიშ ნიშანს. უნდა ვთქვა, რომ ამ მიდრეკილებით დაავადებულნი არიან არა მარტო ძველი ჩინოვნიკები და ძველი ბიუროკრატები, არამედ ბევრი ჩვენი ახალი მუშაკებიც. საუწყებო დაწვრილმანება არის ბიუროკრატის მრავალფეროვანი სახის ერთერთი გამოხატულება, ყველა ბიუროკრატის საერთო პროგრამა, ხოლო ამჟამად ეს პლატფორმა განსაკუთრებით საშიშია, როგორც საშიშია სწორედ ეხლა ადმინისტრატიული თვითნებობა. უდიდესი ცვლილებები მეურნეობაში, სოციალისტურ ურთიერთობაში, კულტურაში, კლასთა შორის კავშირის სხვა მეთოდები, მშრომელთა ფართო მასების აქტივობის გაძლიერების სხვა მეთოდები, მშენებლობაში მუშათა კლასისა და გლეხობის უშუალო მონაწილეობის აქტიური და სწრაფი ზრდა—ყოველივე ეს მოითხოვს არა თუ მუშაობის სხვა მეთოდებს, არამედ ორგანიზაციის სხვა მეთოდებსაც.

მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ახირებული იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ მუშაობისა და ორგანიზაციის ის მეთოდები, რომლებიც რამდენიმე წლის წინად წარმოიშვნენ და მთელ რიგ შემთხვევებში დახავსებულად გადაიქცნენ, სავსებით უზრუნველჰყოფენ იმ ახალი ამოცანების საუკეთესოდ გადაჭრას, რომელნიც ამჟამად დგანან ჩვენს წინაშე. ამჟამად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ახალი ფაქტები: ხუთწლიანი გეგმა, ჩვენი ქვეყნის დარაიონების დამთავრება, კულტურული რევოლუცია, მუშებისა და გლეხების დაკავშირების ახალი მეთოდები, სავაჭრო ურთიერთობათა ახალი ფორმები, ამ ურთიერთობებიდან კერძო ვაჭრის სწრაფი განდევნა, მუშაობის ახალი შინაარსი და ახალი ფორმები, რომელნიც მწიფდებიან კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მრავალმილიონიანი მასების შემოქმედებისა და აქტივობის უფრო მაღალი დონე. ამ პირობებში არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ორგანიზაცია,რომელიც თანდათანობით იზრდებოდა და განსაკუთრებული დროის განმავლობაში შემთხვევიდან შემთხვევამდე იცვლებოდა, რაღაც წმინდათა წმინდას წარმოადგენს. ძალიან დიდი ცვლილებები უნდა მოვახდინოთ ყველა დარგში, რაც კი დაკავშირებულია მუშაობის ორგანიზაციასა და მეთოდებთან.

გამოცდა უნდა ჩავაბაროთ

ამხანაგებო, ახალი ეპოქა უდიდეს მოთხოვნებს უდგენს ყოველი ჩვენგანის მუშაობის ხარისხს, იგი უდიდეს მოთხოვნებს უდგენს არა მარტო სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, არამედ ისეთ დაწესებულებათა მუშაობასაც, როგორიც არიან პროფკავშირები, კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვა მასიური ორგანიზაციები. მუშაობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლის შესახებ, სწავლის საჭიროებისა და თავისი მუშაობის ყოველდღიურად გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ ვლადიმერ ილიჩი ამბობდა: „თუ კომპარტიის მთელ მუშაობას შევადარებთ უმაღლეს მეცნიერებათა ოთხწლიან კურსს, ჩვენი მდგომარეობა შეიძლება ასე განისაზღვროს: ჩვენ ვაბარებთ მესამე კურსიდან მეოთხეზე გადასასვლელ გამოცდას, ჯერ კიდევ არ ჩაგვიბარებია ეს გამოცდა, მაგრამ როგორც ყველა ნიშანი გვიჩვენებს, ჩავაბარებთ. თუ კურსობით ვიანგარიშებთ, პირველი კურსი იყო გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებიდან 1903 წლამდე—პირველდაწყებითი შესავალი პერიოდი ნაროდოვოლცებიდან სოციალ-დემოკრატიამდე, მე-II ინტერნაციონალიდან ბოლშევიზმამდე. ეს იყო პირველი კურსი. მეორე კურსი—1903 წლიდან 1917 წლამდე: აქ იყო სერიოზული მზადება რევოლიუციისათვის და რევოლიუციის პირველი ცდა 1905 წელს. მესამე კურსი—1917 წლიდან 1921 წლამდე: ეს ოთხი წელი თავისი შინაარსით სჭარბობს წინა 40 წელს.

ეს იყო უაღრესად საქმიანი გამოცდა, როდესაც პროლეტარიატი ხელისუფლების სათავეში ჩადგა, მაგრამ ეს კიდევ არ იყო გადამწყვეტი გამოცდა. თუ ჩვენს ჰიმნში მღერიან: „ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა“, მე უნდა ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ეს არ არის უკანასკნელი ბრძოლა, არამედ, თუ სავსებით სწორად ვიტყვით, უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთ-ერთი უფრო მიახლოვებული ბრძოლა. ეხლა კი ჩვენ ვაბარებთ მესამე კურსიდან მეოთხეზე გადასასვლელ გამოცდას, ხოლო შემდეგ უნდა გავიაროთ მთელი მეოთხე კურსი, მაშინ მართლაც უძლეველნი ვიქნებით“.

რომელ კურსზე ვართ ამჟამად ჩვენ?

მე მგონია, მეოთხე კურსზე და უნდა ვემზადოთ სახელმწიფო გამოცდისათვის სოციალისტური საზოგადოების ორგანიზატორთა დიპლომის მისაღებად. მაგრამ ეს გამოცდა ჩვენ უნდა ჩავაბაროთ კოლექტიურად, რამდენიმე ათმა მილიონმა კაცმა ერთად. მეოთხე კურსის, სოციალისტური მსხვილი წარმოების ორგანიზაციის კურსის გავლა შეიძლება მხოლოდ მრავალ ათეულ მილიონ კაცთან ერთად, მათი აქტივობის დარაზმვით და მათი სოციალისტურ მშენებლობასთან დაახლოვებით, თვითეული მათგანის დაინტერესებით სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის ყოველ ნაბიჯზე.

მე დავამთავრებ ჩემს მოხსენებას სრული რწმენით, რომ ჩვენ მშვიდობიანად დავამთავრებთ ამ მეოთხე კურსს და შემდეგ ჩავაბარებთ სახელმწიფო გამოცდას. (მქუხარე ტაში).

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება

(თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტთან)

გუშინ საღამოს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკაში შესდგა თათბირი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, რომელსაც დაესწრნენ პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თათბირზე სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შესახებ მოსმენილი იქნა ამხ. მაჩკევიჩის მოხსენება.

სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით, — ამბობს მომხსენებელი, — საქართველოში დაახლოებით მარტის თვიდან წარმოება - დაწესებულებებში დაიწყო სამეულებისა და ხუთეულების დაარსება, რომელთაც ჩაატარეს გაძლიერებული მუშაობა უმთავრესად შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ხუთეულებისა და სამეულების მუშაობამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. უნდა აღინიშნოს, რომ სამეულებისა და ხუთეულების მუშაობა არ იყო დაკავშირებული მუშათა მასებთან. ისინი ხშირად სამუშაო საათების გამცდენელთა შესახებ აწვდიდნენ პრესას ცნობებს, ისე, რომ ამის შესახებ მუშებმა არაფერი იცოდნენ. ასე, რომ სამეულები და ხუთეულები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. იყო აგრეთვე შემთხვევა, როდესაც სამეულები და ხუთეულები თავიანთი მოქმედებით სოც-შეჯიბრებას ხელსაც კი უშლიდნენ. ასე მაგ., მუშას, რომელსაც სახლში დარჩებოდა ჩამოსაკიდი „მარკა“ ხუთეული უკან აბრუნებდა „მარკის“ მოსატანად და ამნაირად იკარგებოდა სამუშაო საათები. ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევებიც, როდესაც ხუთეულები 10-15 წუთით სამსახურში დაგვიანებულ მუშას სამუშაოზე აღარ უშვებდნენ და სხვ. ხუთეულები თვალ-ყურს ადევნებდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეს მხოლოდ მუშებს შორის, რაც შეეხება ადმინისტრაციას და ტეხნიკურ პერსონალს, ხუთეული მათ უყურადღებოდ სტოვებდა. ამით ამოიწურა სოც-შეჯიბრების პირველი პერიოდი.

შეჯიბრების მეორე პერიოდის დაწყებისას, ე. ი. აპრილის პირველ ნახევარში, ხუთეულებისა და სამეულების მუშაობა კვლავ შრომის დისციპლინის განმტკიცებით განისაზღვრებოდა, მაგრამ პროფკავშირებს და კომკავშირის მიერ გამოქვეყნებულ ცირკულიარით განმარტებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების საკითხები. ამ დროიდან უკვე იწყება წარმოებათა ურთიერთ გამოწვევა, პრესის ახმაურება ამ საკითხებზე და სხვ. ურთიერთ გამოწვევის საქმეში ჩვენს წარმოებებს მთელი რიგი ნაკლულოვანებები აქვთ. ნაკლია ის, რომ გამოძახება სწარმოებდა ზერელედ, სიტყვით, საქმით კი ბევრი არაფერი კეთდებოდა. ზოგჯერ იდება ხელშეკრულებები, მაგრამ მის განხორციელებაზე აღარავინ ზრუნავს. იყო შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების პროექტის განხილვას მთელი თვეობით უნდებოდნენ, ხშირად წარმოება შეჯიბრებაში იწვევდა მისთვის სრულიად შეუფერებელ წარმოებას. უნდა აღინიშნოს, რომ სოც-შეჯიბრებას მიეცა კამპანიური ხასიათი. ზოგიერთ წარმოებაში მუშები დღესაც არ არიან გარკვეულნი სოც-შეჯიბრების ამოცანებში. ახსნა - განმარტებითი მუშაობა სუსტად გვაქვს დაყენებული.

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების საქმეში სამეურნეო მუშაკებს არაფერი გაუკეთებიათ მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სათანადო ორგანოების მიერ მათ მიეცათ კატეგორიული დირექტივა. სპეციალისტების მონაწილეობაც საგრძნობლად სუსტია. უნდა აღინიშნოს კულტურული დაწესებულებების სუსტი მონაწილეობაც სოც-შეჯიბრში. კლუბები და სხვა. კულტურული დაწესებულებები დღემდე სრულ უმოქმედობას იჩენენ.

მთავარი ნაკლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ სრულიად არ იყო გარკვეული ადგილებზე სოც-შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქმე. სოც-შეჯიბრების ჩატარებაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, განსაკუთრებით კი დიდი როლი შეასრულა კომკავშირმა, მაგრამ ამ მოხსენებით ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ნაკლულოვანებათა გაშუქება. დღეს, როცა სოც-შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქმე პროფ-ორგანიზაციების ხელში გადავიდა პარტიულმა, და საბჭოთა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კომკავშირმა უდიდესი დახმარება უნდა აღმოგვიჩინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჯიბრების ამოცანების შესრულება შეუძლებელი იქნება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. ავაწოვი — მართალია შეჯიბრებას საამქროებსა და ცალკე მუშებს შორის ფართო ხასიათი არ მიუღია, მაგრამ მუშაობა ამ მხრივ მაინც სწარმოებდა. ჯილდოებისათვის თანხების გამოძებნის საქმე ვერ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე, რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ამხ. თავშავაძე — (დეპო) სოც-შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ ჩვენ ვაწარმოებთ ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობას მუშებში. საამქროების შორის სწარმოებს შეჯიბრება. როსტოვის მუშებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩვენ გაცილებით გავაცხოველეთ მუშაობა.

ამხ. იშხანოვი (კომკავშირი) სოციალისტური შეჯიბრება როგორც ფაქტები გვიმტკიცებენ მარტო თბილისში და ქუთაისში მიმდინარეობს, დანარჩენ ქალაქებში კი ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. მას შემდეგ, რაც სოც-შეჯიბრების ხელმძღვანელობა პროფ-კავშირის ხელში გადავიდა კომკავშირის ბრიგადების მუშაობას შესუსტება ეტყობა. აღნიშნული დეფექტები უნდა გამოსწორდეს.

ამხ. ყურულაშვილი — სოციალისტურ შეჯიბრებათა ხელშეკრულების დადებას მეტად ფრთხილად და სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. ხელშეკრულებათა დასადებად არ არის საჭირო მომეტებული აჩქარება და მხოლოდ ციფრებით გატაცება. საჭიროა შეჯიბრება საქმით ტარდებოდეს და არა სიტყვით. უნდა აღინიშნოს პრესის სუსტი მონაწილეობა შეჯიბრების საქმეში. პრესას ეტყობა, რომ იგი კამპანიურ ხასიათს აძლევს შეჯიბრების საკითხების გაშუქებას. პრესამ რომ სათანადო დახმარება გაგვიწიოს და შრომის მოწესრიგების საქმე თავის სიმაღლეზე დავაყენოთ, შეჯიბრებას კარგად ჩავატარებთ.

ამხ. ხვანიძე. დღეს უკვე საჭირო შეიქნა სოც-შეჯიბრების საქმის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლა, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს კომკავშირის ინიციატივის შესუსტება ამ საქმეში. თუ კომკავშირი დღემდე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შეჯიბრებაში, ამიერიდან ეს მონაწილეობა უფრო უნდა გაძლიერდეს. ჩვენ აღარ უნდა გვჭირდებოდეს ლაპარაკი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის მოუწესრიგებლობაზე, რადგანაც პარტიულმა და პროფორგანოებმა ადგილებზე უნდა იცოდნენ თავიანთი მუშაობის პირობები. სოც-შეჯიბრებაში უნდა ჩავაბათ ფართო ფენები და უნდა გაუწიოთ მათ სათანადო ხელმძღვანელობა. წარმოებებში ჩვენ გვყავს მუშათა ისეთი ჩამორჩენილი ფენები, რომელთაც სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა სწორად ვერ გაუგიათ, რასაც ადგილებზე პარტიულმა და პროფ-ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: ამხ. ტრდატიანმა, ლადარიამ, პევცოვმა და სხვ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

თბილისის მაზრის ექიმთა მეხუთე კონფერენცია

თათბირის მეორე სხდომაზე, 26 მაისს, დილით, გაიხსნა კამათი ექიმ დევიძის მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექიმმა ნოსოვმა, მკურნალმა მიხაილიდიმ, გ. ფანცხავამ, კაჩუხაშვილმა და სხ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ გასულ წელს სხვადასხვა რაიონებში წარმოებული ვენერიული გამოკვლევა დატოვებული იქნა დაუმთავრებლად და საჭიროა წელს დამთავრებული იქნეს ეს საქმე. მართალია ექიმებს დანიშნული აქვთ დასასვენებელი დღეები, მაგრამ ფაქტიურად ამ დღეებშიაც უხდებათ მუშაობა; ამიტომ საჭიროა, რომ დასასვენებელი დღეების ნაცვლად ექიმებს მიეცეს დამატებითი შვებულება. ზოგიერთ რაიონს შტატების მიხედვით ეკუთვნის ფარმაცევტი, მაგრამ კვალიფიციურ ფარმაცევტების სიმცირის გამო, რაიონები ვერ შოულობენ მუშაკებს და თვითონ ექიმებს უხდებათ წამლების დამზადება, საჭიროა მიღებული იქნეს ზომები ფარმაცევტების მოსამზადებლად.

საავადმყოფოებს დაქირავებული ყავთ, თითო დარაჯი, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ 8 საათის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 16 საათი საავადმყოფო მიტოვებულია უდარაჯოდ. საჭიროა ამ საქმის მოგვარება.

26 მაისის საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ექიმ ივანე ლორთქიფანიძის მოხსენება სანიტარულ - პროფილაქტიური საქმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რამდენადაც კარგად არის მაზრაში დაყენებული მკურნალობის საქმე, იმდენად მოისუსტებს სანიტარული დახმარების საქმე. სოფლებში არ მოიპოება არც სადეზინფექციო კამერები და არც ლაბორატორიები, სოფლების მეტი წილი სათანადოთ ვერ არიან მომარაგებული წყალით. მაზრაში მუშაობს 8 სანიტარული ექიმი.

შემდეგ ვენერიულ სნეულებათა შესახებ მოხსენება გააკეთა ექიმმა თოფურიძემ. მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა.

27 მაისს დილით მოსმენილი იქნა ექიმ მარკოზოვის მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ, ექიმ აბაკელიას მოხსენება ტუბერკულიოზის შესახებ და ექიმ ზანდუკელის მოხსენება ფიზიოთერაპიის განვითარების აუცილებლობის შესახებ.

რა ხდება ადგილებზე

გაზაფხულის თესვის მიმდინარეობა

სოხუმი, 27 მაისი. გაზაფხულის თესვა სუსტად მიმდინარეობს. კამპანიის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17 პროცენტით. თესვის შეფერხების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ამინდის ცვალებადობა. 1 მაისამდე ხშირი წვიმები უშლიდნენ ხელს ხვნა-თესვას, შემდეგ კი დადგა გვალვა, რომელმაც სრულებით შეაჩერა მინდვრის სამუშაოები. საწარმოო გეგმის შესრულება ამჟამად მთლიანად დამოკიდებულია ამინდის მდგომარეობაზე. თუ 15 ივნისამდე საკმაო წვიმები მოვიდ კიდევ მოსალოდნელი იქნება გეგმის სავს ბით შესრულება. სულ აფხაზეთში, 20 მაისისათვის მიღებული ცნობებით, დათესილ 7.250 ჰექტარი. (ადს).

ავტომობილის ავარია

ოზურგეთი, 27 მაისი. ოზურგეთიდან სოხ ში მიმავალმა ავტომობილმა კატასტროფა ნიცადა. დაიღუპა მგზავრი მარია კაკაბა, მძიმედ დაშავდა ორი მგზავრი, მათ შორის ოზურგეთის სამაზრო პარტკომის მდივანი. შავებულები მოათავსეს ოზურგეთის საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს. (ა

მაიმუნების ფერმაში

უმი, 27 მაისი. სოხუმში ჩამოვიდა ების ფერმის მომწყობი ტობოლკინა. ამოსვლა დაკავშირებულია ფერმის თორვების განზრახვასთან. ამ დღეებში ს მიემატა მოსკოვიდან ჩამოყვანილი მაიმუნი. (ადს).

თიაქო სამმართველოს რევიზია

თომი, 27 მაისი.. იმასთან დაკავშირე- რომ „რაბოჩაია პრავდა“-ში დაიბეჭდა ალებელი შენიშვნა აჭარისტანის სააფ- ქო სამმართველოს შესახებ, დაინიშნა სა- ფო რევიზია. სააფთიაქო სამმართველოს ბები და სადგომები დაბეჭდეს. შენიშვ- დაბეჭდვის დღეს სააფთიაქო სამმართვე- ს გამგე ნანაძემ თავი მოიკლა. (ადს).

თბირი მუშებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საკითხის შესახებ

ბათომი, 27 მაისი. გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს და „საბჭოთა აჭარისტანი“-ს ინიციატივით ამ დღეებში ბათომში მოწვეული ნება მუშათა საზოგადოებრიობის ფართო ათბირი მუშებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საკითხის შესახებ. დღის წესრიგში დგას ჯანსახკომის მოხსენება. (ადს).

ნავთის საქაჩავი ქნის გახსნა ბათომში

25 მაისს, ბათომში მოხდა საზ-ბა „აზნეფტის“ მიერ ახლად აგებულ ნავთის საქ ქარხნის საზეიმო გახსნა. ქარხანა აგებ საამშენებლო ტეხნიკის უკანასკნელი მ ვების თანახმად და დღე-ღამის განმავლო გადაამუშავებს 2.500 ტონა ნავთს.

ნაშუადღევის 4 საათზე ახალი ქ ეზოში მოეწყო მიტინგი, რომელიც აჭარისტანის პროფსაბჭოს თავმჯდომარ კუნჭულიამ. მიტინგს, გარდა თბილისი ზაქოდან ჩასული სტუმრებისა, დაესწრ არისტანის მთავრობის ორგანოების და ბათომის მუშების წარმომადგენლები.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ საზ-ბა „აზნეფტის“ გამგეობის სახელით ამხ. ჰარო- ნი, საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტისა და ა.-კ. სახკომსაბჭოს სახელით—ამხ. ბუქსალდანი, საქართველოს ცეკას სახელით ამხ. გ. ბაღაქაძე, აჭარისტანის სახკომსაბჭოდან—ამხ. ზ. ლორთქიფანიძე, აჭარისტანის პროფსაბჭოდან ამხ. ბრეგაძე და სხვები.

წითელ ჯარში

წითელი ჯარი ტიქულ მეცადინეობაზე

კვირას, 2 ივნისს, მე-2 ქართული ლი დივიზიის ნაწილები ღრმა-ღელემოებში ჩაატარებენ სამოსწავლო მეცადინეობას თემაზე „სწრაფი გადასვლა რე მტკვარზე“.

მეცადინეობა ჩატარდება შემდეგ დ: ჯარის ერთი ნაწილი მტკვარის მარ ნაპირიდან დაიწყებს შეტევას მდინარე ვენა ნაპირზე გამაგრებულ მტრის აღმოდეგ. შეტევის დროს ჯარის ნაწილები მდინარე მტკვარზე აგებული იქნება ტონებიანი ხიდები, რომლებზედაც ლის ქვეითი ჯარი, არტილერია, ცხენოსანი ნაწილები და სხვა.

მეცადინეობას ჯარის ნაწილების გარდა დაესწრებიან თავდაცვა - ავიაქიმის რები, რიცხვით 1.000 კაცი.

შაბათს, 25 მაისს, შესდგა თავდ-ავიაქიმის თბილისის საბჭოს სხდომა, ლზედაც გამომუშავებულ იქნა ავიაქი რების მეცადინეობაზე დასწრების გე.

ავიაქიმის წევრები 2 ივნისს დილ საათზე თავს იყრიან ამიერ-კავკასი ითი სკოლის ეზოში, საიდანაც გაემგზავრებიან სადგურისაკენ.

სადგურზე ჩამოყენებული იქნება სპეციალური მატარებელი. აქ ავიაქიმის წევრები გაეცნობიან მატარებლის დატვირთვის წესებს სამხედრო დროის პირობებში.

შაბათს, 1-ლ ივნისს, წითელი არმიის სახლში, მოწვეულია თავდაცვა - ავიაქიმის წევრ ქალების თათბირი, რომელზედაც გაკეთებული იქნება სპეციალური მოხსენება მეცადინეობის ირგვლივ.

წითელი ჯარის მეცადინეობას ღრმა-ღელის რაიონში ხელმძღვანელობს მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მეთაური ამხ. გიორგაძე.

ჯარის მეცადინეობას 2 ივნისს დაესწრება სამხ. რევ. საბჭო და არმიის მეთაურთა მთელი შემადგენლობა.

ჯარის მეცადინეობა გადაღებული იქნება კინო-ლენტზე.

მეცადინეობის ადგილას დადგმული იქნება ხმა-მაღლა მოლაპარაკე რადიო - აპარატი, რომლის საშუალებით დამსწრე სტუმრებს განემარტებათ მეცადინეობის სხვადასხვა მომენტები.

რემედასის თბილ. სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე, 26 მაისს რემედასის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიში მოხსენება გააკეთა კომიტეტის პ.-მ. მდივანმა ამხ. ცქვიტინიძემ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო კომიტეტის მუშაობას და აღნიშნა მისი როგორც ღირსებები, ისე დეფექტები.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისსა და მის მაზრაში არსებული ორგანიზაციები დღითი დღე იზრდებიან რიცხვობრივად. მაგალითად, გასულ წელს მეოთხე კონფერენციისათვის ორგანიზაციებში ითვლებოდა 21.883 წევრი, ამჟამად კი ირიცხება 35.531 წევრი. მათ შორის 4297 გლეხია, 4352 მოწაფე და — 7085 ქალი. რემედასის უჯრედების რიცხვი გაიზარდა 77-ით. ამჟამად ქალაქსა და მის მაზრაში მუშაობს 328 უჯრედი. მაზრაში არსებული უჯრედების სუსტი მუშაობის გამო გლეხები ვერ იქნენ საკმაო რაოდენობით ჩაბმული რემედასის ორგანიზაციებში, მიღებულია ზომები უჯრედების გადასახალისებლად და მათი მუშაობის გასაცხოველებლად.

რემედასის თბ. კომიტეტის ქალაქის რაიკომი დახმარებას უწევს რუმინეთის ციხის „ჟილავა“-ს პოლიტპატიმრებს, ლენინის რაიკომი—იტალიის ციხე—„ოსტელ ფრანკ“-ს და 26-ისა გერმანიის პროლეტარიატს 1-ლ მაისის სახ. რაიკომი—იტალიის მეორე ციხის „სანკტო სტეფან“-ის პოლიტპატიმრებს. რემედასის ძირითადი ორგანიზაციები საინფორმაციო პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა კამპანიებში.

წელს 1-ლ 4 თვეში თბილისის კომიტეტს საწევრო გადასახადის და სხვა სახით შემოუვიდა 17.009 მანეთი. გასულ წელს სულ შეგროვილ იქნა 19.417 მანეთი, რომელიც გადაეგზავნა რემედასის ცეკას დანიშნულებისამებრ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვები მასიურად მოითხოვენ რემედასის მუშაობაში ჩაბმას. ამის გამო განზრახულია რემედასის წევრებად მიღებულნი იქნენ 14 წლის ბავშვები.

ამხ. ცქვიტინიძის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მოხსენებების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სოფლად ძირითად ორგანიზაციებს არ ეწევათ შესაფერი ხელმძღვანელობა, უჯრედების უმრავლესობა საწევრო გადასახადის შეგროვების მეტს არაფერს აკეთებს და სხ..

ამხ. ცქვიტინიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ რემედასის თბილისის კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა რემედასის საკავშირო ცეკას პლენუმს.

დასასრულ თბილისის ახალ კომიტეტში არჩეულ იქნა 49 წევრი და 13 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—5 წევრი და 2 კანდიდატი.

რკინისგზელებმა უნდა დაიჭირონ გამოცდა

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაკებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ფართო გამოხმაურება ჰპოვა სოციალისტურ შეჯიბრამ. მთელ საბჭოთა კავშირის რკინის გზის ქსელზე ერთმანეთს იწვევენ ცალკე რკინის გზები, უბნები, ქარხნები, დარგები, განყოფილებები და სხვ.

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელმა ქარხანამ ამ დღეებში დასდო ხელშეკრულება როლოვის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანასთან; ამჟამად ამხ. სტალინის სახელობის ხსენებული ქარხანა სდებს ხელშეკრულებას ხარკოვის შემკეთებელ ქარხანასთან. ანალოგიურ გამოწვევას აქვს ადგილი ა.-კ. რკინის გზის ცალკე დარგებს შორის, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს რკინის გზის მუშაკთა დიდ ენტუზიაზმს ტრანსპორტის აღდგენის საქმეში. ცალკე უბნები, წარმოებები დეპოები, მუშათა ჯგუფები შეუდგნენ ერთმანეთის გამოძახებას სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამჟამად ა.-კ. რკინის გზა გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ და პროფკავშირმა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენმა რკინის გზამ მიიღო ეს გამოწვევა და იმავე დროს თავისი გამოწვევა გაუგზავნა ჩრ.-კავკასიის რკინის გზას. ამრიგად, ორი დიდი გზის მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი პროფორგანიზაციების ინიციატივით მისცეს ერთმანეთს ვალდებულება ერთად იმუშაონ სოციალისტურ შეჯიბრების ჩასატარებლად. სოციალისტური შეჯიბრება წარმოადგენს ჩვენთვის სერიოზულ გამოცდას რ მიზნად ისახავს საწარმოო პროგრამის შესრულებას, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების აწევას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ა.-კ. რკინის გზა ჰკოჭლობს საწარმოო გეგმის შესრულების საქმეში. სოციალისტური შეჯიბრებაში დასახული ამოცანების შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მასალისა და ხელსაწყო იარაღების გეგმიანი და შეუწყვეტელი მიწოდებისა და შრომის სწორი ორგანიზაციისაგან, მუშა-ძალის გამოყენების და რაციონალიზაციის ღონისძიებათა ჩატარებისაგან.

სამწუხაროდ, დღემდე ეს საქმე არა გვაქვს ნორმალურად დაყენებული. ხელოსნების სამუშაო დროის ნაწილი უქმად მიდის მასალის და ხელსაწყო-იარაღების ძებნაში. ჯერ კიდევ ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე მუშები სჩიოდენ, რომ მასალა-იარაღების წესიერი მიუწოდებლობის გამო მათ უხდებათ სამუშაო დროის გაცდენა, შეკეთების დაგვიანება, რაზედაც რამოდენიმეჯერ გამოტანილი ყოფილა მთელი რიგი საგულისხმო დადგენილებები; გამოტანილი ყოფილა აგრეთვე მრავალი დადგენილება წარმოების ტეხნიკური გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ადმინისტრატორის მხრივ საქმისადმი უყურადღებობისა და ბიუროკრატიული მოპყრობის გამო, საწარმოო კომისიებისა და საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებებმა ვერ მოგვცა სათანადო ეფექტი.

ამ საქმის მოგვარებასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის განმტკიცებას. სადაც არ არის დაცული შრომის დისციპლინა, მკვიდრდება ანარქია, რაც ხრწნის და ანადგურებს მეურნეობას. შრომის დისციპლინის აწევის და შეჯიბრების წარმატებით ჩატარების საქმეში მოწინავე რიგებში უნდა ჩადგნენ იმ ძველ მუშათა კადრები, რომელთაც დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავთ სატრანსპორტო მეურნეობაში. მათ უნდა მოუწოდონ შრომის დისციპლინისაკენ წარმოებაში ახლად მოსულ მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ გამოხარშულან პროლეტარულ ქვაბში.

უკანასკნელ ხანებში სოციალისტურ შეჯიბრებაზე გამოძახებამ ჩვენს რკინისგზაზე ნაწილობრივ მახინჯი სახე მიიღო. რომელიმე წარმოების ზედაფენები — ადმინისტრაცია და ადგილკომი უშუალოდ იწვევს შეჯიბრებაში მეორე წარმოებას. ეს გარემოება სრულიად დაუშვებელია. ჩვენ მტკიცეთ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოძახება თვით მუშათა მასის საქმეა. შეჯიბრების პირობები უნდა იქნეს დამუშავებული მუშათა ფართო მასაში, ამავე მასის აქტიური მონაწილეობით. გამოძახება წინასწარ უნდა იქნას განხილული თვით წარმოების საწარმოო კომისიებში, თათბირებში და ეკონომ. კომისიებში; ამის შემდეგ გამოძახების პროექტი უნდა იქნეს განხილული მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და დასტურით უნდა წარედგინოს ის მთელი წარმოების მუშა - მოსამსახურეთა სახელით მეორე წარმოებას.

იმავე კრებაზე მუშებისაგან (წარმოებებში) და მოსამსახურეებისაგან (დაწესებულებებში) არჩეულ უნდა იქნეს დელეგაცია ხელშეკრულების დასადებათ.

სოციალისტურ შეჯიბრების წარმატებით ჩატარებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს რკინის გზის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციამ. მან უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური აქტიობა და ინტერესი.

შეჯიბრებაში დიდი როლი აქვთ დაკისრებული ადმინისტრატორებს და სამეურნეო მუშაკებს, როგორც წარმოების ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს. სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარმოებაზე სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობისაგან. ადმინისტრატორს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ზერელე და ბიუროკრატიული დამოკიდებულება დანაშაულს უდრის პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე. სოციალისტური შეჯიბრება გააუმჯობესებს მუშათა მატერიალურ მდგომარეობას. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ნარდად მომუშავეებზე, რომელთაც პროდუქციის გამოშვების გაძლიერებასთან ერთად ეზრდებათ გადამუშავების პროცენტი და ამით უდიდდებათ რეალური ხელფასიც. ამიტომ ყველა პროფორგანიზაციამ ადგილებზე ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური იმას, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ რაიმე მიზეზებით არ გამოიწვიოს მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, რათა ამით არ შექმნას ზოგიერთ მუშებს შეცდარი წარმოდგენა შეჯიბრებაზე..

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ჩამორჩენილ მუშაკთა ცალკე ჯგუფებში არსებობს გაურკვეველი შეხედულება სოციალისტურ შეჯიბრებაზე. ისინი ფიქრობენ, თითქო შეჯიბრება გააუარესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას, ამ ყალბი შეხედულების გასაფანტავად პროფორგანოებმა უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია.

პროფორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები და ცხოვრებაში გამტარებელნი. ამიტომ საჭიროა საწარმოო, საწ. თათბირების და დროებით-საკონტროლო კომისიების მუშაობის გაძლიერება, მათი წინადადებათა უფრო ენერგიული რეალიზაცია და აგრეთვე ჩვენი პროფაქტივის, ყველა კლუბების, კედლის გაზეთების, პრესის, წითელ კუთხეების, ვაგონ-კლუბების და მუშკორების დარაზმვა ამ დიდ საქმეში.

თუ დავიცავთ ამ პირობებს, ჩვენ შევძლებთ ბრწყინვალეთ ჩავატაროთ სოციალისტური შეჯიბრება, დავიჭიროთ საწარმოო გამოცდა და ავსწიოთ რკინის გზის ტრანსპორტის მეურნეობა.

პარმენ საბაშვილი.

ხელმძღვანელ პარტმუშაკთა შემოწმება დაიწყო

25 მაისს, საღამოს 6 საათზე წითელი არმიის სახლში დაიწყო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ხელმძღვანელ პარტიულ შემადგენლობის (ს. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების) შემოწმება. შემოწმებაში გატარდნენ ამხ. ნიკოლაევი, ვაინეროსი, ნემერზელი, ზიმინი, ყულუდევი, ციმმანი და ავქსენტიევსკი (ეს უკანასკნელი თუმცა თბილისში არ იმყოფება).

შემმოწმებელ კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. ლენგნიკი.

წმენდა შემდეგი წესით მიმდინარეობდა: შესამოწმებელი ამხანაგი მოუთხრობდა კრებას თავის ბიოგრაფიას, დამსწრეები (პარტიის წევრები და უპარტიოებიც) მას აძლევდნენ შეკითხვებს და იმართებოდა კამათი, შემდეგ შემმოწმებელი კომისიის [illegible] ბდა უჯრედის [illegible] ნაგზე.

ასეთივე წესით ჩატარდა ხელმძღვანელ პარტორგანიზაციების წევრთა შემოწმება ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უჯრედში (26 მაისს საღამოთი, სახალხო წითელ დარბაზში), ამ უჯრედის წევრებიდან შემოწმებაში გატარდნენ ამხ. ვ. გოგიბერიძე, ს. მეგრელიშვილი, კვარაცხელია, მირზაბეკიანი, მარქაროვი, რასულ-ზადე, კარინიანი, ალნიაშვილი, გიორგაძე, მირიმანოვი, ვარდანიანი, შ. ლეჟავა (დაუსწრებლად), სტეფანოვი, მგელაძე, კარკლინი, ბახტაძე, ხუმარიანი, პავერმანი, ჩხენკელი, კალატოზოვი, ლაკტიონოვი, უნგიაძე, გუსეინოვი (დაუსწრებლად).

გახრწნილი ელემენტები აღბულაღის საბჭოთა აპარატში

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ხელისუფლების სახელის გამტეხნი მოხსნილია სამუშაოდან

გუშინ, დილის 11 საათზე ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც აღბულაღის ადგილობრივ ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკების მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სოხიანმა.

უკანასკნელ ხანებში შემჩნეული იქნა, რომ აღბულაღის ადგილობრივ საბჭოთა აპარატში მოიკალათეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტებმა; ზოგიერთი პასუხისმგებელი პირები უწესო მოქმედებით სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და თავიანთ თანამდებობრივ უფლებებს იყენებდნენ ბოროტად.

შექმნილ მდგომარეობის ადგილობრივ გამოსაკვლევად და სათანადო ზომების მისაღებად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოყო ცალკე კომისია ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით. კომისია დაუყოვნებლივ გაემგზავრა აღბულაღში და შეუდგა მუშაობას.

კომისიამ გამოარკვია: 1) რომ აღბულაღის რაიონში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არანორმალურ და დანაშაულებრივ მოქმედებას ცალკე მუშაკების მხრიდან, რასაც არევ-დარევა და გახრწნა შეჰქონდა თემსაბჭოს, სასამართლოს, მილიციის, სკოლების და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. 2) სახალხო მოსამართლე ნოდია გარდა იმისა, რომ არა კეთილსინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას, ეწეოდა სისტემატიურ ლოთობას, სქესობრივ გარყვნილებას მოსახლეობის თვალწინ, მასვე გაფლანგული აღმოაჩნდა საზოგადოებრივი და სასამართლო ორგანოების თანხები; ნოდია მოჯამაგირეთა კომიტეტის მიერ აღძრულ საჩივრებს განგებ აჭიანურებდა, ან სრულებით არ იხილავდა, დაპატიმრებულებს ეპყრობოდა თვითნებურათ, რაიონს სტოვებდა ხანგრძლივად, რის გამო მას არავითარი ავტორიტეტი არ ქონდა გლეხების თვალში და იწვევდა მათ აშკარა და სამართლიან აღშფოთებას; 3) თემსაბჭოში, სახალხო სასამართლოში, მილიციაში, აფთიაქში, სკოლებში და ბავშთა ახალშენში მაკალათებულნი არიან მთელი რიგი უცხო ელემენტები, რომელნიც თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხდნენ აღნიშნულ დაწესებულებებს და აფერხებდნენ მუშაობის ნორმალურ მსვლელობას; ცალკე პასუხისმგებელ მუშაკებს შორის გამეფებულმა შუღლმა და ინტრიგებმა, არა შეთანხმებულმა მუშაობამ რაიონში შექმნა პირობები ცალკე ორგანიზაციების საქმიანობის ჩასაშლელად; 4) მოსახლეობა აღშფოთებულია რაიონში მოკალათებულ მემამულე საგინაშვილებით, რომლებიც განაგრძობენ თავიანთი მამულების მფლობელობას და იმავე დროს კონტრრევოლიუციონურ მოქმედებით აბრკოლებენ საბჭოთა ორგანოების მუშაობას; 5) თემსაბჭო და საბჭოს პრეზიდიუმი არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას მორიგ კამპანიებს, თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მათ არაფერი არ გაუკეთებიათ, რის გამო კამპანია ჩატარებული იქნა უგეგმოთ და დასათეს ფართობის აღურიცხველად. არც თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას მიუქცევია სათანადო ყურადღება აღმასკომის რაიონში თესვის საქმისათვის. დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის განკარგულებით ნოდია დაპატიმრებულ იქნა.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა კომისიის გამოკვლევის მასალების მიხედვით დაადგინა: წინადადება მიეცეს თბ. აღმასკომის ყველა განყოფილებებს თავიანთი ხაზით გააძლიერონ საინსტრუქციო და ცოცხალი ხელმძღვანელობა აღბულაღის რაიონზე, კერძოდ დაევალოს თბ. აღმასკომის ორგანიზაციებს შეუსუსტებელი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს აღბულაღის თემსაბჭოს მუშაობას მისი გაჯანსაღების მიზნით; საადგილ-მამულო განყოფილებას წინადადება მიეცეს დააჩქაროს რაიონში მიწად-მოწყობის ჩატარება და მიიღოს ზომები ადგილობრივ აგრო-ორგანიზაციების მუშაობის გასაცხოველებლად; ეთხოვოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რათა აღბულაღის რაიონის ყოფ. სახალხო მოსამართლე ნოდიას გასამართლება მოაწყოს ადგილობრივ საზოგადო-საჩვენებელ პროცესის სახით და გლეხთა ფართო მასების დასწრებით.

გადაეცეს საყვედური რაიონის მილიციის უფროსს ხაჭაპურიძეს მასწავლებელ ქალის, შახაზიზოვას უკანონოთ დაპატიმრებისათვის; წინადადება მიეცეს თბ. აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას აღბულაღის რაიონთან ერთად გამოიკვლიოს პატიმართა შენახვის წესი სხვა რაიონულ მილიციებთან არსებულ საპატიმროებში და გამოკვლევის შედეგი მოახსენოს პრეზიდიუმს; ეთხოვოს საქართველოს ცაკს დააჩქაროს აღბულაღის რაიონიდან მემამულე საგინაშვილების გადასახლების საკითხის გარჩევა; წინადადება მიეცეს თბ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას შეიმუშაოს პროექტი საგინაშვილების მამულებში კოლექტიურ მეურნეობების მოსაწყობათ.

მოიხსნან სამუშაოდან: როგორც უცხო ელემენტი, აღბულაღის თემსაბჭოს მდივანი ანთელავა (მენშევიკურ მთავრობის ყოფ. კონსული ერევანში), სახალხო სასამართლოს მდივანი ნარმანია (ყოფ. ოფიცერი), მილიციის საქმის მწარმოებელი საგინაშვილი (მემამულის ქალი) და აფთიაქის გამგე ანთიძე. აგრეთვე მოხსნილ იქნეს თანამდებობიდან გამომძიებელი ნოზაძე სასამართლოს მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობისა და სხვა უტაქტო მოქმედების გამო, რაც სახელს უტეხდა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს გლეხობის თვალში.

წინადადება მიეცეს განათლების განყოფილებას სამსახურიდან მოხსნას შემდეგი პირები: დუმანისის თემის სკოლის მასწავლებელი თედეევის ქალი, როგორც ნოდიას დამქაში და თანამდებობისათვის შეუფერებელი, ირაგის საბაზო სკოლის გამგე უვუდუმოვი, დაგეთ-ხაჩინის სკოლის მასწავლებელი ქალი დავიდოვა და ამავე დროს დაევალოს განყოფილებას გადასინჯოს რაიონის და საბავშო კოლონიის მთელი პედაგოგიური პერსონალი და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო და გამოუსადეგარი მასწავლებლები შესცვალოს შესაფერი პირებით.

დასასრულ, პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს ცეკავშირს გამოიკვლიოს თავის ძირითად ორგანიზაციების მუშაობა აღბულაღის რაიონში.

სადეპუტატო მაგიდების ხელმძღვანელთა თათბირი

25 მაისს, თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა სადეპუტატო მაგიდების ხელმძღვანელთა თათბირი, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი სადეპუტატო მაგიდების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ნუცუბიძე, რომელმაც აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სადეპუტატო მაგიდებს საბჭოს მასიური მუშაობის გაღრმავებისათვის. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ წარსულ წელს თბილისში მოწყობილი იყო მხოლოდ 5 სადეპუტატო მაგიდა, წელს მაგიდების რიცხვი 12-მდეა გადიდებული, ხოლო მომავალში მათი რიცხვი კვლავ უნდა იქნეს გამრავლებული. სადეპუტატო მაგიდები უნდა მოეწყოს ყველა მსხვილ წარმოებებთან.

დასასრულ, მომხსენებელმა გააცნო თათბირის წევრებს სადეპუტატო მაგიდების ახალი დებულება, რაც თათბირმა მიწონა და დაამტკიცა.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომ აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებამ კიდევ უფრო გააძლიეროს ცოცხალი კავშირი სადეპუტატო მაგიდებთან, გადაუგზავნოს მათ ყველა საჭირო მასალები და ახალი დადგენილებები და სხ. გადაწყვეტილია აგრეთვე დაწესებული იქნეს სადეპუტატო მაგიდების მუშაკთა მორიგეობა მუშებისაგან სხვადასხვა განცხადებების მისაღებათ.

საზეიმო კრება ა.-კ. კომუნივერსიტეტში

(სტუდენტთა გამოშვების აღსანიშნავად)

ა.-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-3 წლების გამოშვების აღსანიშნავად გუშინ, კომუნივერსიტეტის კლუბში შესდგა საზეიმო კრება.

კრებამ მოისმინა უნივერსიტეტის რექტორის ამხ. ლისოვსკის მოხსენება უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ დაიწყო მისალმებები. პირველი სიტყვა მიეცა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელიც ახალ გამოშვებულ სტუდენტებსა და უნივერსიტეტის მთელ პედაგოგიურ შემადგენლობას მიესალმა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის სახელით. კრება ამხ. მახარაძეს ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. ახრიბეკოვმა (საქ. კ. პ. (ბ) ცეკასა და თბილისის კომიტეტის სახელით) ამხ. თინოვმა, ამხ. ახუნდ-ზადემ (კომკავშირის ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით) და სხვ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ქრონიკა

პოეტ კირილოვის და გერასიმოვის ჩამოსვლა

26 მაისს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ პოეტები ვლადიმერ კირილოვი და მიხეილ გერასიმოვი.

ისინი თბილისში დარჩებიან ერთი კვირა და ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლუბებში გამოვლენ თავიანთი ნაწარმოებებით.

ანდრეი ბელი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი მწერალი ანდრეი ბელი. თბილისში ჩამოსვლამდე მან ერთი კვირა დაჰყო სომხეთში.

ბელის გადაწყვეტილი აქვს ზაფხული გაატაროს საქართველოს კურორტებზე და შეუდგეს ახალი წიგნის წერას საქართველოში დაწყებულ აღმშენებლობისა და ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

საქ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული 7 საათის სამუშაო დღის შემომღებ კომისიის დადგენილებით, 15 ივნისიდან 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბაში, ხოლო 1-ლი ივლისიდან ლიტოგრაფიაში.

რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი

30 მაისს, ა.-კ. სას.-სამ. ბანკის შენობაში გაიხსნება რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკების და ა.-კ. საკრედიტო კავშირების თავმჯდომარეთა თათბირი. დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: მოსახლეობის თანხების მობილიზაციის კამპანიის შედეგები და შემდგომი ღონისძიებები ამ მიმართულებით, კრედიტების მიწოდების და მშენებლობის კონტროლის წესები და ქვედა საფეხურის სას.-სამეურნეო სისტემის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში.

რკ. გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პლენუმი

ა.-კ. რკ. გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მორიგი პლენუმი შესდგება თბილისში 30 მაისს. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ა.-კ. რკ. გზათა გამგეობის მოხსენება; დარაიონების კომისიის მოხსენება ა.-კ. რკინის გზათა სახელოსნოების დარაიონების შესახებ; კომიტეტის სატარიფო- ეკონომიურ განყოფილების მოხსენება ა.-კ. რკინის გზებზე სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებისა და საწარმოო კომისიების და საწარმოო თათბირების შემოწმების შესახებ.

პური არამშრომელ მოსახლეობისათვის

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებისა, მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა არამშრომელ მოსახლეობისათვის რუსულ ფურნეზე დაწესებული იქნეს კილოზე 50 კაპეიკი, ქართულ პურზე—55 კაპ.

დაწყებულია მიღება ა.-კ. ქვეითი სკოლასთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე

დაიწყო მსურველთა მიღება ა.-კ. ქვეითი სკოლასთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე.

კურსების მიზანია მოამზადოს ამხანაგები ა.-კ. ქვეითი სკოლაში შესვლისათვის. სწავლა გაგრძელდება სამი თვე. მეცადინეობა იწარმოებს სამჯერ კვირაში საღამოობით. სწავლა უფასოა.

კურსებზე მიიღებიან მუშები და მოჯამაგირეები (ბატრაკები) რომელნიც უნდა იქნენ გამოგზავნილი შემრჩევი კომისიის და პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 5 ივნისამდე. კანდიდატების შერჩევა იწარმოებს 3—8 ივნისამდე. ცნობების და განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე ა.-კ. ქვეითი სკოლაში 9—15 და 18—20 საათამდე.

სხვადასხვა

◆ თბილისის ექიმების და კბილის ექიმების საერთო კრება. 29 მაისს საღამოს 8 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება თბილისის ექიმების და კბილის ექიმების საერთო კრება, რომელზედაც ამხ. მუავანაძე გააკეთებს მოხსენებას სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

◆ მონადირეთა კავშირის წევრთა კრება. მონადირეთა კავშირის თბილისის განყოფილების წევრთა საერთო კრება დანიშნულია 5 ივნისისათვის. კრება შესდგება ავტოკლუბის შენობაში.

◆ სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება. დღეს, 28 მაისს, საღამოს 5 საათზე სახ. უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც სამკურნალო ფაკულტეტის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამავე ფაკულტეტის დეკანი პროფ. ალ. ნათიშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „თანამედროვე მუსიკალური სკოლების ამოცანები“. დღეს, 28 მაისს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების მუშაკთა კავშირის კლუბის სათეატრო შენობაში სახალხო სამუსიკო სასწავლებლების ადგილკომი გამართავს დისკუსიას თანამედროვე მუსიკალური სკოლების ამოცანების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ქუთათელაძე.

◆ მომღერალთა გუნდი. ი. კალანდაძის ლოტბარობით შესდგა ახალი მომღერალთა გუნდი, რომელშიაც მონაწილეობს 40 ქალ-ვაჟი. აღნიშნული გუნდი კონცერტებს გამართავს მუშათა კლუბებში.

ახალი საბინაო ტარიფი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, მუშათა თეატრში ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი, რომელზედაც ახალი საბინაო ტარიფის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. სიხარულიძემ.

მოხსენების შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა საქ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძვლებზე თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული შემდეგი ახალი საბინაო ტარიფი:

§ 1. ყველა მოქალაქე, რომელსაც დაკავებული აქვს საცხოვრებელი ფართობი, როგორც მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილ სახლებში, ისე კერძო პირთა სახლებში, ვალდებულია ბინის ქირა გადაიხადოს ამ დადგენილების თანახმად. ბინის ქირა უნდა გადაეცეს საბინაო - საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს, სახლის მმართველს, სახლის პატრონს და სხვ.

შენიშვნა: 1. ის პირებიც, რომელთაც სათანადო ნებართვით საცხოვრებლად უჭირავთ დარაბები, ბინის ქირას იხდიან ამ დადგენილების მიხედვით.

შენიშვნა 2. ეს დადგენილება არ ეხება სასტუმროებს, ახლად აგებულ სათანადო ხელშეკრულების მიხედვით დაშენებულ და ახლად აღდგენილ სახლებს..

§ 2. საბინაო ქირაში, რომელსაც იხდიან მოქალაქეები მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობზე ამ დადგენილების თანახმად, შედის:

ა) საცხოვრებელ ფართობის ნამდვილი ექსპლოატაციის ღირებულება (შესანახი, სახლის მმართველობის, დარაჯების, მეეზოვეების და სხვ. ხარჯები), ბინების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება — როგორც შიგნით, ისე გარედან, აგრეთვე მიმდინარე და კაპიტალური რემონტი წყალსადენის და ცენტრალურ გათბობის, ბინებამდე ელექტრონის ქსელის გაყვანა, ეზოების გაწმენდა, ნაგავის და თოვლის გადატანა, ღუმელების გაწმენდა, ქუჩების და ეზოების განათება, სახლების სავალდებულო დაზღვევა, ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობათა შენახვა და შეძენა, გადასახადი და ანარიცხები, მიწის რენტა, საიჯარო გადასახადი, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯები და სხვ.

ბ) ნორმალური ამორტიზაცია.

შენიშვნა 1. კომუნალურ გადასახადს: წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროენერგიის, ცენტრალურ გათბობის და უკანალიზაციო სახლების ეზოებში ფეხისადგილების გაწმენდის ხარჯებს იხდიან ბინის დამქირავებელნი გარეშე იმისა, თუ რამდენს იხდიან ისინი საბინაო ქირას.

შენიშვნა: 2. ოთახების შიგნითა მოცულობის წვრილმანი შეკეთება, როგორიცაა შეკეთება კარ-ფანჯრების, გასაღებების და საკეტავების, ოთახის შეთეთრება, შპალერის გაკვრა, ფანჯრებში გატეხილ შუშების მაგიერ ახალი შუშების ჩასმა (თუ ისინი მთელი იყო ბინის დაქირავებამდე), საბინაო (ოთახების) კანალიზაცია, წყალსადენის ქსელის გაწმენდა, ელექტრო-ქსელის შეკეთება, ფეხსადგილებში საჯდომების შეკეთება და სხვ. ხდება იმ მოქალაქის ხარჯზე, რომელსაც უჭირავს ბინა.

შენიშვნა 3. ზედმეტ საცხოვრებელ ფართობიდან შემოსულ ქირის 50 პროცენტი სახლის მმართველობებმა ან მეპატრონეებმა უნდა შეიტანონ ადგილობრივ საბჭოს სალაროში საბინაო ფონდის სპეციალურ თანხების შესავსებათ.

§ 3. საბინაო ქირის გამოანგარიშება სწარმოებს მხოლოდ საცხოვრებლად გამოსადეგ ფართობის სივრცის მიხედვით, დერეფანი, აბაზანები, სამზარეულო, ფეხისადგილი, შუშაბანდი და სხვ. ამგვარი სახის ფართობები ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

§ 4. შემდეგ მუხლებში დაწესებული საბინაო ქირა გამოანგარიშებული უნდა იქნეს თვიურათ კვადრატულ მეტრზე.

§. 5. მუშებისათვის და მოსამსახურეებისათვის საბინაო ქირა დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ის პირი, რომელიც თვეში იღებს 20 მანეთამდე კვ. მეტრზე იხდის 5,5 კ.

„ 21—30	„ „ „ „	10 კ.
„ 31—40	„ „ „ „	12 კ.
„ 41—50	“ „ „ „	14 კ.
“ 51—60	„ „ „ „	16 კ.
„ 61—70	„ „ „ „	19 კ.
„ 71—80	„ „ „ „	22 კ.
„ 81—90	„ „ „ „	25 კ.
„ 91—100	„ „ „ „	28 კ.
„ 101—110	„ „ „ „	31 კ.
„ 111—125	„ „ „ „	35 კ.
„ 126—145	„ „ „ „	40 კ.

ამრიგათ, მუშა-მოსამსახურეები, რომელთა საერთო ხელფასი თვეში შეადგენს 145 მანეთს, კვადრატულ მეტრზე იხდიან საბინაო ქირის ძირითად განაკვეთს, ესე იგი 40 კ., ის მუშა-მოსამსახურენი კი, რომელნიც თვეში ღებულობენ 145 მანეთზე მეტს, კვადრატულ მეტრზე, გარდა 40 კაპეიკისა, დამატებით იხდიან 3 კაპეიკს ყოველ სრულ 10 მანეთზე, ხოლო ის პირნი, რომელთა თვიურ ხელფასს შეადგენს 275 მანეთი და მეტი, ყოველ ზედმეტ 25 მანეთზე თითეულ კვ. მეტრზე დამატებით იხდიან 5,5 კაპეიკს, იმ ანგარიშით, რომ საბინაო ქირა კვ. მეტრზე არ აღემატებოდეს 1 მან. 32 კაპეიკს.

§ 6. საბინაო ქირის გამოანგარიშება ხდება მუშა-მოსამსახურის მიერ ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში მიღებულ მთელი ხელფასის მიხედვით. მუშა-მოსამსახურეებისათვის საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება ზედმეტი საათების ნამუშევარი და სპეციალური დატვირთვისათვის მიღებული გასამრჯელო, რომელიც ეძლევა მათ პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით.

შენიშვნა 1. პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთა დატვირთვისათვის მიღებული გასამრჯელო არ მიიღება მხედველობაში საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს, ეკუთვნიან მუშაკთა იმ კატეგორიას, რომელიც აღნიშნულია საკავშირო შრ. სახ. კომისარიატის 1925 წლის 31 მარტის და ამავე წლის 27 აპრილის დადგენილებებში. შესაფერი ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნეს წარმოება - დაწესებულებებიდან.

შენიშვნა 2. ნარდათ მომუშავე მუშა-მოსამსახურეთათვის საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება მთელი მათი ხელფასი, თუ ნარდათ მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა 3. საგუშაგო მილიციონერები ბინის ქირას იხდიან საერთო ტარიფზე 25 პროც. ნაკლებს.

§ 7. დაქირავებულ შრომით მომუშავენი, რომელნიც მუშაობენ შეთავსებით და ღებულობენ სპეციალურ განაკვეთს, აგრეთვე თავიანთ ძირითად განაკვეთზე ეძლევათ დამატებით ტანტიემა ან პროცენტული ჯილდო, საბინაო ქირას იხდიან მთელი შეჯამებულ თვიური ხელფასის მიხედვით.

§ 8. წითელ- არმიის საშუალო, უფროსი და უმაღლესი საკადრო შემადგენლობა, აგრეთვე სამხედრო უწყების მოსამსახურეები საბინაო ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად თავიანთი ძირითადი ხელფასის მიხედვით.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული პირები ბანაკათ ყოფნის დროს იხდიან ბინის ქირის მხოლოდ 50 პროცენტს, თუ წარმოადგენენ მოწმობას იმის შესახებ, რომ იქ მათ ექირათ კერძო ბინა.

§ 9. მუშა-მოსამსახურის ყოველთვიური ხელფასის გამორკვევა ხდება მისი საანგარიშო წიგნაკის ან მოწმობის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს ყოველთვიურად დაწესებულებიდან — თანამდებობის, ძირითად ჯამაგირის და სხვა ყოველგვარ სახის შრომის ჯილდოს აღნიშვნით. თუ მუშა-მოსამსახურეს აქვს საანგარიშო წიგნაკი, სპეციალურ მოწმობის წარდგენა საჭირო აღარ არის.

შენიშვნა 1. მუშა-მოსამსახურენი ვალდებული არიან თავის დროზე წარუდგინონ აღნიშნული დოკუმენტები სახლის მმართველობებს.

შენიშვნა 2. ყალბი მოწმობების გაცემისა და წარდგენისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის წესით საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 183 და 186 მუხლების თანახმად.

§ 10. მუშა ერთეულები, დღიურათ მომუშავენი, მუსიკოსები, კერძო მასწავლებლები, მრეცხავები, მხერხავები, სახლში მომუშავე მკერავები და სხვ., რომელთაც არა აქვთ მუდმივი სამუშაო, საბინაო ქირას იხდიან შემდეგის წესით:

ა) ისინი, რომელნიც ირიცხებიან პროფკავშირში, პროფკავშირის წევრების თანაბრად, რისთვისაც უნდა წარმოადგინონ ცნობები სათანადო პროფკავშირებიდან.

ბ) არა პროფკავშირის წევრები — სახლის მმართველობებთან ან პატრონებთან შეთანხმებით, იმ პირობით, რომ მათთვის საბინაო ქირა დაწესებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 25 კაპეიკისა და არა უმეტეს 64 კაპ. კვ. მეტრზე თვეში.

§ 11. შინამრეწველები და ხელოსნები, რომელთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა-ხელი, არც შეგირდი და ამავე დროს არც საშემოსავლო გადასახადი აქვთ შეწერილი, საბინაო ქირას იხდიან სახლის მმართველობებთან შეთანხმებით, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ ქირა არ უნდა იყოს 22 კაპ. ნაკლები და 36 კაპ. მეტი კვ. მეტრზე თვეში.

შენიშვნა: ამავე კატეგორიას ეკუთვნიან დროგებზე, ფურგონებზე, ტაჩკებზე და მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებზე მომუშავენი, რომელნიც ამ მუშაობას ეწევიან პირადათ, მაგრამ არ ითვლებიან გადასაზიდ საშუალებათა პატრონებად, აგრეთვე ფეხსაცმელის მწმენდავები, წყლის მზიდავები და სხვ.

§ 12. შინამრეწველები და ხელოსნები, რომელთაც ჰყავთ ერთი დაქირავებული მუშა-ხელი, ან 2 შეგირდი და არ არიან დაბეგრილნი საშემოსავლო გადასახადით, საბინაო ქირას იხდიან 40 კ. რაოდენობით კვ. მეტრზე თვეში.

§ 13. შინამრეწველ - ხელოსანი, რომელსაც არ ჰყავს დაქირავებული მუშა-ხელი, აგრეთვე ისინიც, რომელთაც დაქირავებული ჰყავთ ერთი მუშა-ხელი ან 2 შეგირდი და შეწერილი აქვთ საშემოსავლო გადასახადი, ქირას იხდიან მე-12 §-ის თანახმად და დამატებით — 1.000 მანეთ შემოსავალზე ზევით, ყოველ 200 მანეთზე იხდიან კიდევ 5,5 კაპ. კვ. მეტრზე. ისე რომ, მათი ბინის ქირა არ აღემატოს 1 მ. 10 კ. კვ. მეტრზე. დამატებით ქირის გამოანგარიშების დროს 1.000 მანეთ შემოსავლის ზევით არასრული 200 მანეთი ჩაითვლება სრულად. ამრიგათ ამ კატეგორიის პირები, რომელთაც წლიური შემოსავალი აქვთ:

800—1000 მანეთამდე	იხდიან	40 კ.
1000—1200 მანეთამდე	იხდიან	45,5 კ.
1200—1400	„ „	51,0 კ.
1400—1600	„ „	56,5 კ.
1800—2000	„ „	67,5 კ.
2000—2200	„ „	73,0 კ.
2200—2400	„ „	78,5 კ.
1600—1800	„ „	62,0 კ.
2400—2600	„ „	84,0 კ.
2600—2800	„ „	89,5 კ.
2800—3000	„ „	95,0 კ.
3000—3200	„ „	1—5 კ.
3200 მ. ზევით	„ „	1მ. 10 კ.

§ 14. შინამრეწველი და ხელოსანი, რომელსაც ყავს 2 და 3 დაქირავებული მუშა ან ექვსამდე შეგირდი, გასულ წლის შემოსავლის მიხედვით (რომელიც გამოანგარიშებული იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ) კვ. მეტრზე იხდის 88 კაპეიკიდან დაწყებული 1 მან. 98 კაპეიკამდე, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

იმ პირს, რომელსაც საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებით წლიური შემოსავალი აქვს 1000 მანეთამდე, კვადრ. მეტრზე იხდის 88 კ.

1000—1200	„ „	93,5 კ.
1200—1400	„ „	99 კ.
1400—1600	„	1—4,5 კ.
1600—1800	„	1—10 კ.
1800—2000		1—15,5 კ.
2000—2200	„	1—21 კ.
2200—2400	„	1—26,5 კ.
2400—2600	„	1—32 კ.
2600—2800	„	1—37,5 კ.
2800—3000	„	1—43 კ.
3000—3200	„	1—48,5 კ.
3200—3400	„	1—54 კ.
3400—3600	„	1—59,5 კ.
3600—3800	„	1—65 კ.
3800—4000	„	1—70,5 კ.
4000—4200	„	1—76 კ.
4200—4400	„	1—81,5 კ.
4400—4600	„	1—87 კ.
4600—4800	„	1—92,5 კ.
4800 და ზევით		1—98 კ.

§ 15. შინამრეწველი და ხელოსანი, რომელსაც ჰყავს სამზე მეტი დაქირავებული მუშა ან 6 შეგირდზე მეტი, საბინაო ქირას გადაიხდის, როგორც არამშრომელი ელემენტი (დადგენილების მე-24 მუხლის თანახმად).

§ 16. სარეწაო კოოპერაციის და წესდების მქონე არტელების წევრნი, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ ამხანაგობისა და არტელის მოგებაში და აქვთ მტკიცე განაკვეთი, საბინაო ქირას იხდიან როგორც მუშა-მოსამსახურენი თავიანთ თვიური ხელფასის რაოდენობის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ისინი მუშაობენ სარეწაო კოოპერაციის ისეთ ამხანაგობებსა და არტელებში, რომელნიც შედიან მაღლა მდგომ კოოპერატიულ გაერთიანებებში და ამავე დროს ასრულებენ ამ კოოპერატიულ გაერთიანების ან სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების დავალებებს.

§ 17. იმ სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობებისა და შრომის არტელების წევრები, რომლებზედაც არ ვრცელდება დადგენილების მე-16 მუხლი, საბინაო ქირას იხდიან როგორ შინამრეწველები ამ დებულების მე-11, 12 და მე-13 მუხლების მიხედვით.

§ 18. თავისუფალი პროფესიის პირებათ ითვლებიან ექიმები, ბეითლები, კბილის ექიმები, კბილის ტეხნიკოსები, ინჟენრები, დამცველთა კოლეგიის წევრები, კომივოაჟორები, ბირჟის მაკლერები, ფერშლები, ბებიები, მასაჟისტები, ლიტერატორები, ჟურნალისტები, მხატვრები და სხვა, რომელთა საარსებო წყაროს წარმოადგენს სპეციალური გონებრივი შრომა და გასამრჯელოს იღებენ როგორც არა დაქირავებულნი, არამედ შეთანხმებით ყოველ ცალკე სამუშაოსათვის.

§ 19. თავისუფალ პროფესიის პირნი, რომელთა შემოსავალი გასულ წელში არ აღემატებოდა წლიურად 1200 მანეთს, საბინაო ქირას იხდიან საბინაო ტარიფის ძირითადი განაკვეთის რაოდენობით, ესე იგი 40 კ. კვ. მეტრზე თვეში. 1200 მანეთზე ზევით კი ყოველ 200 მანეთზე, დამატებით იხდიან 5 კაპეიკს იმ ანგარიშით, რომ კვ. მეტრზე ქირა არ აღემატებოდეს 1 მ. 98 კ. თავისუფალ პროფესიის პირნი, რომელთაც წელიწადში შემოსავალი აქვთ:

1200 მანეთამდე	კვ. მეტრზე	იხდიან	—40 კ.
1200—1400 მანეთამდე		„	—45 კ.
1400—1600	„	„	— 50 კ.
1600—1800	„	„	— 55 კ.
1800—2000	„	„	— 60 კ.
2000—2200	„	„	—65 კ.
2200—2400	„	„	—70 კ.
2400—2600	„	„	—75 კ.
2600—2800	„	„	— 80 კ.
2800—3000	„	„	— 85 კ.
3000—3200	„	„	— 90 კ.
3200—3400	„	„	— 95 კ.
3400—3600	„	„	— 1 მ. —
3600—3800	„	„	— 1—05 კ.
3800—4000	„	„	1—10 კ.
4000—4200	„	„	1—15 კ.
4200—4400	„	„	1—20 კ.
4400—4600	„	„	1—25 კ.
4600—4800	„	„	1—30 კ.
4800—5000	„	„	1—35 კ.
5000—5200	„	„	1—40 კ.
5200—5400	„	„	1—45 კ.
5400—5600	„	„	1—50 კ.
5600—5800	„	„	1—55 კ.
5800—6000	„	„	1—60 კ.
6000—6200	„	„	1—65 კ.
6200—6400	„	„	1—70 კ.
6400 და ზევით			1 მ. 98 კ.

შენიშვნა 1. სახელმწიფო სამსახურში მყოფნი თავისუფალი პროფესიის პირნი, ქირას იხდიან მოსამსახურეებისათვის დაწესებულ განაკვეთის მიხედვით, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სამსახურის გარეშე შემოსავალი (მუშაობიდან), თუ ეს შემოსავალი (გასულ წელში) არ აღემატებოდა მათ წლიურ ხელფასს, ამ შემთხვევაში მათი სამსახურის გარეშე შემოსავალი მიემატება სამსახურში მიღებულ ხელფასს და საბინაო ქირა გამოანგარიშებული იქნება საერთო ჯამის მიხედვით, მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებულ საბინაო ქირის განაკვეთებთან შეფარდებით, მაგრამ თუ თავისუფალ პრაქტიკით მიღებული შემოსავალი აღემატება ამ პირების მიერ სამსახურში მიღებულ ხელფასს, ამ შემთხვევაში საბინაო ქირა წესდება სამსახურის გარეშე მყოფ თავისუფალ პროფესიის პირთათვის შემოღებულ განაკვეთით და ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება როგორც სამსახურში მიღებული ხელფასი, ისე სამსახურის გარეშე თავისუფალ პრაქტიკით ნამუშევარი

შენიშვნა 2. თავისუფალი პროფესიის პირნი, რომელთაც აქვთ საკუთარი სპეციალური დაწესებულებები (კანტორა, სამკურნალო, იურიდიული ბიურო და სხვ.), საბინაო ქირას იხდიან როგორც არა მშრომელი ელემენტები, ესე იგი 1 მან. 98 კაპეიკიდან 4 მან. და 40 კაპეიკამდე კვ. მეტრზე თვეში (იხ. ამ დადგენილების 23 მუხლი).

შენიშვნა 3. სამეცნიერო მუშაკთათვის, ლიტერატორებისათვის და სახვითი ხელოვნების მუშაკთათვის, რომელთაც აქვთ ხელფასი, ან შემოსავალი თვიურად 400 მანეთამდე, საბინაო ქირა წესდება მუშა - მოსამსახრეებისათვის შემოღებულ განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა 4. რელიგიურ კულტის მსახურნი საბინაო ქირას იხდიან როგორც არამშრომელი ელემენტები.

§ 20. სახელმწიფო პენსიონერები, სოციალურ უზრუნველყოფაზე და სოციალურ დაზღვევაზე მყოფი პირნი, რომელნიც დახმარების და პენსიის სახით თვეში იღებენ არა უმეტეს 20 მანეთისა, პროფკავშირის უმუშევარი წევრები და აგრეთვე უმუშევრები, რომელთაც აქვთ დახმარების მიღების უფლება და წითელარმიელთა ოჯახები, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, საბინაო ქირას იხდიან 5,5 კაპეიკის რაოდენობით კვ. მეტრზე.

§ 21. სახელმწიფო პენსიონერები და ის პირნი, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფაზე ან დაზღვევაზე და თვეში დახმარების ან პენსიის სახით იღებენ 20 მანეთზე მეტს, საბინაო ქირას იხდიან იმავე წესით, როგორც მუშა-მოსამსახურეები.

შენიშვნა 1. შრომის და ომის ინვალიდები, რომელთაც პენსიის ნაცვლად მი- ემული აქვთ ვაჭრობის უფლება შე- ავათიან პირობებში, საბინაო ქირას დიან:

თუ მათი შემოსავალი წლიურად არ წევს 800 მანეთს, იმ პირთათვის და- ესებულ განაკვეთზე 30 პროცენტის კლებით, რომელნიც მოქცეულნი არიან დგენილების მე-11 მუხლში.

) თუ მათი შემოსავალი აღემატება 800 ეთს, ქირას იხდიან დადგენილების მე-13 ლში ჩამოთვლილ პირთა თანაბრად, პროცენტის დაკლებით.

ენიშვნა 2. შრომის გმირები და სახვითი ოვნების მუშაკნი ქირას იხდიან თავი- პენსიის 50 პროცენტის მიხედვით. თუ ატეგორიის პირთ პენსიის გარდა აქვთ ემატიური სხვა სახის შემოსავალი, ამ ხვევაში, მათი საბინაო ქირის გამო- იშება სწარმოებს მხოლოდ მათი შემოსავლის მიხედვით და პენსია ველობაში არ მიიღება.

მოწაფეები, რომელთაც ეძლევათ სახ. ს ია, ან დანიშნული აქვთ სტიპენდია პ ონალურ, კოოპერატიულ და სხ. მ რგანიზაციებისაგან, არა უმეტეს 35 მა თვეში და ან განთავისუფლებულნი არ სწავლო გადასახადისაგან, კვ. მეტრ- ზე ან 5,5 კაპეიკს.

შვნა: მოსწავლეები, რომელნიც სტიპენდიას 35 მანეთზე ზევით, ქირას იხდიან როგორც მუშა-მოსა- მ ეები.

§ ის მოსწავლეები, რომელთაც არ ეძლ სტიპენდია, არც განთავისუფლე- ბულ იან სწავლის ქირისაგან, იმყოფები- ან კმაყოფაზე და ცხოვრობენ ცალკე, ქირ იან ამ დადგენილების მე-29 მუხ- ლის ევით.

ვნა 1. სამსახურში მყოფნი მოსწავ- ლ ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურე- ებ ავსათ.

ვნა 2. მოსწავლეების ბინის ქირას გამ რიშების დროს მხედველობაში არ მიი მათ მიერ შემთხვევით მუშაობი, ან გაკვეთილების მიცემით შემოსუ- ლი ა.

§ 2 პირები, რომელნიც ცხოვრობენ არა შ ი შემოსავლით და რომელთა კა- ტეგორ კუთვნიან: სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მფლობელნი, ნახევრათ მფლო, პაის მქონენი, მოიჯარადრეები და მო ნი, აგრეთვე ის პირნი, რო- მლები ევიან ვაჭრობას, მოიჯარადრეობას, ნარდშაობას, საბირჟო მაკლერობას, შუამავლ და სხ. ასეთ ხასიათის ოპერაციებს, ვე ის პირნი, რომელნიც ცხოვ- რობენ ნთ ფულად კაპიტალის სარგებ- ლით (ს წიფო სესხებიდან შემოსავლის გამოკლ და დანარჩენი პირები, რომლე- ბზედაც ლდება საშემოსავლო გადასა- ხადი, თ ლ № 3 განაწესისა, ამასთანავე ინდივიდ ურ სასოფლო - სამეურნეო გა- დასახად ბეგრილნი, ბინის ქირას იხდიან 1 მან. 98 —4 მ. 40 კაპეიკის ფარგლებში, წინა წლ საფინანსო ორგანოების მიერ გამორკვე შემოსავლის კვალობაზე შე- მდეგ გან ეთებით:

ის ვი ც წელში ქონა შ სავალი:			კვ. მეტრზე თვეში იხდის:
1200 ან.-დე (ჩათვლით)			1 მ. 98 კ.
1200-1400	„	„	2 მ. 09 კ.
1400-1600	„	„	2 მ. 20 კ.
1600-1800	„	„	2 მ. 31 კ.
1800-2000	„	„	2 მ. 42 კ.
2000-2200	„	„	2 მ. 53 კ.
2200-2400	„	„	2 მ. 64 კ.
2400-2600	„	„	2 მ. 75 კ.
2600-2800	„	„	2 მ. 86 კ.
2800-3000	„	„	2 მ. 97 კ.
3000-3200	„	„	3 მ. 08 კ.
3200-3400	„	„	3 მ. 19 კ.
3400-3600	„	„	3 მ. 30 კ.
3600-3800	„	„	3 მ. 41 კ.
3800-4000	„	„	3 მ. 52 კ.
4000—200	„	„	3 მ. 63 კ.
4200—400	„	„	3 მ. 74 კ.
4400—600	„	„	3 მ. 85 კ.
4600—800	„	„	3 მ. 96 კ.
4800—000	„	„	4 მ. 07 კ.
5000—200	„	„	4 მ. 18 კ.
5200—400	„	„	4 მ. 29 კ.
5400 და ზევით	„	„	4 მ. 40 კ.

§ 25. ირნი, რომელნიც პირველად იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით, სათანადო საფინანსო ორგანოების მიერ მათი შემოსავლის გამორკვევამდე, ქირას იხდიან სახლის მართველობებთან შეთანხმებით: შინამრეწველები ა ხელოსნები არა ნაკლებ 22 კ. და რა უმეტე 1 მ. 98 კ. კვ. მეტრზე; არა მშრომლი ელემენტები—1 მ. 98 კაპეიკიდან 4 მ. კაპეიკამდე და თავისუფალი პროფესიის რები—არ ნაკლებ 40 კაპ. და არა უმეტეს მ. 98 კაპეკისა კვ. მეტრ. თვეში.

§ 26. ის პირები, რომელნიც დაბეგრილი ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებით და მათ კმაყოფაზე მყოფნი ბინის ქირას იან საფინანსო ორგანოების მიერ გასულ სადასახადო ელში გამორკვეულ შემოსავლის კვალობაზე შემდეგი სახით:

თ მათი თვიური შე- ოსავალი უდრის		კვ. მეტრზე
150 მანეთამდე		5,5 კ.
150—200	„	10 კ.
200—250	„	15 კ.
250—300	„	20 კ.
300—400	„	25 კ.
400—500	„	30 კ.
00—600	„	35 კ.
00—700	„	40 კ.
0—800	„	50 კ.
0—900	„	60 კ.
9—1000	„	70 კ.
10—1200	„	80 კ.
120 და ზევით	„	1 მ.

შე შვნა: ინდივიდუალურ წესით სასოფლო-მეურნეო გადასახადით დაბეგრილნი, ბ ს ქირას იხდიან ამ დადგენილების მე-24 ხლის თანახმად.

§ 27. ბინაო ქირის გამოანგარიშება, ერთი ოჯახ მიერ დაკავებულ ერთ ან რამდენიმე ოთა, ხდება ოჯახის იმ წევრის ხელფასის შემოსავლის კვალობაზე, რომელსაც ყველაზე მეტი ხელფასი ან შემოსავალი აქვს, რისთვისაც ამ ხელფასის, ან შემოსავლის მიხვით გადახდილი უნდა იქნეს იმ პირთა საცხოვრებელი ფართობის ქირა, რომელნიც იმყოფებიან გადამხდელის მთლიან, ან ნაწილობრ კმაყოფაზე.

შენიშვნა 1. ქირის გამოანგარიშებისას ოჯახის წევრებათ ითვლებიან ისინიც, რომელნიც არ იმყოფებიან გადამხდელის კმაყოფაზე, მაგრამ ცხოვრობენ მასთან ერთად და ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას, ოჯახის წევრებათ ითვლებიან აგრეთვე შინამოსამსახურენი.

შენიშვნა . ოჯახი, რომელშიაც რამოდენიმე წევრს აქვს ხელფასი, ან შემოსავალი, ვალდებულია სახლის მმართველობას წარუდგინოს ცნობა თვითეულ მათგანის ხელფასის შესახებ.

შენიშვნა 3. საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც უჭირავს შინამოსამსახურეს, ქირას იხდის დამქირავებელი თავის ხელფასის მიხედვით.

§ 28. თუ ერთ ოთახში ცხოვრობს რამდენიმე პირი და აქვთ უფლება დაიკავონ საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ არ ეკუთვნიან ერთ ოჯახს, ყოველი მათგანი ითვლება გადამხდელათ, რისთვისაც ოთახის საცხოვრებელი ფართობი ნაწილდება მათ შორის თანაბრად და ქირას იხდიან თავიანთ ხელფასის მიხედვით.

§ 29. მშრომელ ელემენტების კმაყოფაზე მყოფი, ხოლო მისგან ცალკე ბინაზე მცხოვრები პირი, ბინის ცალკე ქირას იხდის თავის უზრუნველმყოფელისაგან მიღებულ დახმარების რაოდენობის მიხედვით. რაც შეეხება არა მშრომელ ელემენტის კმაყოფაზე მყოფთ, ისინი ბინის ქირას იხდიან თავის უზრუნველმყოფელის სრულ შემოსავლის კვალობაზე.

§ 30. ელემენტარულ კეთილმოწყობას მოკლებულ და კეთილმოუწყობელ სახლებში და აგრეთვე ქალაქის ცენტრის გარეთ არსებულ სახლებში მცხოვრებთათვის დაწესებულ შეღავათიან ტარიფით, ქვემო ჩამოთვლილ მუხლების მიხედვით, სარგებლობენ მხოლოდ მშრომელები და მათთან გათანასწორებული პირები, რომლებიც მოქცეულნი არიან 5, 7, 8, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 და 25 მუხლებში (არა მშრომელთა კატეგორიის გამოკლებით) და 26 მუხლში (იმ პირთა გამოკლებით, რომელნიც აღნიშნულნი არიან § 26-ის შენიშვნაში).

§ 31. დადგენილების მე-30 მუხლში მოქცეული პირები, რომელნიც ცხოვრობენ გარეუბნებში მდებარე სახლებში, ქირას იხდიან ერთი მესამედით ნაკლებს.

შენიშვნა: ქალაქის დაყოფა ცენტრად და გარეუბნებათ იხ. ამ დადგენილების დამატებაში.

§ 32. ის პირები, რომელნიც ჩამოთვლილ არიან მე-30 §-ში და ცხოვრობენ უკანალიზაციო და უწყალსადენო სახლებში, ქირას იხდიან 20 პროცენტით ნაკლებს, ხოლო ისეთ სახლებში მცხოვრებნი, სადაც წყალსადენი არის, მაგრამ არ არის კანალიზაცია, ან პირიქით, ქირას იხდიან 10 პროცენტით ნაკლებს.

§ 33. იმ პირებმა, რომლებიც ცხოვრობენ სარდაფ ბინებში, რომელთა იატაკი მიწის ზედაპირიდან 30-დან 50-მდე სანტ. ქვევითაა, (ეს შეეხება მხოლოდ მე-30 §-ში ჩამოთვლილთ) ქირა უნდა გადაიხადონ ნორმალურ ტარიფზე 25 პროცენტით ნაკლები.

შენიშვნა: სარდაფად ითვლება ისეთი ოთახი, რომელიც მიწის ზედაპირიდან ყოველმხრივ ქვევითაა, აგრეთვე პირველ სართულის ის ოთახი, რომლის თუ გინდ ერთი მხარე იმყოფება მიწის ზედაპირზე დაბლა.

§ 34. 1) ისეთ სარდაფებში მცხოვრებნი, რომელთა ოთახების იატაკი ნახევარ მეტრზე უფრო დაბლაა მიწის ზედაპირიდან, 2) ოთახები, რომელთაც არა აქვთ ბუნებრივი განათება, 3) ქერზე მოთავსებული ბინები და 4) გასავლელ ოთახებში მცხოვრებნი, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან ამ დადგენილების § 30-ში, ქირას იხდიან 50 პროცენტის დაკლებით.

§ 35. წინა პარაგრაფებში მოქცეული ბინის დამქირავებელნი ქირას იხდიან სულზე 10 კვ. მეტრის ანგარიშით.

§ 36. § 35-ში გათვალისწინებულ ფართობზე ზევით, მე-30 §-ში ჩამოთვლილი პირები, ქირას იხდიან ორმაგათ, არა მშრომელი ელემენტები კი ოთხმაგათ.

შენიშვნა 1: მუშა - მოსამსახურენი, რომელთა ოჯახზე ზედმეტი ფართობი მოდის არა უმეტეს 5 კვ. მეტრისა იხდიან ერთმაგად.

შენიშვნა 2: დამატებითი საცხოვრებელ ფართობზე, 15 კვ. მეტრის რაოდენობით, რომელიც ეკუთვნით ზოგიერთ კატეგორიის მოქალაქეებს საქ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლის 26 სექტემბერს გამოცემულ დეკრეტით, ქირა აღებულ უნდა იქნეს ერთმაგათ.

შენიშვნა 3: თუ ერთ და იმავე ოჯახში რამდენიმე წევრს აქვს უფლება ჰქონდეს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი 1 ოთახის სახით, ასეთი ეძლევა მხოლოდ ერთ-ერთ წევრს, ე. ი. მხოლოდ ერთ ოთახზე გადაიხდიან ერთმაგათ.

შენიშვნა 4: ზედმეტ საცხოვრებელ ფართობისათვის, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ პირს, (§ 35-ის შენიშვნა მე-2) ეს უკანასკნელი ვალდებულია წარმოადგინოს სათანადო ორგანიზაციო - დაწესებულებიდან საგანგებო მოწმობა.

§ 37. მე-30 §-ში ჩამოთვლილი პირები, თუ მათ 3 სულზე მეტი ჰყავთ თავიანთ უზრუნველყოფაზე, ზედმეტ სულზე სარგებლობენ 10 პროც. შეღავათით, საერთოდ არა უმეტეს 30 პროცენტისა.

შენიშვნა: კმაყოფაზე არ შეიძლება ითვლებოდეს ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სამუშაო და თვეში იღებს 20 მანეთზე მეტს.

§ 38. მუშა-მოსამსახურეებს და მე-30 §-ის თანახმად მათთან გათანაბრებულ პირებს საბინაო ქირა შეაქვთ შემდეგი თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, ხოლო დანარჩენი კატეგორიის პირნი საბინაო ქირას იხდიან იმავე მიმდინარე საგადასახადო ქირას 15 რიცხვამდე.

შენიშვნა: ხელფასის თავის დროზე მიუღებლობის გამო საბინაო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის მუშა-მოსამსახურეები და მათთან გათანასწორებული პირები არ შეიძლება მიცემულ იქნენ პასუხისგებაში, თუ ისინი წარმოადგენენ შესაფერ მოწმობებს ხელფასის დაგვიანებით მიღების შესახებ.

§ 39. იმ შემთხვევაში, როცა, ამ დადგენილების თანახმად, საბინაო ქირა დაწესებული უნდა იქნეს შეთანხმებით ორივე მხარეთა შორის, მაგრამ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდება, ან ასეთი სრულებით არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ საბინაო ქირის ნორმა წესდება სასამართლოს საშუალებით. ამ დადგენილების საფუძვლებზე და გადამხდელის მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით.

§ 40. საჩივრები და ყოველგვარი კონფლიქტები წარმოშობილი ამ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით, ირჩევა და წესდება სასამართლოს წესით.

§ 41. ამ დადგენილებით დაწესებულ ნორმებზე ზევით მდგმურებისათვის ქირის გადახდევინების გამო დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის წესით.

§ 42. ამ დადგენილების განსამარტავად კომუნალურ განყოფილებას უფლება / ეძლევა გამოსცეს თბილისის საბჭოს ინსტრუქცია.

§ 43. ეს დადგენილება ძალაში შედის 1929 წლის 1-ლ ივნისიდან. ამ რიცხვიდან გაუქმებულია თბილისის საბჭოს დებულება საბინაო გადასახადის შესახებ, დამტკიცებული 1926 წლის 19 ოქტომბერს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

—:—

დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს ავალებს: ახალ ტარიფის შემოღებასთან ერთად, მიიღოს ზომები კერძო მეპატრონეთა სახლებში მდგმურების შემადგენლობით კომისიების დასაარსებლად, აღნიშნულმა კომისიებმა კონტროლი უნდა გაუწიონ სახლის მეპატრონეებს, რათა ქირისაგან შემოსული თანხები მოხმარდეს მხოლოდ სახლების შეკეთებას; შეადგინოს სახელდობრ იმ კეთილმოუწყობელ სახლების სია, რომლებშიაც მცხოვრებთ ტარიფის მიხედვით უნდა მიეცეთ შეღავათი; პრეზიდიუმს აგრეთვე ევალება შეადგინოს დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან სპეციალური კომისია, რომელიც გამოარკვევს, თუ ვის ეკუთვნის ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი; მიიღოს ენერგიული ზომები საბინაო კავშირთან ერთად, რათა საბინაო ამხანაგობებმა ქირისაგან შემოსული თანხები პირველ რიგში მოახმარონ სახლების შეკეთებას და ამავე დროს შეამცირონ საორგანიზაციო ხარჯები; დაევალოს პრეზიდიუმს გამოსცეს ცალკე დადგენილება მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებიდან არა მშრომელ ელემენტების გამოსასახლებლად, ამ გზით და აგრეთვე შემჭიდროების საშუალებით განთავისუფლებულ ბინებში ჩასახლებული იქნება უბინაო დაზგის მუშები; აგრეთვე გადაათვალიეროს კერძო პირებზე დაბრუნებულ სახლების სია და უკანონოთ დაბრუნებული სახლები დაუყოვნებლივ ჩამოართვას მეპატრონეთ; მუშებს შორის ბინების გაცვლის საქმის გასაადვილებლად და განთავისუფლებულ ბინების დანიშნულებისაებრ გამოყენების მიზნით დაჩქარებული იქნეს საბინაო - საშუამავლო ბიუროს დაარსება, დასასრულ რეზოლუცია ითვალისწინებს სათანადო ღონისძიებებს პირველ მოთხოვნილების სურსათ - სანოვაგეზე და სხვა საქონელზე ფასების დასაკლებად.

ფიზკულტურა და სპორტი

„ტრანსპორტელთა კავშირი“ — „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი“

მორიგი კალენდარული შეჯიბრება პროფკავშირების პირველობაზე ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის გუნდსა (ყოფ. გემო-კვების მუშაკთა გუნდი) და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდს შორის აღინიშნა ტრანსპორტელთა გუნდის დამარცხებით.

პოლიტეხნიკური ინტიტუტის გუნდმა, რომელმაც საპატიო შედეგს მიაღწია მეღითონეებთან შეჯიბრებაში (მატჩი დამთავრდა 4:3 მეღითონეების სასარგებლოდ, აღსანიშნავია, რომ პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი მთელი ტაიმის განმავლობაში 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდა 11 წინააღმდეგ), კვირას შეჯიბრებაში დაამტკიცა, რომ მისი სახით თბილისს მოემატა ახალი ძლიერი გუნდი. გუნდში თითქმის ყველა ახალგაზრდა მოთამაშეებია.. ხანგრძლივი ვარჯიშობის შემდეგ ისინი შეიძენენ ყველა იმ თვისებებს, რომლებიც საჭიროა მებრძოლი გუნდისათვის: თამაშის ტეხნიკა, გამძლეობა და ერთმანეთთან შეთამაშება.

ორივე ტაიმის განმავლობაში შეტევას, უმთავრესად პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი აწარმოებდა, თუმცა დროგამოშვებით ტრანსპორტელებიც მძლავრ იერიშებს ანვითარებდნენ, მაგრამ ყველა მათი ცდები მარბების ზანტი და მოუფიქრებელი თამაშის წყალობით უშედეგოთ თავდებოდა.

შეჯიბრების დამთავრებამდე პოლიტეხნიკუმის გუნდმა ორი ბურთი გაატარა ტრანსპორტელების კარებში, თავის ბადეში კი არ მიუღია არც ერთი; ამრიგად, მატჩი დამთავრდა 2:0 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდის სასარგებლოდ.

ველო-მარულა

შაბათს და კვირას ველოდრომზე უნდა გამართულიყო თბილისის ველო-სპორტსმენების ამხანაგური შეჯიბრება ერევანის ველოსიპედისტებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთა არ ჩამოსვლის გამო შეჯიბრება გადაიდო.

ბათომელი ფეხბურთელები თბილისში

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ბათომის რკინისგზელთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც აქ ჩაატარებს ორ შეჯიბრებას. პირველი შეჯიბრება ბათომელებთან განზრახულია კვირას, 2 ივნისს.

ა-კავკ. სას.-სამ. ბანკში

კრედიტები ღარიბებს გლეხებს

ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის ღარიბეს გლეხებისათვის კრედიტების მისაწოდებლად გადასდო 145.765 მანეთი. აქედან საქართველოს მიეცემა 84.500 მანეთი, აზერბეიჯანს — 25.700 მან. და სომხეთს —35.565 მანეთი.

კურსებზე გაგზავნა

ა.-კ. სას.-სამ. ბანკის გამგეობა მოსკოვში, ბანკების მუშაკთა ცენტრალურ კურსებზე გზავნის ა.-კ. სას.-სამეურნეო კრედიტის სისტემის 14 მუშაკს. ეს კურსები მომავალ სამოსწავლო წლიდან გადაკეთებული იქნება მუდმივ სასწავლებლად 2 წლიანი კურსით.

კრედიტები მიწადმოწყობისათვის

ცენტრალურმა სას.-სამეურნეო ბანკმა ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკს გადმოუგზავნა 363.216 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს ახალ მიწებზე დასახლებულთა საჭიროებების დაკმაყოფილებას. ა.-კ. სას.-სამ. ბანკის გამგეობამ ეს თანხა გაანაწილა შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა 99.778 მანეთი, აზერბეიჯანს — 199.658 მან. და სომხეთს — 63.780 მანეთი.

სამელიორაციო მშენებლობა

აზერბეიჯანში სამელიორაციო მშენებლობის განსავითარებლად ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკმა გადასდო 300.000 მანეთი.

რადიო-გადაცემა

დღეს რადიო-ცენტრი თბილისის რადიოსადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 5 საათიდან — პიონერისა და მოსწავლის საათი ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზ. „პროლეტარი“ რადიოთი სომხურ ენაზე; გაზ. „წითელ არმიელი“ რადიოთი ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); რადიო გადაცემათა კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; საღამოს 9 საათიდან დაიწყება კონცერტის ტრანსლიაცია მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბიდან; დასასრულ, გადაცემული იქნება უკანასკნელი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე.

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

ამხ. პოლიო კუჭუხიძის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სოსიკო ნადირაძეს, მარგალიტა ჟუკს, ლიუბა ღურბელაძეს, დომენტი ჩოჩუას, სანდრო კახაძეს, დათიკო ქუთათელაძეს და ვარლამ სანაძეს. **გრიშა დარსაველიძე.**

ამხ. ქეთო მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჟორა პატარაიას, დათიკო მელუხას, სიმონ ულენტს, გოგი ჭკუასელს, ლევიკო რამიშვილს, რუსუდან მამალაძეს და ლეილა კალანდაძეს.

მოწაფე იუზა კალანდაძე.

ამხ. ვიქტორ მირზაშვილის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი აბულაძეს, მიხეილ ტატიშვილს, იოსებ ბარათაშვილს, სარდიონ სუგაცაძეს და ტარიელ მაჭავარიანს.

კ. ნიკოლეიშვილი.

პროლეტარულ სტუდენტობის დასახმარებლათ შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ზიზო სინჯიკაშვილს, ვახტანგი ძაგანიას, ნინა აბრამიძეს, ნოდარ ზერეკაძეს, ელგუჯა დათუკიშვილს და შოთა ფანოზიშვილს. **მაყვალა გურდიაშვილი.**

ექიმ ქოჩიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ და ჩემ მხრივ ვიწვევ შემდეგ ექიმ რენტგენოლოგებს: სერგო ოდიშარიას, დავით მიქელაძეს, მიხეილ ტყემალაძეს, მიხეილ ნემსაძეს, გიორგი ავალიშვილს და იმერლიშვილს. **გიორგი ნაზარაშვილი.**

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს 10 მანეთი და [illegible] სახ. კომისარიატიდან ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ი. ტალახაძეს, თ. დოლიძეს, ს. ქავთარაძეს, ალ. ბუჯიაშვილს, ივ. ძამამიძეს, ნ. ჯინჭარაძეს, ნ. კოპალეიშვილს, კ. ბესელიას, ს. დარახველიძეს, ალ. გამსახურდიას, გ. ბაბუნაშვილს, მ. ბახტაძეს, ი. კალანდაძეს, კ. მიქელაძეს, გ. ერისთავს, ვლ. ბრეგაძეს, ა. ჩიქოვანს; უნივერსიტეტიდან: გრ. ჭელიძეს, ი. ბაჯაძეს და მიხ. ჩიქვაიძეს.

ევდოკიმე ენუქიძე.

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ახალსენაკიდან: ს. დგებუაძეს, გრ. კუქავას, შ. ჩხეტიას, კ. ფაჩულიას, კ. აფხაზავას, დ. ბასილიას, კოს. კუჭავას და რ. ნიკუბაძეს.

ჭ. ცერცვაძე.

№ 51 საბინ. საიჯ. ამხანაგობის გამოწვევით შემოგვაქვს 10 მანეთი პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ და ვიწვევთ ბინათკავშირს.

№ 50 საბ. საიჯ. კოოპ. ამხ. გამგეობა.

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა უფროსებს და მათ მოადგილეებს.

ვუკ. ბერიძე.

დღეს, „კომუნისტი“-ს კანტორაში პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემოვიდა 47 მან., სულ წინეთ შემოსულთან ერთად 1.486 მან. 17 კაპ.

შემთხვევები

იშვიათი ხულიგნობა

გუშინწინ, საღამოს, კახეთის მოედანზე, ცნობილმა ხულიგნებმა რუბენ მაზმანოვმა და ვართან ახვერდოვმა რევოლვერებით სროლა აუტეხეს კინო „პროლეტარი“-ს წინ მიმავალ აბრამ მამულაიშვილს, კონსტანტინე მამაცაშვილს და მიხეილ ასაკაშვილს, რომლებმაც ხულიგნებს სროლითვე უპასუხეს. სროლის დროს მძიმედ დაიჭრა მამულაიშვილი და შემთხვევით გამვლელნი მოქ. მღებროვი, მარიამ კონდოვა და ვაგან მანთაშევი. დაჭრილები გადაგზავნეს საავადმყოფოში. ხულიგნებმა მოასწრეს მიმალვა. დაპატიმრებულნი არიან მამაცაშვილი და ასაკაშვილი, რომლებმაც სროლა აუტეხეს ხულიგნებს.

კედლის ჩამონგრევა

ღვინის რიგში ჩამოინგრა № 10 სახლის კედელი. მსხვერპლი არ ყოფილა.

ტრამვაის ქვეშ

მალაკნის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონის ქვეშ ჩავარდა მოქ. ანდრო ჩებანოვი, რომელსაც ვაგონმა გადასჭრა მარცხენა ფეხი.

ჯიბგირობა

მოქ. ვლადიმერ კალანტაროვს ჯიბიდან ამოართვეს ოქროს საათი.—ცენტრალურ ბაზარში მალაქია ორახელაშვილს მოპარეს 1 ფუთ ნახევარი ყველი.—სიონის ქუჩაზე გუსეინ ოღლი ფინალოვს ამოაცალეს 293 მანეთი.—რიფ. სანდაროვს ამოაცალეს 100 მ.—მოქ. რ. ქიქოძეს ტრამვაის რონოდაში ჯიბიდან ამოაცალეს 80 მ. ფული და 200 მანეთის ობლიგაციები.

ქურდობა

ორჯონიკიძის სახელობის კლუბიდან მოიპარეს 5 ცალი მუსიკალური ინსტრუმენტი.—გაქურდეს გასპარ ახვერდოვის ბინა (ალექსანდრ. ქ. № 19), წაიღეს 250 მ. ნივთები.—ალ. ქალბიანის ბინიდან (კალინინის ქ. № 83) მოიპარეს 350 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ვარლამ ხოჯალიას ბინა (ლენინის ქ. № 3).—ლევან სხირტლაძის პურის საცხობიდან (ვერის დაღმართი) მოიპარეს 200 მანეთი.—გაქურდეს სოფიო ბიხნერის (ბელინსკის ქ. № 170) და დ. ჭანტურიას (გოგოლის ქ. № 56) ბინები.

შეპყრობა

დააპატიმრეს პეტრე ბალიევი და მიხეილ ბალაშოვი, რომლებმაც ტრამვაის ვაგონში არშაკ სარქისიანცს ამოაცალეს 100 მანეთი. ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს აგრეთვე ნიკოლოზ ბიცკინი, მიხეილ დავიდოვი და ვაგერშაკ გულიშინი.

ბანდიტის მოკვლა

23 მაისს საღამოს სოფ. ახაშენში (კახეთი) სამაზრო მილიციის მიერ მოკლული იქნა ძველი ბანდიტი ვანო ადუაშვილი, რომელსაც ჩადენილი აქვს მრავალი ბოროტმოქმედება. გაჩხრეკის დროს მოკლულ ბანდიტს აღმოაჩნდა ერთი რუსული კარაბინა (შაშხანა თოფი), ერთი სავაზნე 50 ვაზნით, ერთი მაუზერი, სხვადასხვა მოწმობები და ერწო-თიანეთის უბნის სახალხო გამომძიებლის სახაზინო ბეჭედი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქრთველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გამოცხადდნენ პირადად ან გამოგზავნონ თავიანთი პასუხისმგებელი რწმუნებულები (პარტიის წევრები) 28 მაისს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში — **ოთახი № 67 ამხ. ავეტისოვთან.**

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფ - ტელეფონის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო, საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი, მთავარი საკურორტო სამმართველო, საქართველოს ფინსახკომი, საქართველოს ს.მ.უ. საბჭო, სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი—ლუბა ენუქიძე, ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა განყოფილება, თბილისის აღმასკომი — ასათიანი, საქართველოს განათლების სახ. კომისარიატი, „სოიუზხლებ“-ი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი.

დღეს, 28 მაისს, სრულ 4 საათზე, რკ. გზის მე-8 სკოლაში (პლეხანოვის პრ. № 136) შესდგება **ლენრაიონის ა.ლ.კ.კ წევრ მასწავლებელთა უჯრედის ღია კრება.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხ. ამხ. ჭიპაშვილი, ეფრემიძე, შარმაიშვილი, სიხარულიძე, ძნელაძე, ხარატაშვილი, ქარუმიძე, ლაქტიონოვი, ძინძიბაძე, აბაშიძე ლენა, აბაშმაძე, სუარუნი, მარდალეიშვილი, გოგუა, ქართსანიძე, ს. წვერავა, დეკანოზიშვილი, ლომთაძე, კობიძე, ჩირაძე, მჭედლიძე, კიკნაძე, ნ. მექვაბიშვილი.

სავალდებულოა დასწრება აგრეთვე ყველა იმ კომკავშირელი მასწავლებლებისა, რომლებიც მუშაობენ ლენრაიონის სხვადასხვა სკოლებში და მასწავლებელთა უჯრედებში არ არიან აყვანილი აღრიცხვაზე.

აჭარისტანის მედსანშრომის მუშაკთა კავშირის გამგეობა და კომფრაქცია აუწყებენ ამხანაგებს, რომ 26 მაისს ტრაღიკულად გარდაიცვალა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და კომფრაქციის მდივანი

ამხ. ნესტორ კირილეს ძე ნანაძე

გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 29 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. ტელ.

მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის აჭარისტანის საოლქო განყოფილება და აფთიაქის მუშაკთა სექცია მწუხარებით იუწყებიან აჭარისტანის საფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარის

ამხ. ნესტორ ნანაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება რესპ. მთავარ საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 29 მაისს, დღის 4 საათზე. ტელ.

ღრმად დამწუხრებული მშობლები იაკობი და ეკა, ძმა ვალოდია, დები: სონია და მანია, სიძე დიმიტრი ხმიადაშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 26 მაისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

სვიმონ იაკობის ძე მუმლაძე

დაკრძალვა ქ. ხაშურში, 29 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 2757.

დამწუხრებულნი საბურთალო-ახალშენის მოსახლეობა და მეგობრები იუწყებიან, რომ ვერაგულად მოკლულ იქნა დაუვიწყარი მეგობარი

ბესარიონ (პუჩა) იოსების-ძე გიგაურ

დაკრძალვა სამშაბათს, 28 მაისს დღის 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 195

გულმოკლულნი შვილები პლატონ, გაბო და ლიუდმილა, რძლები: ალექსანდრა და ნადია, შვილიშვილები: თინა და ნიკალო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 26 მაისს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პირველთა დედა, მეორეთა დედამთილი და მესამეთა დიდედა

ანნა გრიგოლის ასული გოცირიძისა

ცხედრის გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან სადგურზე რაჭაში წასასვენებლად დღეს, 28 მაისს, საღამოს 5 საათზე. 1964

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ნორდ-ოსტ
აპოლო	მზიარული იადონი
არფასტო	რეჟ. ა. კულეშოვი
კალასი	ახალი კომედია პატი ზღვაში პატის და პატაშონის მონაწილეობით
სოლეი	კინო-მოთხრობა ამერიკულ ცხოვრებიდან ცამდე აწვდილი სახლი
მინიონი	ჰაროლდ ლოიდი კომედიაში ბებიას შვილიშვილი
დარბაზი	ტიკინა მილიონებით ი. ილინსკის მონაწილეობით
პროლეტარი	დიდი სასპორტო ფილმი საკავშირო სპარტაკიადა

მალე გაიხსნება საზაფხულო კინოები ეთერი და დარბაზი

ქ. ზუგდიდში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელის მოწერა მიიღება ფ. ტ. კანტორაში
0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა

თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის გამგეობა

აცნობებს მე-7 მოწვევის რწმუნებულებსა და კანდიდატებს (რომელნიც არჩეულნი არიან 1929 წლის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში), რომ ამა წლის 1 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრში, ქორესის ქუჩა № 8

დანიშნულია

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 კრების გახსნა

დღის წესრიგი

1) გამგეობის საანგარიშო მოხსენება 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ, და საინფორმაციო მოხსენება 1928—1929 წლ. პირველი ნახევრის მუშაობის შესახებ.
2) სარევიზიო კომისიის დასკვნა გამგეობის საანგარიშო მოხსენების გამო.
3) საუწყებათაშორისო კომისიის მოხსენება მუშკოოპის გენერალური გამოკვლევის შესახებ.
4) წესდების საკითხები.
5) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
6) მიმდინარე საკითხები.

ყველა რწმუნებულისა და კანდიდატის გამოცხადება სავალდებულოა.

3—2 გამგეობა

მაქვს სამი ოთახი სივრცით 93 მეტრი 19 თებერვლის ქ. № 3 მე-2 სართულში მინდა **გადავცვალო** ორ-სამ 60—70 მეტრის სივრციან ოთახზე, მდებარე I, II ან III სამილიციო რაიონში. ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3—6 საათამდე

14—6 სერგო ქავთარაძე

ქ. თბ. 1-ლი უბნის სასამართ. აღმასრულებ.

ვ. პ. გაგუნია

ამით აცხადებს რომ ის ა/წ 31 მაისს დღის 12 საათზე ყიფიანის ქუჩა № 25

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის მალალეინ პლატონისძე სოკოლოვის სამ სართულიან სახლის ორ მესამედ უფლებას. სახლი მდებარეობს ყიფიანის ქუჩა № 25, შეიცავს 12 ოთახს და ერთ სამრეცხაოს, ამ სახლის $^2/_3$-დი ნაწილი შეფასებულია გასასყიდლათ 4000 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეძლეული ფასიდან. გაყიდვა დანიშნულია კავკ. წით. დროშოვან არმიის მომარაგების სამმართველოს და სხვების 5634 მან. 86 კაპ. პრეტენზიების და საქმეზე გაწეული ხარჯების დასაკმაყოფილებლათ, თანახმად ქ. თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან. 22 სექტ. 1928 წ. თარიღით № 98 ¦ 2 გაცემული ალმ. ფურცლისა და სხვა ალმ. ფურცლების სანოტარო კანტორის ასრულებითი წარწერებისაც. ვინც ისურვებს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები გათვალისწინებული სამოქ. საპრ. კოდ. 311 მუხ. და გარდა ამისა საწინდარი 10 პროც. შეფასების ჯამიდან. 1963,

---

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ⓓ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სალ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

პროფ. ბრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელმენი—11—78. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

დაკარგვა: პატენტი № 3425 სილოვან დვალის სახელზე, ჩ. გ. 1962

დაკარგვა: ა. კ. წევრობის მანდატი № 52452 და კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 443/2725 შალვა ყარამანისძე ბატიევის სახელზე, ჩ. გ. 1960

დაკარგვა: პურის წიგნაკი თამარა ვაჩიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2755.

დაკარგვა: პურის წიგნაკი დავით ჩირაძეს სახელზე, ჩ. გ. 1961.

დაკარგვა: მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 152141 და ობლიგაციის ერთი მეხუთედი ნაწილის ტალონების ქვითარები №№ 51591, 51592, 51573, 18641, 18645, 18542 ლევან ვასილისძე ხაზუტაშვილის სახელზე ნ. 2756

დაკარგვა: კოოპერატივის წიგნაკი № 600 გიორგი მალხაზის ძე ბაწაშვილის სახელზე ჩ. გ. 1966

დაკარგვა: მოწმობა, რომლითაც ვღებულობდი ტყავის ტრესტიდან ლანჩას სილოვან დვალის სახელზე ჩ. გ. 1965

დაკარგვა: პატენტი № 4676 დავით ბიტრაშვილის სახელზე. ჩ. გ. 196

დაკარგვა: პურის წიგნ. № 61 ლევან აპოლონისძე ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 196

ტირაჟი—39.043
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყაზ ოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.